ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

15 თებერვალი **სამშაბათი** 2011

№036 (13333) ფასი 60 თეთრი




## რონალდო წავიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი ფენომენური აღარ არის

↳5

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ლიგამ გამოიზამთრა




## ვალენსია-შალკე

## რაული ესპანელების წინააღმდეგ




## მილანი-ტოტენჰემი

## მილანში ამოისუნთქეს: ბეილი ვერ ითამაშებს!

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური მატჩების წინათქმა ↳9

## ნუ შექმნით ფეხბურთისგან მეცნიერებას, ის მარტივი თამაშია

ინტერვიუ ჰარი რედნაპთან ↳6

ხალხს რატომღაც ჰგონია, რომ ფეხბურთი, უცბად ძალიან ჭკვიანურ დარგად იქცა. არაფერი მსგავსი არ მომხდარა. თუ გრძნობ, ხალხს საუკეთესო თვისებები როგორ გამოავლენინო, ვის რა უფრო ეხერხება, წარმატებას მიაღწევ. სულ ეს არის. ჯორჯ ბესტი დღესაც მოატყუებდა ოთხ-ხუთ მოწინააღმდეგეს და გოლებს გაიტანდა. ხალხი ცდილობს, თავი ჭკვიანად წარმოაჩინოს, დაფებთან დგება და კომპიუტერებს რთავს. არადა, საქმე სულაც არ არის ასე რთულად. ყველაფერი ძველებურადაა. ფეხბურთი ძალიან მარტივი თამაშია.





## მოგონებები ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობაზე

ექსკლუზივი სამშაბათობით ↳3

ეროვნული ბიბლიოთეკა



● ზესტაფონი



# მენთეშაშვილის კონტრაქტი იმ წლიდან ამ წლამდე გაიწელა

## მამალაძის მუხლი ექიმების ხელშია

როგორც იცით, დიდთოვლობის გამო "ზესტაფონი" საკუთარ ქალაქში ვარჯიშს ვერ ახერხებს და თბილისის "დინამოსთან" მოახლოებული პრინციპული დაპირისპირებისთვის დედაქალაქში ემზადება. შეგახსენებთ, დიდთოვლობის მიზეზით **გია გეგუჩაძის** გუნდმა "ტორპედოსთან" ვერ ითამაშა და ჩემპიონატის მეორე ეტაპს "დინამოსთან" მატჩით დაიწყებს.

**გიორგი ხიდეშელისა** და **ნიკოლოზ გელაშვილის** საწვრთნელ პროცესში ჩართვის ამბავი უკვე გამცნეთ, **ზურაბ მენთეშაშვილის** თაობაზე კი სიახლეებია, თანაც არცთუ სასიამოვნო. გამოცდილი ნახევარმცველის "ზესტაფონში" ჩარიცხვას თითქოს წინ ვერაფერი უნდა აღდგომოდა, მაგრამ დღეები გადის, სეზონი განახლდა და მენთეშაშვილს იმერულ კლუბთან კონტრაქტი ჯერაც არ გაუფორმებია.

ამის ზუსტი მიზეზები ვერ დავადგინეთ, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, "ზესტაფონსა" და მენთეშაშვილს შორის ხელშეკრულების პირობებზე მოლაპარაკება გრძელდება და, წესით, რამდენიმე დღეში კონტრაქტიც უნდა გაფორმდეს. მთავარი ისაა, რომ ახლო წარსულში საქართველოს ნაკრების შეუცვლელ წევრს "ზესტაფონში" თამაშის სურვილი აქვს და გუნდის შემადგენლობაში სრული დატვირთვით ვარჯიშობს. შეგახსენებთ, ზურა აქამდე აშქელონის "ჰაპოელის" ღირსებას იცავდა და ებრაული კლუბი გასული წლის ბოლოს დატოვა. სხვათა შორის, ცნობილ სატრანსფერო ვებგვერდ "ტრანსფერმარკტს" 31 წლის მენთეშაშვილი უკვე "ზესტაფონის" ფეხბურთელად ჰყავს მოხსენიებული, მისი ფასი კი 350 ათასი ევროთია განსაზღვრული.

აქვე **ზურაბ მამალაძის** შესახებაც გეტყვით, რომელმაც, როგორც გახსოვთ, ესპანურ შეკრებაზე, პრაღის "სპარტასთან" მატჩისას მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და მას შემდეგ ველარ ვარჯიშობს. მის არყოფნაში **როინ კვასხვაძის** დუბლიორი 18 წლის **კახაბერ მეშველიანი** იქნება.

29 წლის მეკარეს დეტალური სამედიცინო გამოკვლევა ჯერ არ გაუვლია და ამიტომაც ექიმები მოედანზე მისი დაბრუნების ზუსტ ვადებს ვერ ასახელებენ. უახლოეს პერიოდში მედიკოსები მისი მუხლის მდგომარეობას ბოლომდე შეისწავლიან და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ცნობილი, როდის განაახლებს ზურა თამაშსა და ვარჯიშს. არსებობს საფრთხე, რომ მან მწყობრში ჩადგომა სეზონის ბოლომდე ვერ შეძლოს, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, უფრო ადრეც გამოკეთდეს.

ბოლოს ისევ დასჯილ დუეტზე ვთქვათ – "ზესტაფონის" ოფიციალურ ვებგვერდზე ხიდეშელი და გელაშვილი "დინამოსთან" მატჩის სავარაუდო 18-კაციან განაცხადში არ არიან...

**ლევან ჯანეზაშვილი**

● რეიტინგი

# ათწლეულის 643 და ჩვენი დიდი რვიანი

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაცია (IFFHS) ყოველთვიურად მსოფლიოს 350 კლუბისგან შემდგარ რეიტინგს აქვეყნებს. გუშინ კი 21-ე საუკუნის პირველი ათწლეული შეაჯამა და მხოლოდ ევროპელებისგან შემდგარი 643-კლუბიანი სია წარმოადგინა. ალსანიშნავია, რომ ამ რეიტინგში 9 ქართული კლუბია შესული.

ჩვენი ქვეყნიდან საუკეთესო პოზიციაზე თბილისის „დინამოა", რომელიც 139-ე ადგილზეა. დანარჩენი კლუბებიდან ერთი („ამერი„) ალარ არსებობს, ორიც („ბათუმი„ და „ლოკომოტივი„) პირველ ლიგაში თამაშობს.

ბევრი რომ ალარ გავაგრძელოთ, ქართული კლუბების პოზიციებს წარმოგიდგენთ: „ვიტ ჯორჯია" – 240-ე, „ზესტაფონი" – 271-ე, „ოლიმპი" – 329-ე, „ლოკომოტივი" – 372-ე, „სიონი" – 407-ე, „ტორპედო" – 417-ე, „ამერი" – 553-ე, „ბათუმი" – 598-ე.

ქართული კლუბები რეიტინგში ევროტურნირებსა და შინაურ პირველობებზე ნაჩვენები შედეგებით მოხვდნენ, თუმცა ქულათა უდიდესი ნაწილი ევროთასებზე გამოსვლით დააგროვეს.

რეიტინგს კი „ბარსელონა" ლიდერობს, რომელმაც ბოლო ათწლეულში ჩემპიონთა ლიგა ორჯერ მოიგო. საუკეთესო ათეული სრულად ასე გამოიყურება: 1. „ბარსელონა" (ესპანეთი), 2. „მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი), 3. „ლივერპული" (ინგლისი), 4. „არსენალი" (ინგლისი), 5. „ინტერი" (იტალია), 6. „ბაიერნი" (გერმანია), 7. „მილანი" (იტალია), 8. „რეალი" (ესპანეთი), 9. „ჩელსი" (ინგლისი), 10. „რომა" (იტალია).

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ასე იწყებოდა...

## რა გაკეთდა, რა - ვერა, რა გაფუჭდა

# 21 წლის გადასახედიდან გადასახედი ჯერაც ბევრია

1990 წლის 15 თებერვალი დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის დაბადების დღეა. დამფუძნებელი ყრილობის დელეგატებმა საკავშირო ფეხბურთის ფედერაციიდან გამოყოფა და დამოუკიდებელი ფედერაციის ჩამოაყალიბება გადაწყვიტეს.

იყო დიდი იმედები, რომ წლების შემდეგ, ანუ ახლა, გაბრწყინდებოდა და გაილალებდა არტახებახსნილი ქართული ფეხბურთი და სანაკრებო თუ საკლუბო დონეზე სარბიელგახსნილი მეტ ალიარებას მიაღწევდა.

სამწუხაროდ, ოცნებები არ ახდა, წინსვლის ნაცვლად ქართულმა ფეხბურთმა დეგრადაცია განიცადა და ახლა წუმპედან ვცდილობთ თავის დაღწევას.

რა გახდა ამ ყველაფრის მიზეზი და რატომ არ გამართლდა 21 წლის წინანდელი იმედები? ამ კითხვით მივმართეთ ჩვენს რესპონდენტებს.

### ეკონომიკა, ხელისუფლების ნება და გაუგებარი პრიორიტეტები



**დავით კვინიკაძე**, *ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის ინიციატორთაგანი, ფეხბურთის ფედერაციის პირველი გენერალური მდივანი:*

- ქართული ფეხბურთის რეგრესის მრავალი ფაქტორიდან მე ყველაზე მნიშვნელოვანს დავასახელებ.

**პირველი** - ყველაფრის თავი და ბოლო ჩვენი ქვეყნის სუსტი ეკონომიკა იყო. ქართულ ფეხბურთს ეს სიდუხჭირე ხელს უშლიდა. თუ ფული არ იქნება, ვინ შეინახავს კლუბებს, ნაკრებებს, ბაზებს, სტადიონებს, ფეხბურთელებს, ანუ უზარმაზარ საფეხბურთო მეურნეობას? ეს ყველაფერი ძლიერი ეკონომიკის გარეშე წარმოუდგენელია.

**მეორე** - შეცდომები ფეხბურთის მართვის მეთოდებსა და ფორმებში. უპირველესად, პრიორიტეტებს ვგულისხმობ. როდესაც მდიდარი ფედერაცია ხარ, ფულს ყველა მიმართულებით ხარჯავ, მაგრამ დამოუკიდებლობის შემდეგ ჩვენს ფედერაციას დიდი ფული არასდროს ჰქონია და სულ პრიორიტეტის არჩევა გვიწევდა. 21-წლიანი მმართველობის პერიოდში ამ მიმართულებით შეცდომები დავუშვით. დღემდე ვერ დავადგინეთ, რა უფრო პრიორიტეტულია, ბავშვთა ფეხბურთი თუ ინფრასტრუქტურა.

**მესამე** - ვერ მოხერხდა საფინანსო ბირჟის დაინტერესება, არადა, ნებისმიერ ქვეყანაში პირიქით ხდება, საფინანსო ბირჟა ცდილობს ფეხბურთში შეღწევასა და დამკვიდრებას. ჩემი აზრით, და ამაში დარწმუნებული ვარ, ეს სავსებით რეალური იყო და არის.

**მეოთხე** - ქვეყნის ხელმძღვანელთა პოლიტიკური ნების არარსებობა. ძალიან მეეჭვება, აზერბაიჯანში ფეხბურთი ჩვენზე მეტად უყვარდეთ, მაგრამ პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა დაიბარა ბიზნესმენები და ფეხბურთის მიხედვა დაავალა. აქაც იგივე რომ მოითხოვონ, ფეხბურთის განვითარებისთვის ფული ჩვენშიც მოიძებნება, მაგრამ მსგავსი რამ არ მომხდარა. ეტყობა, არ არსებობს ხელისუფლების ნება, რომ ფეხბურთს სერიოზულად მიეხედოს, ისევე, როგორც ეს რაგბისთან დაკავშირებით მოხდა - ამ სახეობას სამი სტადიონი გადაეცა და სერიოზული წინსვლა დაეტყო.

რაიონსა და რომელიმე დიდ ქალაქში გუნდს დამფინანსებელი თუ გამოუჩნდა, ეს ერთჯერადი ლონისძიება იქნება და იმ შედეგს არ მოგვიტანს, ჩვენ რომ გვინდა - შედეგს მხოლოდ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარების შემდეგ უნდა ველოდოთ.

### მრეტები და დაკარგული პოზიცია



*თბილისის "დინამოს" ამჟამინდელი მმართველი დირექტორი* **ბუბა ტყავაძე** *მაშინ ყველაზე სიმპათიური ქართული კლუბის, თბილისის "მრეტების" ქარიზმატული ლიდერი იყო:*

- ჩვენი იმედები უამრავი მიზეზის გამო ვერ გამართლდა. როდესაც დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა, მაშინ ჩვენ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ერთ-ერთ წამყვან პოზიციაზე ვიყავით და წინ უნდა წავსულიყავით. საამისოდ ტრადიციაც ხელს გვიწყობდა და საფეხბურთო ნიჭიც.

მაგრამ ნიჭს ხელშეწყობა და განვითარება სჭირდებოდა, უნდა ჩადებულიყო ფული, რათა გაძლიერებულიყვნენ კლუბები და აგვეშენებინა თანამედროვე საფეხბურთო ინფრასტრუქტურა, სტადიონები, ბაზები, მოედნები. ეს კი იმის გარანტია იქნებოდა, რომ უცხოეთში ჩვენი ფეხბურთელები იოლად არ წავიდოდნენ და ეროვნული ჩემპიონატი სასურველთან მიახლოებული დონისა იქნებოდა.

სამწუხაროდ, ჩვენს ფეხბურთელებს მეზობლების დარი პირობები ვერ შევუქმენით და არათუ ეროვნული ნაკრების წევრთა, უფრო დაბალი კლასის ფეხბურთელთა შენარჩუნებაც ვერ მოვახერხეთ. უცხოეთში უცებ წავიდა გამოცდილი და ყველაზე ძლიერი მოთამაშეების მთელი ჯგუფი, რომელთა გვერდითაც ახალგაზრდებს ბევრი უნდა ესწავლათ. დონის კატასტროფული დაცემა სწორედ ამ თაობათა წყვეტამ გამოიწვია, რადგან ახალმა თაობამ წინასგან ბევრი ვერ ისწავლა, დარჩენილი ვეტერანები კი იმ დონისანი არ იყვნენ, მათ გვერდით ახალგაზრდები რომ გაზრდილიყვნენ.

მეორე - ბევრი კლუბის ხელმძღვანელი არ ფიქრობდა განვითარებაზე და საქმეს ზერელედ ეკიდებოდა. იყო მენეჯმენტის პრობლემები და, ცხადია, ეს ზოგად სურათს ძალიან ამძიმებდა.

იყო სხვა პრობლემებიც - მაყურებელი ალარ დადიოდა, რაც ფეხბურთელებს მოტივაციას უსპობდა და ისინი შესაძლებლობებს ვერ ავლენდნენ. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია.

ძალიან დიდი პრობლემა იყო და ასეთადვე რჩება მსაჯთა კორპუსი, ანუ არაობიექტური მსაჯობა, რაც კლავს ფეხბურთს, სამართლიანი თამაშის პრინციპს. ეს კი სპორტში უმთავრესია.

21 წლის განმავლობაში ძალიან ცუდი სამსახური გაგვიწია უპატიოსნო თამაშებმა.

ჩვენი 21 წლის წინანდელი იმედები იმიტომაც ვერ გამართლდა, რომ ეს წლობით დაგროვებული პრობლემები არ მოგვარდა და ასე ალმოვჩნდით დღევანდელ მდგომარეობაში.

**- ქართული ფეხბურთის ერთი უბედურება ისიც იყო, რომ ყველა შეეგუა "მრეტების" ჩაკვლას, რომლის ფეხბურთიც უამრავ გულშემატკივარს იზიდავდა.**

- გეთანხმებით, მსგავსი ფეხბურთი არც ერთ გუნდს არ უჩვენებია. "მრეტები" შემოქმედებით ფეხბურთს აჩვენებდა, შემოქმედებას კი თავისუფლება შობს.

### მამუკა კვარაცხელია: მასშტაბები არ გვეყო...



1990 წლის 15 თებერვალს ჭადრაკის სასახლეში გამართული ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის ერთ-ერთი დელეგატი იყო **მამუკა კვარაცხელია**, რომელმაც მანდატი მიიღო როგორც 21-კაციანი დამფუძნებელი საბჭოს წევრმა. შემდგომში იგი ფედერაციაშიც მუშაობდა, მაგრამ პირველ პრეზიდენტ **ნოდარ ახალკაცს** დაუპირისპირდა და ფედერაცია დატოვა....

- ფედერაცია დავაფუძნეთ და ახალკაცი პრეზიდენტად ავირჩიეთ. ერთი თვის მერე ფედერაციის გაზეთ "ქართულ ფეხბურთში" დავიწყე მუშაობა და ბევრი რამ ვიცი მაშინდელ მოვლენებზე, ავზეც და კარგზეც.

ამ გადასახედიდან რომ ვაანალიზებ, ვხვდები, პირველივე დღეებიდან უნდა დაწყებულიყო ქართული ფეხბურთის დოქტრინის ჩამოყალიბება - ვინ ვართ, რა გვაქვს, რა უნდა ვაკეთოთ და რა არის ჩვენი მიზანი მსოფლიო ფეხბურთში. მაგრამ მსგავსი არაფერი გაკეთებულა. მაშინ იყო საშუალება, აგვეშენებინა ბაზები ყველა ქალაქში (ფედერაციას არა - კლუბებს!), ეკონომიკა ჯერ კიდევ იძლეოდა ამის საშუალებას და ფეხბურთის ბუმი იყო; ჩამოგვეყალიბებინა გამართული ქართული ფეხბურთის სტრუქტურა. ახალკაცსაც და კვინიკაძესაც გააჩნდათ ამის რესურსი – ცოდნაც, გამოცდილებაც, ავტორიტეტიც, ეშმაკობაც, ნაცნობობაც, შესაძლებლობაც...

1992-93 წლამდე, სანამ ომი დაიწყებოდა, შეიძლებოდა ბაზისის აშენება, ყოველ შემთხვევაში, დაწყება მაინც, მაგრამ პირველივე წელს ჩემპიონატის დებულება დაარღვიეს და უმაღლესი ლიგიდან გუნდები არ გააგდეს! ამას დარღვევების ჯაჭვური რეაქცია მოჰყვა. საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელმა ზურაბ პეტრიაშვილმა და მისმა მოადგილემ გია გილიგაშვილმა პროტესტის ნიშნად დატოვეს ფედერაცია, მათ გარდა მხოლოდ ორმა კაცმა გამოთქვა პროტესტი: მე და ზურაბ მეძველიამ, ორივე ჟურნალისტმა. დანარჩენებმა კანონის დარღვევას ოფიციალურად დაუჭირეს მხარი.

აი, მერე დაიწყო და დაიწყო – ერთხანს უმაღლესი ლიგა 23 გუნდამდე გაიზარდა! თამაშების ჩაწყობა და გარიგება ჩვეულებრივი ამბავი გახდა, 9 გოლიც გაუტანიათ და წინასწარ შეუდგენიათ ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი!

ეგ იყო, თბილისის "დინამოს" ვერაფერს უხერხებდნენ, სულ ჩემპიონი ხდებოდა და ყველას დავთრებს ურევდა. ომმა კი ქართული ფეხბურთი არანაკლებ 20 წლით უკან დასწია – ევროპა წინ გაიჭრა, ჩვენ კი უმეტეს შემთხვევაში ერთწლიანი გუნდები გვიხალისებდნენ ყოფას. მოკლედ, მაშინ მასშტაბები არ გვეყო, ფეხბურთში, ისევე როგორც პოლიტიკაში, მდინარეში ჩავარდნილ ნაფოტს დავემსგავსეთ. ახლა ძალიან ძნელია ყველაფრის ამოქაჩვა და ევროპის დონემდე მისვლა – ამას ძლიერი ეკონომიკა და სტაბილურობა სჭირდება, ნიჭიერები კი საქართველოში ყოველთვის იყვნენ და მომავალშიც დაიბადებიან.

ისე, ახლა რომ ვფიქრობ, არც მე და არც პეტრიაშვილს ფედერაცია არ უნდა დაგვეტოვებინა, მუხრუჭის როლს მაინც შევასრულებდით, თანაც – ჩვენი ოცნების ასრულება სხვის ხელში არ უნდა ჩაგვევდო...

**მერაბ მამულაშვილი**


დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ექსკლუზივი

# მოგონებები ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობაზე

**ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა დაიწყო ჯერ კიდევ სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილეობის პერიოდში. კომუნისტურ ეპოქაში ეს იყო სარისკო ნაბიჯი, მით უფრო, რომ გაზეთი „ლელო“ ჩადგა ამ ბრძოლის ავანგარდში. სსრ კავშირის ჩემპიონატიდან გამოყოფა მსოფლიოს მასმედიამ აიტაცა და როგორც მაშინ გახდა ცნობილი, სსრ კავშირის კომპარტიიდან ლიტვის კომპარტიის გასვლას არ გამოუწვევია ასეთი ფართო აჟიოტაჟი. მოკლედ, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობით დაიწყო. დღეს, 15 თებერვალს 21 წელი სრულდება იმ ღირსსახსოვარი თარიღიდან. ამ ხნის განმავლობაში ბევრი ცდილობდა, თავისებურად შეეფასებინა თუ გადაეფასებინა იმ პერიოდის მოვლენები, მაგრამ სულ სხვაა, როცა პროცესებს უშუალო მონაწილე იხსენებს მიუკერძოებლად და ობიქტურად. ეს პიროვნება გახლავთ ზურაბ პეტრიაშვილი. ზურაბს გადაუწყვეტია, წიგნი გამოსცეს, მაგრამ სურს, ჯერ „ლელოს“ მკითხველებს გააცნოს თავისი მოგონებები, რადგან, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „სწორედ „ლელომ“ ითამაშა უდიდესი როლი ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის საყოველთაო აზრის შემზადებაში“.**



ზურაბ პეტრიაშვილი

როდესაც ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაზე დავიწყე წერა, პირველი, რაც აღმოვაჩინე, არის ის, რომ დიდი დრო გასულა იმ მოვლენებიდან და 40 წელზე უმცროსთ არც ის ამბები ემახსოვრებათ და არც მაშინდელი პოლიტიკური თუ საფეხბურთო ვითარება. სწორედ იმით დავიწყოთ, როგორი იყო მაშინდელი საქართველო. ძნელია, გაავლო ხაზი, სად მთავრდებოდა ფეხბურთი და სად იწყებოდა პოლიტიკა. თქმა არ უნდა, ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობას, უპირველესად, საბჭოთა კავშირში დაწყებულმა დემოკრატიულმა ძვრებმა შეუწყო ხელი. როგორც მოვლენათა განვითარებამ დაგვანახვა, საბჭოთა კავშირის დაშლა არც იყო მიზანი, გარდაქმნა იყო ჩაფიქრებული.

სწორედ ქართული ფეხბურთი იყო პირველი, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა საბჭოთა საფეხბურთო სივრცეში და რასაც დიდი საერთაშორისო რეზონანსიც ჰქონდა...

1978 წლიდან საქართველოს ტელე-რადიო კომიტეტის სპორტულ გადაცემათა რედაქციაში ვმუშაობდი კორესპონდენტ-კომენტატორად. თავიდან, რამდენიმე წელიწადი შტატგარეშე კორესპონდენტი ვიყავი, პატარ-პატარა სიუჟეტებს ვამზადებდი. 1982 წლიდან კი დავიწყე გადაცემათა ციკლი „საქართველოს საფეხბურთო მიმოხილვა“. ძირითადად საქართველოს მაშინდელი პირველობა შუქდებოდა. კარგად მახსოვს გადაცემის აუცილებლობა რამაც განაპირობა, შტატგარეშე კორესპონდენტობასთან ერთად თბილისის „შევარდენში“ ვთამაშობდი. ბატონ **ალიოშა კოტრიკაძეს** უხაროდა, რომ კარგი თავდამსხმელი იპოვა. თბილისში ჩატარებულ მატჩებში, როცა ნორმალური მსაჯობა იყო, გოლები გვქონდა და იოლად ვიმარჯვებდით. მერე მოვიდა ორი გასვლითი შეხვედრის დროც. ზედიზედ ახალციხეში და ასპინძაში ვითამაშეთ, ორივე წავაგეთ, მაგრამ მთავარია, რა პირობებში ვითამაშეთ, განსაკუთრებით, ასპინძაში. მანამდეც მითამაშია საქართველოს პირველობაზე და ვიცოდი როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო მსაჯობა რაიონში, მაგრამ ის, რაც ასპინძაში ხდებოდა, ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა და დღემდე არ მავიწყდება. მასპინძელი ფეხბურთელები რაგბის წესებით გვეთამაშებოდნენ, მათზე საერთოდ არ ინიშნებოდა საჯარიმო, ჩვენი ყველა შეტევა თამაშგარე მდგომარეობად ფიქსირდებოდა. თამაში, ყველაფრის მიუხედავად, 2:2 მთავრდებოდა, მაგრამ მსაჯმა იმდენ ხანს გააგრძელა შეხვედრა, რამდენიც გადამწყვეტი გოლისთვის დასჭირდათ მასპინძლებს. აღსანიშნავია ისიც, რომ გოლის გამტანმა ბურთი ხელით გაისწორა...

სწორედ ასპინძაში ჩატარებულმა იმ მატჩმა დამაფიქრა იმაზე, რომ არ შეიძლება ჩემპიონატი ასე უკონტროლოდ ტარდებოდეს. სპორტულ გადაცემათა მთავარ რედაქტორს **დავით ქლიბაძეს** შევჩივლე ეს ამბავი და ვუთხარი, მოდი, საქართველოს ჩემპიონატი გავაშუქოთ-მეთქი. იდეა მოეწონა, მაგრამ მკითხა, ვინ ივლის თელავში და წალენჯიხაშიო. მე ვივლი, არ მეზარება, პირიქით, მიხარია-მეთქი. ჩემთვის გავიფიქრე: საქართველოს ჩემპიონატს ხომ გავაკონტროლებთ, თანაც გავიხარებ სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში ჩასვლით. პირველ წლებში „საფეხბურთო მიმოხილვებს“ მარტო ვამზადებდი, შემდეგ კი ჩემი მეგობარი **ტატო ლასხიშვილი** შემომიერთდა და რიგრიგობით გავდიოდით ეთერში...

იმ პერიოდში სპორტულ გადაცემათა რედაქციაში რამდენიმე კომენტატორი იყო: **კოტე მახარაძე, ნუგზარ ჯულელი, ჯამლეტ ხუხაშვილი, თემურ ჯაფარიძე, ტატო ლასხიშვილი** და მე. 1983 წელს ბათუმის „დინამომ“ ჯერ საკავშირო მეორე ლიგის IX ზონაში გაიმარჯვა, შემდეგ პირველ ლიგაში გადასასვლელი ტურნირიც მოიგო და 1984 წლიდან ქუთაისის „ტორპედოსთან“ და ლანჩხუთის „გურიასთან“ ერთად პირველ ლიგაში დაიწყო თამაში. სპორტულ გადაცემათა რედაქციამ გაითვალისწინა ფეხბურთის მოყვარულთა ინტერესი და სამივე ჩვენი გუნდის საშინაო თამაშების რადიორეპორტაჟები დაგეგმა. სეზონის წინ კომენტატორები შევიკრიბეთ და გადაწყდა, ქუთაისში რეპორტაჟებზე ივლიდა ტატო ლასხიშვილი, ბათუმში — ნუგზარ ჯულელი, ლანჩხუთში — მე. ლანჩხუთის „გურიაზე“ და ამ გუნდთან ჩემს ურთიერთობაზე ცალკე მოგითხრობთ. ახლა კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ სწორედ ლანჩხუთის „გურიამ“ თქვა ერთ-ერთი გადამწყვეტი სიტყვა ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში.

1988 წელს აგორებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღა 1989 წლისათვის უკვე ანგარიშგასაწევი ძალაა. 1989 წლის 9 აპრილმა გამოაღვიძა ერი. 9 აპრილს მთავრობის სასახლესთან საბჭოთა ჯარების მიერ ჩატარებული სადამსჯელო ოპერაცია, რომელსაც 21 ქართველის სიცოცხლე ემსხვერპლა, უკვალოდ ვერ ჩაივლიდა. იმავე წლის ზაფხულში ლანჩხუთში არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდი ჩამოვიდა „გურიასთან“ სათამაშოდ. მე იმ მატჩის რეპორტაჟს გადავცემდი და მოწმე ვარ, თამაშზე თითქმის მთელი საბჭოთა ჯარების მთავარსარდლობა რომ ჩამოვიდა, დაცული იყო უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები. ეშინოდათ, საფეხბურთო მატჩი სხვა სახის ქართულ-რუსულ დაპირისპირებაში არ გადაზრდილიყო. იმ პერიოდში თავისუფლებისთვის იბრძვიან ბალტიისპირელები, ეთნოკონფლიქტია სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის, დაძაბულობაა მოლდავეთში, უზბეკეთში...

რა ხდება ამ დროს ფეხბურთში? ჩვენი 13 საუკეთესო გუნდი საკავშირო პირველობაზე თამაშობს და მათი შედეგები ასეთია: საკავშირო II ლიგის მეცხრე ზონაში დამაჯერებლად გაიმარჯვა სოხუმის „დინამომ“, რომელმაც შემდეგ პირველ ლიგაში გადასასვლელი ტურნირი მოიგო, აჯობა პავლოდარის „ტრაქტორს“ და ფერგანის „ნეფტიანიკს“. გადამწყვეტი მატჩი 9 ნოემბერს გაიმართა სოხუმში „დინამოსა“ და „ნეფტიანიკს“ შორის. მატჩის ტელერეპორტაჟი მე წავიყვანე, სოხუმლებმა დამაჯერებლად, 2:0 დაამარცხეს მეტოქე. სოხუმში ყოფნისას შევხვდი აფხაზეთის ფეხბურთის მესვეურებს: **მიქამბას, გაბისკირიას, მილჩენკოს, ჯაიანს,** მათი საუბრიდან ჩანდა რა სერიოზული გეგმები ჰქონდათ. არც იყო გასაკვირი. აფხაზეთი ხომ ოდითგან ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი მთავარი საბადო იყო. საკავშირო II ლიგის მეცხრე ზონაში, სადაც ჩვენს გუნდებთან ერთად აზერბაიჯანისა და რუსეთის რამდენიმე გუნდიც გამოდიოდა. კარგად ჩაატარა სეზონი ფოთის „კოლხეთმა“, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა, სამტრედია მეოთხე ადგილზე გავიდა, ხობი — მეხუთეზე, გორი — მეექვსეზე, დანარჩენი ჩვენი გუნდების შედეგები კი ვერ იყო სახარბიელო. ოზურგეთი მეთორმეტეზე გავიდა, რუსთავი — მეცამეტეზე. თბილისის „შევარდენი“ — მეოცეზე და თბილისის ოლიმპიური მომზადების ცენტრის გუნდი კი ბოლო, ოცდამეორე ადგილზე.

პირველ ლიგაში ძალიან კარგად იასპარეზა ლანჩხუთის „გურიამ“ — მეორე ადგილი დაიკავა და უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. ქუთაისის „ტორპედო“ მეცამეტე ადგილზე გავიდა, ბათუმის „დინამო“ კი - მეთვრამეტეზე. რაც შეეხება თბილისის „დინამოს“, 1983 წლიდან დაწყებული ვარდნა გააგრძელა და უმაღლესი ლიგის 16 გუნდში მეთერთმეტე ადგილზე გავიდა...

აი, ასეთი იყო პოლიტიკური და საფეხბურთო ფონი, როდესაც ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობისთვის გაჩაღდა ბრძოლა.

ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობა 1990 წლის 15 თებერვალს, თბილისის ჭადრაკის სასახლეში სრულიად საქართველოს საფეხბურთო ყრილობამ გადაწყვიტა. ყრილობის მუშაობაში საქართველოს ყველა კუთხიდან 500-მდე დელეგატი მონაწილეობდა და უნდა ითქვას, რომ უდიდესი უმრავლესობით, ფაქტობრივად, ერთხმად (მხოლოდ 21 დელეგატი არ გვეთანხმებოდა) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ქართული ფეხბურთი გამოყოფოდა საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციას და დამოუკიდებლად შესდგომოდა საკუთარი ფეხბურთის განვითარებას.

როგორც აღვნიშნე, სრულიად საქართველოს წარმომადგენლობითმა ყრილობამ მიიღო საფეხბურთო დამოუკიდებლობის გადაწყვეტილება, თუმცა საზოგადოებამ იცის, რომ ამ იდეის გამარჯვებაში განსაკუთრებული წვლილი აქვთ: ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, საფეხბურთო ყრილობის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის „ეროვნულ ფრთას“, ქართულ პრესას და ტელევიზიას, განსაკუთრებით გაზეთ „ლელოს“ და ლანჩხუთის „გურიას“. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავტორიტეტი და მხარდაჭერა რომ არა, იდეას ძირშივე მოსპობდა მაშინდელი საქართველოს მარიონეტული ხელისუფლება. საფეხბურთო ყრილობის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის „ეროვნული ფრთის“ თანმიმდევრული, შეუპოვარი მოქმედება და კარგად გათვლილი სვლები რომ არა, საფეხბურთო დამოუკიდებლობის იდეა ჰაერში გამოკიდებული, ხორცშეუსხმელი, მხოლოდ სიტყვებად დარჩებოდა. ჩვენი პრესის და, განსაკუთრებით გაზეთ „ლელოს“ დამსახურება ის იყო, რომ ფაქტობრივად, ამ გაზეთში გაჟღერდა ჩვენი ფეხბურთის დამოუკიდებლობის იდეა, ამ გაზეთის ფურცლებზე გაჩაღებულმა დისკუსიამ დამოუკიდებლობის თემა ახლობელი გახადა ხალხისთვის და დიდი როლი ითამაშა იდეის გამარჯვებაში. ლანჩხუთის „გურიას“ 11 ფეხბურთელის განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ თუ ეროვნული ჩემპიონატი არ ჩატარდებოდა, ისინი არ მიიღებდნენ მონაწილეობას საკავშირო პირველობაში, ანგრევდა მაშინ საფეხბურთო წრეებში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ჩვენს ფეხბურთელებს არ უნდოდათ ეროვნული ჩემპიონატი. „გურიას“ ფეხბურთელების მხარდაჭერა იმითაც იყო ფასეული, რომ „გურიამ“ 1989 წელს, როგორც მოგახსენეთ, პირველ ლიგაში მეორე ადგილი დაიკავა და 1990 წლისთვის უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მიპოვა. „გურიას“ ფეხბურთელების ვაჟკაცობამ ლიტველი კალათბურთელები გამახსენა, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისას დემონსტრანტთა შორის პირველ რიგებში რომ იდგნენ, დემონსტრაციას კი დროშით ხელში არვიდას საბონისი მიუძღოდა...

**ზურაბ პეტრიაშვილი**

*გაგრძელება სამშაბათობით*

ინტერვიუ

**რუსეთის პრემიერლიგელ მახაჩყალის „ანჟიდან“ თბილისის „დინამომ“ ახალგაზრდა ზურაბ არზიანი დაიმატა. რუსეთიდან საქართველოში ფეხბურთელები იშვიათად ბრუნდებიან. ამ ნაბიჯს ზურაც არ გადადგამდა, მაგრამ მახაჩყალის "ანჟიდან" წამოსულს უცნაური ამბები რომ არ გადახდენოდა.**

**როგორ მოხვდა „დინამოში“, რატომ აღარ სურდა მახაჩყალაში ცხოვრება და სხვა საინტერესო ამბებს არზიანის ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# ზურაბ არზიანი: დინამოს სახელი ჯერაც ჭრის

**- რუსეთიდან საქართველოში შენი ასაკის ფეხბურთელი საკუთარი ნებით არ ბრუნდება.**

- იყო მიზეზები. "ანჟის" მერე გასინჯვაზე კრასნოდარის "ყუბანში" მოუმზადებელი წავედი. თუმცა საკონტროლო შეხვედრაში მთავარ მწვრთნელ დან პეტრესკუს მოვეწონე და ჩემი დატოვება სურდა. პრობლემა ის იყო, რომ კლუბიდან უნდა გაეშვა ჩემს პოზიციაზე მოთამაშე ერთ-ერთი ფეხბურთელი. პეტრესკუმ კლუბის ხელმძღვანელობას ჩემი შეკრებაზე წაყვანა და მისი გაშვება მოსთხოვა, მაგრამ კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი წინააღმდეგი წავიდა. ცოტა უცნაური ამბავი კი იყო.

„ყუბანის“ ამ შეხვედრას ჰაიფას „მაქაბის“ მენეჯერი ესწრებოდა, რომელმაც ისრაელში მიმიწვია და არც დავფიქრებულვარ. ვიცოდი, რომ ისრაელში ტრანსფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ წასვლის წინა დღეს მითხრეს, რომ გასინჯვაზე მივდიოდი. ისრაელში სეზონი დაწყებულია, ყველა ფორმაშია, მე კი მოუმზადებელი გამოვცხადდი. მწვრთნელს გამზადებული ფეხბურთელი სჭირდება, სანამ მოგამზადებთ, დრო გავა, ჩვენ კი ლოდინის უფლება არ გვაქვსო და ვერც გავამტყუნებდი. არც მიცნობდნენ, ერთადერთი, სელექციონერმა მნახა და მოვეწონე, მაგრამ გამოვიდა, რომ ტყუილუბრალოდ და ძალიან ცუდ დროს წავედი.

**- რუსეთის პირველ ლიგაშიც არავინ გიწვევდა?**

- საინტერესო ვარიანტები კი იყო, მაგრამ მენეჯერს დავუჯერე. ჩემთვის ამ ასაკში პირველი ლიგიდან პრემიერლიგაში მოხვედრა ძნელი იქნება და თბილისის "დინამოში" თამაში ვამჯობინე. მამაჩემი აქ თამაშობდა და ეს სახელი ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ექვსთვიანი კონტრაქტი გავაფორმე და მერე ვნახოთ.

**- ასე ხანმოკლე კონტრაქტი რატომ გააფორმე?**

- უბრალოდ, ასე ვამჯობინეთ.

**- როგორია პირველი შთაბეჭდილებები "დინამოზე"?**

- გამიკვირდა და გამიხარდა, ძალიან კარგი პირობები რომ აქვს. მე რაც გავიგე, სერიოზული გუნდის ჩამოყალიბებას აპირებენ. კარგია, რომ ბოლოს და ბოლოს კლუბს ამბიცია გაუჩნდა, არა მხოლოდ საქართველოში, ევროპაშიც რაიმეს მიაღწიოს.

**- "ანჟიში" სათამაშო პრაქტიკა, ფაქტობრივად, არც გქონდა.**

- სამწუხაროდ, გაჯი გაჯიევმა მხოლოდ ბოლოს მათამაშა, შემადგენლობაში სულ ხუთჯერ დამაყენა, ექვსჯერ კი შეცვლაზე შემიყვანა. მოსკოვის "დინამოსთან", "ზენიტთან" ვითამაშე, მაგრამ დავშავდი, ისევ ფორმიდან ამოვვარდი და ამასობაში სეზონიც დასრულდა.

წამოსვლამდე გაჯიევთან გულახდილად ვილაპარაკე და მითხრა, შევცდი, დროულად ვერ მივხვდით, რა ფეხბურთელი იყავი, როგორ შეიძლებოდა შენი გამოყენებაო. ჩემი ბრალიც არის, ძალიან მონდომებულიც არ ვყოფილვარ.

**- რატომ?**

- "ანჟიდან" ომარ თეთრაძე რომ წავიდა, ყურები ჩამოვყარე, მეგონა, ახალი მწვრთნელი ამითვალწუნებდა ან გამიშვებდა. ასეთი განწყობით გულიანად საქმის კეთება და ვარჯიში გამიჭირდა. თუმცა ბოლოს გაჯიევმა მითხრა, კლუბი თუ ვერ ნახე, იცოდე, ყოველთვის დაგელოდებიო.

**- რუსეთის პრემიერლიგის კლუბში დარჩენა შეგეძლო და საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნდი?**

- მესმის, რომ ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ დაღესტანში ოთხი წელია ვთამაშობ და მეხუთე სეზონზე გაჩერება მეტისმეტი იქნებოდა, გარემოს და კლუბის შეცვლა ჰაერივით მჭირდებოდა.

**- როგორც ვიცი, დაღესტანში ფეხბურთელები სამთავრობო სპეცდასახლებებში ცხოვრობდით და გარეთ არ გადიოდით. დარჩენა ამის გამოც აღარ გსურდა?**

- ეს ერთ-ერთი მიზეზი იყო. ფეხბურთელის ცხოვრება მხოლოდ მოედანი და ვარჯიში არ არის. დროის სატარებლად მახაჩყალაში არავინ ჩავსულვართ, მაგრამ ქალაქში ხომ უნდა გახვიდე, დაისვენო, ზოგჯერ გაერთო... ეს საჭიროც არის. ჩვენი დასახლება კი ქალაქგარეთ იყო, მახაჩყალაში იშვიათად გავდიოდით და ასე ოთხი წელი ძნელი გასაძლები იყო, მოსაბეზრებელიც კი. თავად გუნდის ხელმძღვანელობაც ხვდებოდა, რომ გარემოს შეცვლა აუცილებელი იყო და თვეში სამჯერ ღონისძიებებს აწყობდნენ.

**- რუსულ მედიას თუ ვერწმუნებით, დაღესტანში საკმაოდ რთული ვითარებაა. ალბათ, ესეც ცუდად მოქმედებდა.**

- რა თქმა უნდა, ასე იყო. „ანჟის“ ფული აქვს და ძალიან კარგი ფეხბურთელების ჩაყვანაც სურთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ასეთი გარემო ბევრს აფრთხობს და უარსაც ამიტომ ამბობენ.

**- შენი აზრით, საქართველოდან უფრო ადვილია რუსეთის პრემიერლიგაში მოხვედრა, თუ მათი პირველი ლიგიდან?**

- ვფიქრობ, აქედან, რადგან „დინამოს“ სახელი ჯერაც ჭრის. მჯერა, ამ ექვს თვეში ფორმას აღვიდგენ, ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება და ჩემით რუსეთის პრემიერლიგის კლუბები დაინტერესდებიან.

**- როგორც ვიცი, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ერთხელაც არ გითამაშია.**



- ახალგაზრდულ ნაკრებში ბევრჯერ გამომიძახეს, რამენსკოეს „სატურნში“ თამაშის დროსაც კი, მაგრამ კლუბში პრობლემები შემექმნა.

**- კონკრეტულად?**

- რუსეთში 13 წლის წავედი და ამ ქვეყნის მოქალაქე გავხდი. იყო ნიუანსები, რომლის თქმაც არ მინდა. ზოგადად ვიტყვი: „სატურნში“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან ფაქსი რომ მიიღეს, არზიანი ნაკრების შეკრებაზე გამოუშვითო, ყველას გაუკვირდა, რუსეთში ხარ გაზრდილი და საქართველოს ნაკრებში რატომ გიწვევენო. დაიწყეს ჩემი პასპორტის შემოწმება. მერე ყაზანის „რუბინში“ გადავედი და იქაც გამომიძახეს, მთავარმა მწვრთნელმა ყურბან ბერდიევმაც გაიოცა, არ იციან, რუსეთის მოქალაქე რომ ხარო? გოჩა ტყებუჩავამ და კობა ჟორჟიკაშვილმა სულ ხუთჯერ გამომიძახეს, მაგრამ გუნდი არც მიშვებდა და პასუხს არც ჩვენს ფედერაციას სცემდა. ეს აქ გაურკვევლობას იწვევდა. რეალურად ნაკრებში თამაში მსურდა, მაგრამ ძალიან დიდ პრობლემებს ვაწყდებოდი.

**მერაბ მამულაშვილი**

# დაწყება: სიურპრიზით, ინტრიგით, დებიუტანტებით...

**... შარშანაც ასე იყო: მეორე ეტაპი თებერვლის პირველ რიცხვებში უნდა განახლებულიყო, მაგრამ მთელ საქართველოში ისეთი თოვლი მოვიდა, თითქმის ორი კვირა უფეხბურთოდ ვიყავით დარჩენილი. ახლაც, მეტისმეტად „მშრალი“ დეკემბრისა და იანვრის მერე, თოვლის მოსვლა მაინცდამაინც ეროვნული ჩემპიონატის განახლებას დაემთხვა. თუმცა, შარშანდელისგან განსხვავებით, ამჯერად მხოლოდ ერთი შეხვედრა გადაიდო, არადა, „ზესტაფონი“-„ტორპედოს“ დაპირისპირება „ტურის მშვენება“ უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, უამინდობის გამო „იმერული დერბი“ გადაიდო, თუმცა დანარჩენმა ოთხმა შეხვედრამ მეტ-ნაკლებად საინტერესოდაც ჩაიარა და, რაც მთავარია, სატურნირო ცხრილშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩემპიონატს ახალი ლიდერი ჰყავს და ცხრილის ქვედა ნაწილშიც სიტუაცია ერთობ დაიძაბა. ალარაფერს ვამბობთ ტურის მთავარ სენსაციაზე, უამრავ დებიუტანტსა თუ ახალწვეულზე, — მოკლედ, მეორე ეტაპი მართლაც საინტერესოდ დაიწყო და ჩვენც შევეცდებით, XIX ტურის გამორჩეულ ფაქტებსა თუ მოვლენებზე ვისაუბროთ.**

## სასურველი მეტოქე

საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ორი წლის გამარჯვებულები „ოლიმპი“ და „ვიტ ჯორჯია“ ამ სეზონში უკვე მეოთხედ შეხვდნენ ერთმანეთს და რუსთაველებმა ოთხივე დაპირისპირება მოიგეს! ოღონდ, წინა სამი დაპირისპირებიდან (ორი - ჩემპიონატზე, ერთიც - თასზე) განსხვავებით „ოლიმპს“ ამჯერად ძალიან გაუჭირდა მოგება; ყოველ შემთხვევაში, „ვეტერინარები“ სულ მცირე, ფრეს მაინც იმსახურებდნენ, მაგრამ მასპინძელთა საშემსრულებლო ოსტატობამ ამ თამაშის საბოლოო შედეგზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. ისე, ამ მეტოქეთა ოთხივე დაპირისპირებას შორის ბევრი საერთოც იყო: „ოლიმპისა“ და „ვიტ ჯორჯიას“ უკანასკნელ სამ მატჩში მოედანი უგოლოდ არ დაუტოვებია **ირაკლი მოდებაძეს,** ვინც ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა დავაში „ზესტაფონის“ ფორვარდებს **ნიკოლოზ გელაშვილსა** და **რატი წინამძღვრიშვილს** დაეწია (სამივეს ათ-ათი გოლი აქვთ გატანილი); ამას გარდა, ისე როგორც ამ გუნდების მეორე წრის შეხვედრაში, ახლაც ვიხილეთ კურიოზული გოლი: **დავით ბოლქვაძემ** მეტოქის საჯარიმოში მაღალი ბურთი ჩაჰკიდა და „ვიტ ჯორჯიას“ მეკარეს **არდალიონ მიქაბერიძეს** (კარიდან გამოსულს თანაგუნდელიც ხელს უშლიდა და მოწინააღმდეგის ფეხბურთელიც) ბურთი... საკუთარ კარში აეჭრა! შეგახსენებთ, რომ მეორე წრის შეხვედრაში „ვეტერინართა“ კარში „დუბლი“ ირაკლი მოდებაძემ შეასრულა, **დენის დობროვოლსკიმ** გოლი რიკოშეტით გაიტანა, ხოლო „ვიტ ჯორჯიას“ მცველმა **გურამ ადამაძემ** ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. რაც შეეხება დებიუტანტებს, მასპინძელთა გუნდში (თანაც, ძირითადში) ორი ახალწვეული ვიხილეთ: **ვაკო ტყემალაძე** ადრე „სამტრედიაში“ თამაშობდა, **ირაკლი მაისურაძე** კი საქართველოს ჩემპიონატში ბელარუსიდან ჩამოვიდა. სიახლეებზე ვსაუბრობთ და არც ის დაგვავიწყდეს, რომ ჩემპიონი-გუნდი მოედანზე ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **არმაზ ჯელაძემ** გამოიყვანა, რაც შეეხება **თორნიკე მაისურაძეს**, ახალგაზრდა სპეციალისტი ამიერიდან ორ თანამდებობას შეითავსებს: „ოლიმპის“ მწვრთნელ-სელექციონერიც იქნება და გუნდის გენერალური დირექტორიც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ვიტ ჯორჯიას“ მთავარ მწვრთნელს **მერაბ კოჭლაშვილს** ამ სეზონში „ოლიმპთან“ ოთხივე პაექრობაში ოთხ სხვადასხვა კოლეგასთან მოუწია დაპირისპირებამ: **თემურ მახარაძესთან** (პირველ წრეში), **რამაზ მუმლაძესთან** (მეორე წრეში), თორნიკე მაისურაძესა (სუპერთასზე) და არმაზ ჯელაძესთან (მესამე წრეში).

## ურთიერთშეხვედრების ფაქტორი

„იმერული დერბი“ კი გადაიდო, მაგრამ, საბედნიეროდ დასავლეთ საქართველოში დანიშნული ორი სხვა მატჩი მაინც ჩატარდა; თანაც, ორივე შეხვედრას სატურნირო თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და შესაძლოა, ლოკალური მასშტაბით, მაგრამ „კოლხეთისა“ და „ბაიას“ საშინაო გამარჯვებებს გარკვეული დატვირთვა მაინც ჰქონდა. განსაკუთრებით, უშუალო კონკურენტების, „კოლხეთისა“ და სამტრედიის“ დაპირისპირება უნდა აღვნიშნოთ, არ დაგვავიწყდეს, რომ ჩემპიონატის რეგლამეტით თანაბარი ქულების შემთხვევაში პრიორიტეტი ჯერ მოგებათა მეტ რაოდენობას ენიჭება, მერე კი — ურთიერთშეხვედრებს. ამ მხრივ კი, „კოლხეთს“ უკვე სერიოზული უპირატესობა აქვს თავის ერთ-ერთ უშუალო კონკურენტთან: სამიდან ორი დაპირისპირება მოუგო, ერთი კი ფრედ დაასრულა. ამის გარდა, დიდ ინტერესს იწვევდა ორივე გუნდის შემადგენლობაში ახალწვეულთა თამაშიც: „კოლხეთის“ ძირითადში ორი ისეთი ფეხბურთელი გამოჩნდა, პირველი ეტაპი „სამტრედიაში“ რომ გაატარა (**ლაშა ძაგანია, გიგა კვერენჩხილაძე**); მეორე ტაიმში შეცვაზე კი ახალგაზრდა ნახევარმცველი **გიორგი გავაშელიშვილი** გამოჩნდა, პირველ ეტაპზე „დინამოს“ შემადგენლობაში რამდენიმე მატჩი რომ ჩაატარა; სიახლე იყო „კოლხეთის“ რიგებში გამოცდილი **ლევან მდივნიშვილის** თამაშიც - 28 წლის ფეხბურთელი ბოლო პერიოდში სხვადასხვა აზერბაიჯანული გუნდის ღირსებას იცავდა. ერთდროულად 5 ახალწვეულით წარსდგა „სამტრედიაც“, ოღონდ **გიორგი ცხადაია** და **გიგა ბურჯანაძე** სხვა გუნდებიდან თუ გვახსოვდა, აი, სამმა ჭაბუკმა სულაც სადებიუტო მატჩი ჩაატარა უმაღლეს ლიგაში: **ტარიელ რუხაიამ, ირაკლი ხვადაგიანმა** და **ბაქარ ახობაძემ.** სხვათა შორის, ამ მატჩში გამარჯვების მომტანი გოლი გიგა კვერენჩხილაძემ გაიტანა და ეს მეორე შემთხვევაა XXII ჩემპიონატში, როცა ერთი და იმავე ფეხ-




ბურთელმა ორი სხვადასხვა გუნდის შემადგენლობაში გამოიჩინა თავი (მანამდე ეს **ვახტანგ კვარაცხელიამ** მოახერხა).

... დებიუტანტების თემა არანაკლებ აქტუალური იყო ზუგდიდურ შეხვედრაშიც: „ბაია“-„სიონის“ შეხვედრაში ერთადერთი გოლი გავიდა და მასპინძლებს ესოდენ საჭირო გამარჯვება 18 წლის **ირაკლი ქობალიას** ზუსტმა დარტყმამ მოუტანა. ქობალია პირველ მატჩს ატარებდა უმაღლეს ლიგაში და, როგორც ხედავთ, მშვენიერი დებიუტი გამოუვიდა. ისე, „სიონსაც“ ჰყავდა ახალწვეულები - ბოლნისური კლუბის მაისურა პირველად მოირგეს **რევაზ ჯიქიამ, ირაკლი ჩირიკაშვილმა** და **ნიკა კვასხვაძემ**. სხვათა შორის, ამ შემთხვევაშიც ურთიერთშეხვედრების ფაქტორი უნდა ვახსენოთ: „ბაიამ“ ორჯერ მოუგო „სიონს“ და ერთი მატჩიც ფრედ დასრულდა.

## სხვადასხვა პოლუსი

ტურის ბოლო შეხვედრა მოულოდნელი შედეგით დასრულდა: ზამთრის სატრანსფერო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მყოფმა თბილისის „დინამომ“ სატურნირო ცხრილის ბოლოადგილოსან „სპარტაკს“ ვერ მოუგო! სხვათა შორის, ამ სეზონში „დინამოსა“ და „სპარტაკის“ დაპირისპირებები უკვე მეორედ მთავრდება ფრედ და ჩვენმა ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა მხოლოდ პირველ წრეში შეძლო მეტოქის მინიმალური ანგარიშით დამარცხება. გასაგებია, ყველა შეხვედრას შენთვის სასურველი ანგარიშით ვერ დაასრულებ, მაგრამ ამ წყვილში რომ „დინამოს“ უპირობო ფავორიტის სტატუსი ჰქონდა, ვფიქრობთ, საკამათო არავისთვის უნდა ყოფილიყო. მით უფრო, რომ განახლებული „დინამოს“ ხილვა მართლაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა და ალბათ, ამიტომაც იყო, წინა მატჩებისგან განსხვავებით, ეროვნულ სტადიონზე 100 და 200 კაცი კი არა, ბევრად მეტი გულშემატკივარი რომ მოვიდა.

...**კახა კაჭარავამ** გუნდის მრავალრიცხოვან ახალწვეულთაგან მხოლოდ ნახევარი ათამაშა: **თორნიკე ზარქუამ** და **ნიკა კვეკვესკირმა** ოფიციალურ მატჩებში პირველად მოირგეს „დინამოს“ მაისურა, ისე როგორც საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნებულმა **დიმიტრი ტატანაშვილმა**. უცხოელთაგან კი ჩვენს ჩემპიონატში სადებიუტო შეხვედრა ჩეხმა მცველმა **ირჟი ჰომოლამ,** სერბმა მცველმა **მარკო მაროვიჩმა** და სერბმა ნახევარმცველმა **სემირ ჰაჯიბულიჩმა** ჩაატარეს. რა თქმა უნდა, ახალწვეულებს შესათამაშებლად გარკვეული დრო რომ დასჭირდებოდათ, ამას ყველა შეგუებული ვიყავით, მაგრამ „დინამოს“ წაფორხილებას ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა. თანაც, მასპინძლებს ხომ სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესების მშვენიერი შანსიც ჰქონდათ — გამარჯვების შემთხვევაში „ზესტაფონს“ უკან ჩამოიტოვებდნენ. თუმცა, მეტოქესაც არანაკლებ სჭირდებოდა ქულები და „სპარტაკი“ რომ მეორე ეტაპზე უბრძოლველად არაფერს დათმობს, ამ შეხვედრამაც დაადასტურა. ისიც საინტერესო იყო, რომ მასპინძელთა კარში გოლი **ზვიად მეტრეველმა** გაიტანა: გარკვეული პაუზის მერე „სპარტაკში“ დაბრუნებული ცენტრფორვარდი პირველ ეტაპზე სწორედ „დინამოს“ ღირსებას იცავდა. ოღონდ, ჩემპიონატში ჩატარებულ 12 შეხვედრაში ვერც ერთხელ იხეირა სხვა გუნდის შემადგენლობაში კი პირველსავე მატჩში ყოფილ გუნდს გოლი გაუტანა. სადებიუტო მატჩში ასევე გოლით გამოიჩინა თავი ჰაჯიბულიჩმაც, თუმცა ეს გამარჯვებისათვის საკმარისი არ გამოდგა და ამ სეზონში „დინამომ“ უკვე მერამდენედ დაკარგა „გაუთვალისწინებელი“ ქულები! თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ კახა კაჭარავას გუნდს ორი მომდევნო შეხვედრა უშუალო კონკურენტებთან აქვს: „ზესტაფონთან“ და „ოლიმპთან“. თუმცა, იმ დროისათვის „დინამოში“ თამაშის უფლება სხვა ახალწვეულებსაც (**ზურაბ არზიანი, პეტარ ელიჩი**) ექნებათ და ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის ერთგული ქომაგებიც ამ ორ პრინციპულ დაპირისპირებას დიდი იმედით უცქერენ.

**გია ტუხაშვილი**



დინამო-სპარტაკი 1:1

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

---

ინტერვიუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეტრეველი სუპერმოტივაციას არ უარყოფს, ოღონდ...

## მე სულ ასეთს მნახავთ

**ზვიად მეტრეველმა თბილისის “დინამო” ზამთრის სატრანსფერო პერიოდისას დატოვა და ცხინვალის “სპარტაკს” მიაშურა. ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის სასტარტო მატჩი ამ კლუბებმა სწორედ ერთმანეთის წინააღმდეგ ჩაატარეს და შეხვედრის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა სწორედ მეტრეველი იყო. 25 წლის თავდამსხმელმა თავის ყოფილ კლუბს ქულის მომტანი გოლი გაუტანა და დუბლის შესრულებამდე მცირედი დააკლდა. მატჩის შემდეგ მეტრეველს მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.**

**- პირველ ყოვლისა, განვლილი მატჩის შესახებ რას იტყოდით?**

- ორივე გუნდისთვის ძალიან მძიმე და დაძაბული თამაში გამოდგა. შეხვედრის უდავო ფავორიტი “დინამო” იყო, მაგრამ “სპარტაკმა” დაამტკიცა, რომ ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევი ძალაა. ძალიან მიხარია, რომ თავგანწირვა დაგვიფასდა და ასეთ ძლიერ მოწინააღმდეგეს ქულა ავართვით.

**- შეხვედრის შედეგი ლოგიკურად მიგაჩნიათ?**

- დიახ, ვფიქრობ, მაყურებელი დამეთანხმება, რომ აბსოლუტურად ლოგიკური შედეგი დაფიქსირდა.

**- “დინამოს” კარში გამარჯვების გოლის გატანაც შეგეძლოთ.**

- იმ ეპიზოდმა გული ძალიან დამწყვიტა. თითქოს ყველაფერი სწორად გავაკეთე, მაგრამ დარტყმა უკეთაც შემეძლო. სამწუხაროდ, იღბალმა იმ მომენტში ზურგი მაქცია. ყველამ დაინახა, რომ “სპარტაკი” ყრუ დაცვაში არ ჩამდგარა და როგორც კი ხელსაყრელი სიტუაცია მიეცემოდა, მაშინვე უტევდა.

**- დარტყმის შემდეგ გარკვეული ხანი ფეხზე წამოდგომას ვერ ახერხებდით. “დინამოს” მცველთან კონტაქტისას ტრავმა ხომ არ მიიღეთ?**

- არა, სერიოზული არაფერია.

**- ალბათ, “დინამოს” წინააღმდეგ განსაკუთრებული მოტივაციით ითამაშეთ.**

- ვერ უარვყოფ, რომ “დინამოსთან” სათამაშოდ მოედანზე სულ სხვა განწყობით გავედი, მაგრამ გარწმუნებთ, მოტივირებულს გულშემატკივრები აბსოლუტურად ყველა შეხვედრაში მნახავენ.

**- იმის მიუხედავად, რომ “სპარტაკში” პირველ ოფიციალურ მატჩს ატარებდით, გუნდთან ბოლომდე გაშინაურებული ჩანდით.**

- ეს მწვრთნელებისა და ჩემი თანაგუნდელების დამსახურებაა. ნაყოფიერი მოსამზადებელი ეტაპი გავიარეთ, ამხანაგური მატჩებიც მრავლად ჩავატარეთ და ყოველივე ამის წყალობით ბიჭებთან საერთო ენა იოლად გამოვნახე. მთავარი მაინც ისაა, რომ “სპარტაკში” ძალიან მეგობრული გარემო დამხვდა, რამაც დამატებითი ენერგია შემძინა. აქამდეც მითქვამს, რომ “დინამოდან” “სპარტაკში” გადასვლა ჩემს განწყობაზე უარყოფითად ვერ იმოქმედებს. ჩემი საფეხბურთო თვისებების გამოვლენაში ხელს არც აქ მიშლის ვინმე.

**- შეგიძლიათ თქვათ, რომ ოპტიმალურ ფორმაში ხართ?**

- ჩემი მომზადების დონეს დადებითად შევაფასებდი, მაგრამ საკუთარი თავით კმაყოფილი არასდროს უნდა იყო და მეც მიმაჩნია, რომ მეტი შემიძლია.

**- ალბათ, “დინამოსთან” მიღწეულმა ფრემ უმაღლეს ლიგაში დარჩენის იმედი გაგიძლიერათ.**

- ამ მატჩამდეც გვჯეროდა, რომ მიზანს აუცილებლად მივაღწევდით, “დინამოსთან” შეხვედრამ კი ნათლად წარმოაჩინა - “სპარტაკს” ნებისმიერი მეტოქისთვის დიდი წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია. წინ დიდი ბრძოლები გველის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, უმაღლეს ლიგაშიც დავრჩებით და სეზონს სატურნირო ცხრილში ღირსეულ პოზიციაზეც დავასრულებთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ბაია

# ბაიას იანვარი ჩაუთვალეს

"ბაიამ" სეზონის მეორე ნახევარი ბოლნისის "სიონის" ძლევით დაიწყო და ამით სატურნირო ცხრილშიც წაიწია. საკითხავი ისაა, როდის გამოსწორდება ზუგდიდურ კლუბში ფინანსური მდგომარეობა. "ბაიას" ამ მხრივ საქმე იდეალურად ნამდვილად არ აქვს, მაგრამ, როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ელგუჯა ქომეთიანმა** გვითხრა, მცირედი ძვრები მაინც არის.

*"ფეხბურთელებსა და კლუბის პერსონალს იანვრის ხელფასები დაურიგდათ და ვიმედოვნებთ, რომ ისინი კუთვნილ გასამრჯელოს მომავალშიც შეუფერხებლად მიიღებენ. ეს ახალი ამბავი ბიჭებისთვის დიდი სტიმულია, "სიონთან" გამარჯვებისთვის ჩვენმა ფეხბურთელებმა თავგამოდებით იბრძოლეს",* - ამბობს ქომეთიანი.

მასთან საუბრისას ისიც შევიტყვეთ, რომ "ბაიას" მცველ **გიორგი კვესეიშვილის** უზბეკურ კლუბში გადასვლა გადაწყვეტილია. კვესეიშვილი საქართველოში რამდენიმე დღით დაბრუნდება და ზუგდიდელებთან მოლაპარაკების შემდეგ ახალ კლუბს შეუერთდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ლეგიონი

# ადამია ადამსის წინააღმდეგ


ილია კანდელაკი (ბურთით)

საქართველოსა და აზერბაიჯანში ერთდროულად განახლდა ეროვნული ჩემპიონატები. აზერბაიჯანული პრემიერლიგის მე-20 ტურში რომ ორი ქართული გოლი გავიდა, უკვე ვწერდით, ახლა კი უფრო დაწვრილებით შემოგთავაზებთ, ვინ როგორ ითამაშა ქართველ ლეგიონერთაგან ჩვენს სამეზობლოში. ყველაზე ქართული გუნდით დავიწყებთ - თანამეგობრობის თასის ტრიუმფატორმა „ინტერმა" 2:0 მოუგო „სიმურგს" და 37 ქულით მესამე ადგილზეა. სანამ „ინტერი" მთელი შემადგენლობით აზერბაიჯანის პრეზიდენტს შეხვდებოდა, ბაქოურმა გუნდმა იოლად დაჯაბნა საინგილოს წარმომადგენელი. „შაფაზე" 300-მა გულშემატკივარმა უყურა **კახა ცხადაძის** გუნდის გამარჯვებას: კარში **გიორგი ლომაია** იდგა, სასტარტოში იყვნენ **ილია კანდელაკი, დავით ოდიკაძე** (მე-2 ტაიმში შეცვალეს) და **კახა მჟავანაძე.**

**გიორგი ადამიას** „ყარაბახმა" ტონი ადამსის „გაბალა" 3:0 გაანადგურა. ქართველმა ფორვარდმა 63-ე წუთზე საკმაოდ ეფექტური გოლი გაიტანა თავით მეკარის ახლო კუთხეში. გიორგი 78-ე წუთზე შეცვალეს. ჩვენებურს უკვე 7 გოლი აქვს გატანილი ამ სეზონში. სტუმართა რიგებში არ უთამაშია **გოგა ბერაიას.** „ყარაბახი" 36 ქულით მე-4 ადგილზეა.

გოლი მიითვალა „თურანის" 22 წლის ფორვარდმა **გიორგი ჭედიამ,** მან აუტსაიდერ მოიკ-ს გაუტანა (2:0). ეს ჭედიას მე-2 გოლია ჩემპიონატში. ამ შეხვედრაში „თურანში" დებიუტი ჰქონდათ ფოთის „კოლხეთის" ყოფილ მცველ **ოლეგ გველესიანსა** და რუსთავის „ოლიმპის" ყოფილ თავდამსხმელ **გიორგი ბერიაშვილს.** „თურანი" 15 ქულით მეათეა.

აზალ-ისა და „განჯას" მატჩში (0:0) მასპინძელთა შორის **ნუგზარ კვირტიამ** ითამაშა, ხოლო სტუმრებში - **ზურაბ ძამსაშვილმა.** აზალ-ი 35 ქულით მე-5 ადგილზეა, ხოლო „განჯა" 23 ქულით მერვეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ალიევმა ინტერს დსთ დაუფასა

თანამეგობრობის თასის მომგებ ბაქოს "ინტერს" აზერბაიჯანის პრეზიდენტმა **ილჰამ ალიევმა** უმასპინძლა და გუნდის ხელმძღვანელობას, სამწვრთნელო შტაბსა და ფეხბურთელებს ეს გამარჯვება მიულოცა. ალიევმა მოგებული ტიტულითა და განსაკუთრებით ტურნირის მეოთხედფინალში სომხური "მიკას" დამარცხებით კმაყოფილება აქამდეც გამოხატა, ინტერელებთან შეხვედრისას კი კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ამ გამარჯვების მნიშვნელობას.

თავის მხრივ, "ინტერის" პრეზიდენტმა **გიორგი ნიკოლოვმა** და მთავარმა მწვრთნელმა **კახა ცხადაძემ** პრეზიდენტს მორალური თანადგომისთვის მადლობა გადაუხადეს.

შეგახსენებთ, "ინტერს" ცხადაძესთან ერთად **გიორგი ჩიხრაძე** წვრთნის, გუნდში კი ექვსი ქართველი თამაშობს – **გიორგი ლომაია, ილია კანდელაკი, ვალერი აბრამიძე, დავით ოდიკაძე, კახა მჟავანაძე** და **ბაჩანა ცხადაძე.**

აქვე იმასაც გეტყვით, რომ რუსული "სპორტ-ექსპრესის" ტრადიციულ გამოკითხვაში, რომელიც პოსტსაბჭოური ქვეყნების საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენას ისახავს მიზნად, იანვრის რეიტინგში ლომაია 23 ქულით მე-6 ადგილზეა, გამოკითხვას კი 57 ქულით მიუნხენის "ბაიერნის" უკრაინელი ნახევარმცველი **ანატოლი ტიმოშჩუკი** ლიდერობს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● რეგიონი

# გორი, აბუჯა, კონექტიკუტი

## რა თბილები ხართ და როგორ ცივა



გორში სტუმრად ჩამოვიდა ნიგერიის დედაქალაქ აბუჯის საფეხბურთო აკადემია „თალენთ სოკერ აკადემის" 19-წლამდელთა გუნდი. ნიგერიელები შიდა ქართლში 26 თებერვლამდე დარჩებიან, ივარჯიშებენ და ჩაატარებენ ამხანაგურ მატჩებს ადგილობრივ კლუბებთან. აფრიკელთა სტუმრობა გორში რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის **გია რევაზიშვილისა** და ნიგერიელი ფეხბურთელის **რიჩარდ ოიებედეს** ინიციატივით მოხერხდა. ეს უკანასკნელი გორელების სიძე გახლავთ და, როგორც გვითხრა, რამდენიმე დღეში ბელარუსის ერთ-ერთ კლუბში მიდის გასინჯვაზე. გუშინ რევაზიშვილმა და ოიებედემ აფრიკელი მობურთალები შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციის ოფისში ადგილობრივ მედიას შეახვედრეს და ისაუბრეს გორისა და აბუჯის საფეხბურთო აკადემიის საქმიანი კონტაქტების მიზნებსა და პერსპექტივებზე. აღმოჩნდა, რომ აფრიკელთა ეს ახალგაზრდული გუნდი ნიგერიის უდიდეს საფეხბურთო აკადემიას წარმოადგენს, რომელიც არაერთი წელია არსებობს.

*„ეს ყველაფერი იმიტომ კეთდება, რომ ჩვენი საფეხბურთო პროფესიონალიზმი ნახონ ჩვენმა სტუმრებმა და საკუთარიც გვაჩვენონ. გუშინ ვუყურე მათ ვარჯიშს და საკმაოდ კმაყოფილი დავრჩი. ვეპატიჟებით ჩვენი კლუბების წარმომადგენელთ, მოვიდნენ, დააკვირდნენ ახალგაზრდა ნიგერიელი მობურთალების ნიჭს, შესაძლებლობებს. ვფიქრობ, მჭიდრო კავშირი ნიგერიელებთან მხოლოდ და მხოლოდ ახეირებს რეგიონის და ზოგადად ჩვენს ფეხბურთს. სხვათა შორის, ჩვენი კონტაქტები უცხოეთში მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. აპრილში ნორვეგიიდან ველით სტუმრებს, ზაფხულში კი ამერიკელებს, კონექტიკუტის შტატის ერთ-ერთი ქალაქის გუნდს ვუმასპინძლებთ"* - თქვა გია რევაზიშვილმა.

*„პირველ ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ ძალიან მოგვეწონა საქართველო და კერძოდ გორი. აქ ძალიან გულთბილი ხალხია, ოღონდ ეგაა, რომ ამინდი დაგვხვდა საკმაოდ სუსხიანი, რასაც, ბუნებრივია, შეუჩვევლები ვართ და, ცოტა არ იყოს, გვიჭირს ვარჯიშისას. თუმცა, მიუხედავად ამისა, გვინდა სრულყოფილად გაჩვენოთ საკუთარი შესაძლებლობები"* - თქვა გუნდის მწვრთნელმა **ოქორო აისენტიმ.**

17 თებერვალს ნიგერიელები პირველ ამხანაგურ მატჩს გამართავენ გორის „დილასთან".

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან
**დავით ასპანიძის** ფოტო

● დიდი ეპოქის დასასრული


რონალდო

# ფენომენი წავიდა...

14 თებერვალს ფეხბურთი რაღაც დოზით მაინც უფრო ღარიბი გახდა, რადგან **რონალდომ** აქტიური კარიერის დასრულება გადაწყვიტა. ოფიციალური განცხადება ამის შესახებ მან სწორედ გუშინ გააკეთა. უკანასკნელ წლებში დიდი ასპარეზიდან არაერთი ლეგენდა წავიდა, თუნდაც **მალდინის, ფიგუსა** და **ზიდანის** გახსენება რად ღირს, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ რომელიმე მათგანი ბედმა ასე გაწირა და დატანჯა. რონის კარიერის ბოლო ტკივილთან ბრძოლას უფრო ჰგავდა, ვიდრე ბურთით მხიარულ თამაშს.

რონალდო დაიბადა 1976 წლის 22 სექტემბერს რიო დე ჟანეიროში. სამშობლოში მისი ნიჭი ჯერ კიდევ პატარაობისას შენიშნეს. 1993 წელს, ჯერ კიდევ 16 წლისა ის „კრუზეიროში" ჩაირიცხა (1993-94), თუმცა ერთი სეზონის შემდეგ უკვე ევროპაში წამოვიდა სათამაშოდ, სადაც "ეინდჰოვენის" ფორმა მოირგო. "ფილიპსის" გუნდში მან ორი სეზონი (1994-96) გაატარა და 57 შეხვედრაში 54 გოლის გატანა შეძლო. შემდეგ გეზი ბარსელონისკენ აიღო და "ბლაუგრანას" აგურისფერი კვართი მოირგო. „კამპ ნოუზე" ერთ სეზონში მის ანგარიშზე 49 შეხვედრაში გატანილი 47 გოლია (1996-97). სწორედ ამ კლუბში დასრულდა ფეხბურთელის უდარდელი ხანა. შემდეგი გაჩერება "ინტერი" აღმოჩნდა (1997-2002), კლუბი, სადაც მან უმძიმესი ტრავმები გადაიტანა და პრაქტიკულად ყოველი მომდევნო ოპერაციის შემდეგ თავიდან სწავლობდა ფეხბურთის თამაშს. მიუხედავად ყველაფრისა, "ჟუზეპე მეაცაზე" მის ანგარიშზე 99 მატჩში 59 გოლი მოდიოდა. "რეალში" გატარებულ წლებს (2002-2007) და 177 მატჩში გატანილ 104 გოლს მისი კარიერის დაისს ვერაფრით ვუწოდებთ, მაგრამ ეს მაინც არ იყო "ის რონალდო", რომელსაც გულშემატკივარი შეეჩვია. ბოლო ევროპული სადგური, სადაც რონიმ ლუზა ჩაუშვა, "მილანი" იყო (2007-08) – 20 მატჩი, 9 გოლი. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს: ფენომენმა პირველად ლურჯ-ყვითელი მაისურა 1994 წელს მოირგო და უკანასკნელად ის 2006 წელს ემოსა. ეროვნულ გუნდში 96 მატჩში მის ანგარიშზე 62 გოლია.

აქვე სრულად გაგაცნობთ მის მიღწევებს: მსოფლიოს ჩემპიონი (1994, 2002), მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (1998), სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი (1997, 1999), უეფას თასის გამარჯვებული (1997-98), თასების მფლობელთა თასების გამარჯვებული (1996-97), საკონტინენტთაშორისო თასის გამარჯვებული (2002), უეფას სუპერთასის მფლობელი (2002, 2007), იტალიის ჩემპიონი (2002-03), ჰოლანდიის თასის მფლობელი (1995-96), ესპანეთის სუპერთასის გამარჯვებული (2003), პაულისტას შტატის ჩემპიონი (2009), ბრაზილიის თასის მფლობელი (2009).

პირადი მიღწევები: ფიფას ვერსიით წლის საუკეთესო ფეხბურთელი (1996, 1997, 2002), "ფრანს ფუტბოლის" ოქროს ბურთის მფლობელი (1997, 2002), მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, მსოფლიოს ჩემპიონატების რეკორდსმენი ფინალურ სტადიებზე გატანილი გოლების მიხედვით - 15 გოლი.

თითქოს გუშინ იყო "ფენომენი" მწვანე მინდორზე რომ დაფრინავდა, არა? თუმცა დღეს ის უკვე აღარ ჰგავს თავის თავს, მით უფრო არ ჰგავს ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს ფეხბურთელს. სამაგიეროდ მასში შეიძლება ამოიცნოთ ადამიანი, რომელსაც ძალიან უყვარს ჭამა და უყვარს ლუდი. *"მეტი უკვე აღარ შემიძლია. მინდა, მაგრამ აღარ შემიძლია... მინდორზე ერთი ჩაფიქრებული მოძრაობის მაგივრად სულ სხვა გამომდის. ჩემი დრო უკვე წავიდა, მაგრამ რაც იყო, მართლა ყველაფერი ზღაპრული იყო,"* – განაცხადა სპეციალურად მოწვეულ პრესკონფერენციაზე ვეტერანმა.

აშკარაა, რომ რონალდოს პოტენციალი სრულად მსოფლიომ ასეც ვერ იხილა. ახლა ძნელია იმაზე მსჯელობა, ნაღდი რონალდოს რამდენი პროცენტი ვიხილეთ, 50 თუ უფრო ნაკლები. გარდა ტრავმებისა ფენომენი ფეხბურთს მისმა არეულმა პირადმა ცხოვრებამ და ღამეულმა თავგადასავლებმაც წაართვა. *"ფეხბურთმა ძალიან ბევრი რამ მომცა. ფეხბურთით ვცოცხლობდი და მხოლოდ ახლა ვაცნობიერებ, რომ რაღაცებს ვნანობ. თუნდაც იმას, რომ ჩემპიონთა ლიგის მოგება ვერ მოვახერხე,"* – დასძინა დასასრულს ფეხბურთელმა.

ყველაფერი მართლა ფანტასტიკური იყო... ჰმ, იყო... ძნელია შეგუება, არა?

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ინტერვიუ. ჰარი რედნაპი

# თავს ჭკვიანად ნუ წარმოაჩენთ, ფეხბურთი მარტივი თამაშია

**დღეს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „ტოტენჰემ ჰოთსპური" „სან სიროზე" „მილანს" სტუმრობს. ლონდონური გუნდისთვის ეს დიდი მიღწევაა, თუმცა ამაზე და კიდევ ბევრ სხვა საკითხზე „დეილი მეილს" „დეზების" მწვრთნელი ჰარი რედნაპი ელაპარაკა.**

**- თქვენს გუნდს ჩემპიონთა ლიგის დიდი გამოცდა ელის - მერვედფინალში ხართ. გთხოვთ, გაიხსენოთ, რას ელოდით შეჯიბრებისგან ზაფხულის ბოლოს, როდესაც ყველაფერი იწყებოდა?**

- მინდოდა საკვალიფიკაციო ეტაპზე შვეიცარიული „იანგ ბოიზი" დაგვემარცხებინა. ჩვენთვის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ვღელავდი. როდესაც ბერნში, 30 წუთის შემდეგ „იანგ ბოიზი" 3:0-ს გვიგებდა, ვიფიქრე, რომ ყველაფერი დამთავრდა. მეგონა, იმ საშინელ გრუნტზე ველარაფერს მოვახერხებდით, მაგრამ თავი ხელში ავიყვანეთ, ორი გოლი გავიტანეთ, შემდეგ საპასუხო შეხვედრაშიც გავიმარჯვეთ და ჯგუფურ ეტაპზე გავედით.

აქ უკვე სხვანაირად დავიწყე ფიქრი. ჩემს თავს ვეუბნებოდი: ძალიან კარგი, ახლა შეგვიძლია ჩემპიონთა ლიგის ფეხბურთით ვისიამოვნოთ. უძლიერეს ჯგუფში მოვხვდით, „ინტერთან", „ვერდერთან" და „ტვენტესთან". ასეთი ჯგუფიდან გაღწევა ფანტასტიკური შედეგი



იქნებოდა. მეორე მხრივ თავს იმით ვინუგეშებდი, რომ თუ პლეიოფში ვერ გავიდოდით, უდიდეს გამოცდილებას მაინც შევიძენდით. საბედნიეროდ გავედით და თან პირველი ადგილით. ჯგუფში, სადაც „ინტერი" თამაშობდა ამის გაკეთება ენით აუწერელი მიღწევა გახლდათ. ახლა „მილანს" ვხვდებით, კიდევ ერთ იტალიურ გრანდს და დიდი მატჩის მოლოდინში გახლავართ. გვინდა, რაც შეიძლება მეტი ეტაპი დავძლიოთ.

**- ელიტაში გარევა კარგია, მაგრამ „ჩელსის" ხომ არ გშურთ? „ლურჯებს" ხომ „კოპენჰაგენი" შეხვდათ.**

- პირიქით, „კოპენჰაგენთან" შეხვედრა არ მინდოდა. ყველა ამბობდა „კოპენჰაგენს" რომ შევხვდეთ, მეოთხედფინალში გავალთო, მაგრამ მე ამ გუნდს იოლად არ ვუყურებდი. ის ბანანის კანივით არის, თითქოს დიდი არაფერია, მაგრამ ფეხს უშნოდ თუ დააბიჯებ, ამოყირავდები. მოკლედ, „მილანთან" შეხვედრით კმაყოფილი გახლავართ. იგი „ინტერისგან" ძალიან განსხვავებული, მაგრამ არანაკლები სიძლიერის გუნდია. თან, თუკი ჯგუფში „ინტერს" ვაჯობეთ, „მილანთან" გამარჯვება რატომ არის გამორიცხული?

**- „მილანი" ვარსკვლავებით სავსე გუნდია, მაგრამ თქვენ ვის გამოყოფდით „შავ-წითლებისგან"?**

- მე თუ მკითხავთ, მათი გამორჩეული ვარსკვლავი ზლატან იბრაჰიმოვიჩია. ამას წინათ დავესწარი „მილანისა" და „ლაციოს" შეხვედრას. მინდა გითხრათ, რომ იბრაჰიმოვიჩი დიდებული იყო. სხვა ვარსკვლავებიც ბლომად ჰყავთ, მაგრამ ჩვენი არ იყოს ტრავმებმა მათაც სერიოზულად დარია ხელი.

**- მილანში „ინტერთან" სათამაშოდ რომ იყავით, გარეთ ბეილმა წარმოაჩინა თავი, როგორც საერთაშორისო დონის ვარსკვლავმა. სადამდე შეუძლია მას განვითარდეს?**

- გარეთი საოცრად ვითარდება და ეს იმით არის განპირობებული, რომ საკუთარი შესაძლებლობებისა ირწმუნა. მისი პრობლემა ის გახლდათ, რომ გამარჯვებულის მენტალიტეტის მქონე გუნდში არ ჰქონდა ნათამაშები. ბეილის გონებაში ყველაფერი უცბად შეიცვალა, ერთ მშვენიერ დღეს მან სხვა დონის ფეხბურთელად გაიღვიძა. ის სიმაღლით 183 სანტიმეტრია, სწრაფია, დრიბლინგი ეხერხება, შეუძლია მთელი დღე ირბინოს... სამწუხაროდ, ამჟამად დაშავებულია, მაგრამ ჩვენი ექიმები ყველა ღონეს ხმარობენ რომ გამოაჯანმრთელონ და „მილანთან" საპასუხო მატჩში თამაში შეძლოს.

> მწვრთნელობა მეცნიერება არ არის, აქ საღი აზრი და თამაშის უბრალო ცოდნა სრულიად საკმარისია.

ბეილის ვარსკვლავად ჩამოყალიბებამ უამრავი სატრანსფერო ჭორი ააგორა. გამოჩნდნენ მყიდველებიც. მე რომ ისეთ კლუბში ვმუშაობდე, როგორებშიც ადრე ვიყავი, მისი გაყიდვა მომიწევდა.

**- ახლა საუკეთესო მოთამაშეების გაყიდვა აღარ მოგიწევთ?**

- დიახ, „ტოტენჰემი" პრემიერლიგის ზედა ოთხეულის წარმომადგენელია, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში თამაშობს. ასეთი კლუბი თავის ოთხ საუკეთესო ფეხბურთელს მაინც არ უნდა ყიდდეს, თუმცა დღევანდელ ცხოვრებაში მოთამაშეების შენარჩუნება ძნელია. ხომ ხედავთ, როდესაც ტორესმა „ლივერპულიდან" წასვლა გადაწყვიტა, მისი დატოვება შეუძლებელი გახდა. თუკი ფეხბურთელი შემოდის და გეუბნება, რომ წასვლა სურს, ძნელია უთხრა: არა, შენ ჩვენთან დარჩები! თუმცა, იმედი მაქვს, რომ გარეთი ასეთი ბიჭი არ არის. მან კარგად იცის, რომ განვითარებისთვის ჩვენთან ყოფნა სჭირდება და თუ უახლოეს რამდენიმე წელიწადში „ტოტენჰემიც" ისეთ კლუბად ჩამოყალიბდება, როგორზეც ის ოცნებობს, მაშინ სხვაგან გადასვლაზე ლაპარაკი საერთოდ აღარ იქნება საჭირო.

**- რამდენად მჭიდროდ თანამშრომლობთ „ტოტენჰემის" თავმჯდომარესთან? სატრანსფერო საკითხებს ერთად წყვეტთ?**

- რასაკვირველია ვთანამშრომლობ, მაგრამ საქმეებს ის ჩარხავს. მე სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს საერთოდ არავისთან დამირეკავს. თავმჯდომარეს მხოლოდ და მხოლოდ სასურველი ფეხბურთელების სია ჩამოვუწერე, თუმცა, მართალი გითხრათ, იმ დღეს არაფერი მომხდარა. ერთი-ორი კაცი კინაღამ ვიყიდეთ და ეგ იყო. თავს ნამდვილად არავის გულისთვის არ ვიკლავდით. თუ ვინმეს ვიყიდდით, უნდა ყოფილიყო ისეთი მოთამაშე, რომელიც გაგვაძლიერებდა, ანუ ჩვენს დღევანდელ ფეხბურთელებზე უკეთესი იქნებოდა. ასეთის პოვნა ძნელი აღმოჩნდა.

**- ხომ არ გაღიზიანებთ, რომ ხალხი უფრო თქვენს სატრანსფერო წარმატებებს აქცევს ყურადღებას, ვიდრე სხვა პროფესიულ თვისებებს?**

- არადა, ფეხბურთელები, რომლებითაც წარმატებას მივაღწიეთ, მე არ მომიყვანია. ისინი „ტოტენჰემში" დამხვდნენ. ერთადერთი, რაც მე გავაკეთე, ის იყო, რომ ეს ფეხბურთელები პრემიერლიგის გასავარდნთა ზონიდან ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალამდე მივიყვანე. ვფიქრობ, მათ სწორი პოზიციები შევურჩიე და საკუთარი თავის რწმენა შევძინე, რამაც მოგვიტანა კიდეც შედეგი.

მწვრთნელობა მეცნიერება არ არის, აქ საღი აზრი და თამაშის უბრალო ცოდნა სრულიად საკმარისია. კენი დალგლიშის მაგალითი ავიღოთ. როდესაც მას „ლივერპულში" ნიშნავდნენ, ხალხი ამბობდა: მას ხომ ამდენი ხანია მწვრთნელად არ უმუშავია. შეძლებს საქმისთვის თავის გართმევას? კი, მაგრამ, რა შეიცვალა? ფეხბურთს თერთმეტი თერთმეტის წინააღმდეგ აღარ თამაშობენ თუ ბურთი აღარ დაგორავს ძველებურად?

ხალხს რატომღაც ჰგონია, რომ ფეხბურთი, უცბად ძალიან ჭკვიანურ დარგად იქცა. არაფერი მსგავსი არ მომხდარა. თუ გრძნობ, ხალხს საუკეთესო თვისებები როგორ გამოავლენინო, ვის რა უფრო ეხერხება, წარმატებას მიაღწევ. სულ ეს არის. ჯორჯ ბესტი დღესაც მოატყუებდა ოთხხუთ მოწინააღმდეგეს და გოლებს გაიტანდა. ხალხი ცდილობს, თავი ჭკვიანად წარმოაჩინოს, დაფებთან დგება და კომპიუტერებს რთავს. არადა, საქმე სულაც არ არის ასე რთულად. ყველაფერი ძველებურადაა. ფეხბურთი ძალიან მარტივი თამაშია.

**- ხანდახან მოედნის კიდიდან გაჰყვირით ხოლმე...**

- მართლაც, ხანდახან ემოციას ვერ ვთოკავ, მაგრამ ბევრ ყვირილში კარგი არაფერია. ვის ესიამოვნება მთელი 90 წუთი რომ უყვირონ?! ხალხი მოედანზე სათამაშოდ გადის და თუ ამდენი შენიშვნა სჭირდებათ საერთოდ რატომ უშვებ იქ? შემოვლენ შესვენებისას გასახდელში და იქ უთხარი, თუ რამე შენიშვნა გაქვს.

### ინგლისი. პრემიერლიგა.

XXVII ტური

**ფულჰემი-ჩელსი 0:0**

**ფულჰემი** (4-4-2): შვარცერი – ბეირდი, ჰანგელანდი, ჰიუზი, სალსიდო – დაფი, სიდუელი, მერფი (83. გერა), დემპსი – ჯონსონი (74. ს. დევისი), დემბელე (83. გუდიონსენი)

**ჩელსი** (4-3-3): ჩეხი – ივანოვიჩი, ტერი, ლუიზი, ე. კოული – რამირესი, ესიენი, ლემპარდი – მალუდა, ანელკა (66. კალუ), ტორესი (71. დროგბა)

**პენალტი ვერ გაიტანა:** დემპსი (90-ფულჰემი)

**გაფრთხილება:** სიდუელი, გერა - ივანოვიჩი

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა** 11-13; **კარში დარტყმა** 13-25(5-3); **თამაშგარე** 1-3; **ბურთის ფლობა:** 37-63

**მაყურებელი:** 25 685

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 26 | 16 | 9 | 1 | 57:25 | 57 |
| 2. არსენალი | 26 | 16 | 5 | 5 | 56:27 | 53 |
| 3. სიტი | 27 | 14 | 7 | 6 | 43:24 | 49 |
| 4. ტოტენჰემი | 26 | 13 | 8 | 5 | 37:28 | 47 |
| 5. ჩელსი | 26 | 13 | 6 | 7 | 46:22 | 45 |
| 6. ლივერპული | 27 | 11 | 6 | 10 | 35:32 | 39 |
| 7. სანდერლენდი | 27 | 9 | 10 | 8 | 33:33 | 37 |
| 8. ბოლტონი | 27 | 9 | 9 | 9 | 38:37 | 36 |
| 9. სტოკი | 26 | 10 | 3 | 13 | 31:33 | 33 |
| 10. ნიუკასლი | 26 | 8 | 8 | 10 | 40:38 | 32 |
| 11. ბლექბერნი | 27 | 9 | 5 | 13 | 34:42 | 32 |
| 12. ფულჰემი | 27 | 6 | 13 | 8 | 28:28 | 31 |
| 13. ევერტონი | 26 | 6 | 12 | 8 | 33:36 | 30 |
| 14. ბირმინგემი | 25 | 6 | 12 | 7 | 25:33 | 30 |
| 15. ასტონ ვილა | 27 | 7 | 9 | 11 | 31:46 | 30 |
| 16. ბლექპული | 26 | 8 | 5 | 13 | 39:50 | 29 |
| 17. ვესტ ბრომ. | 26 | 7 | 6 | 13 | 34:51 | 27 |
| 18. უიგანი | 27 | 5 | 12 | 10 | 27:45 | 27 |
| 19. ვესტ ჰემი | 27 | 5 | 10 | 12 | 30:48 | 25 |
| 20. ვულვზი | 26 | 7 | 3 | 16 | 26:45 | 24 |

ამბები



## ვყიდულობ, ვყიდულობ...

„ჩელსის" მეპატრონე **რომან აბრამოვიჩი** კლუბის გადახალისებას განაგრძობს. მას მერე, რაც რუსმა ბიზნესმენმა 75 მილიონ ფუნტად **ფერნანდო ტორესი** და **დავიდ ლუიზი** იყიდა, ჯერი... „არსენალის" სკაუტთა შეფზე, **სტივ როულიზე** მიდგა. სწორედ როულის მახვილი თვალის დამსახურებაა „მეთოფეებმა" **სესკ ფაბრეგასი, რობინ ვან პერსი** და **ტომას ვერმაელენი** რომ იყიდეს.

რასაკვირველია, „არსენალის" სკაუტთა შეფის მიერ აღმოჩენილ ფეხბურთელთა რაოდენობა სინამდვილეში გაცილებით მეტია, ჩვენ კი მხოლოდ გამორჩეულები ჩამოგითვალეთ. მისმა ქსელმა ყმაწვილკაცობაშივე დაიბევა ისეთი მოთამაშეები, როგორებიც არიან **ვოიცეხ შჩესნი, ბაკარი სანია** თუ **გაელ კლიში**. დღეს, როდესაც ფეხბურთის დირექტორ **ფრენკ არნესენს** „ჩელსისთან" კონტრაქტი უმთავრდება, აბრამოვიჩს განუზრახავს მის ნაცვლად გუნდში როული მიიყვანოს. როგორც ჩანს, მეპატრონეს, რომელიც აქამდე დიდი ვარსკვლავების შეძენაზე აკეთებდა აქცენტს ამიერიდან ახალი თაობის აღზრდაზე სურს გადაწყობა.

გარდა ამისა, გავცელდა ხმა, რომ თუ „ჩელსი" ცუდად თამაშს განაგრძობს, აბრამოვიჩი **კარლო ანჩელოტის მარკო ვან ბასტენით** შეცვლის. წარსულში დიდი ჰოლანდიელი თავდამსხმელი მშობლიური ქვეყნის ნაკრებს მსოფლიოს 2006 წლისა და ევროპის 2008 წლის ჩემპიონატებზე ხელმძღვანელობდა. მან თქვა:

*„ვფიქრობ, მუშაობა უცხოეთის რომელიმე დიდ გუნდში განვაგრძო. მე უკვე გახლდით ჰოლანდიის ნაკრებისა და „აიაქსის" მწვრთნელი. ასე რომ, დროა ახლა საზღვარგარეთ გადავინაცვლო".*

## არ გვეშინია!



„არსენალის" კაპიტანი **სესკ ფაბრეგასი** ამბობს, რომ მის გუნდს „ბარსელონას" შიში არ აქვს. მოგეხსენებათ, „მეთოფეები" „ბარსას" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველ შეხვედრაში ხვალ მასპინძლობენ. **ლეო მესის** და მის მეგობრებს კი მიმდინარე სეზონში მარტო ორი თამაში აქვთ წაგებული. 23 წლის ფაბრეგასი, რომელიც ბავშვობაში თავად „ბარსელონას" სკოლაში იზრდებოდა, ამბობს:

*„მეტოქის შიში არ გვარგებს. მოედანზე ჩვეულებრივად უნდა გავიდეთ და ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ. „ბარსელონას" შარშანაც შევხვდით და, ვფიქრობ, ზედმეტი მოწიწებით მოვეპყარით, განსაკუთრებით ლონდონური თამაშის პირველ შეხვედრაში. რასაკვირველია, ვიცით, რომ „ბარსა" მსოფლიოში საუკეთესო გუნდია და მასთან შეჯიბრება ჩვენთვის დიდი გამოცდაა. ჩვენ ახალგაზრდული შემადგენლობა გვყავს, მაგრამ უზარმაზარი ენერგია გვაქვს და შეგვიძლია ტოლი არავის დავუდოთ".*

შარშანდელ მეოთხედფინალში „ბარსელონამ" „არსენალს" ორი მატჩის ჯამში 6:3 მოუგო. პირველი შეხვედრა „ემირეიტ სთედიუმზე" 2:2 დამთავრდა. თავიდან „ბარსელონა" იგებდა 2:0-ს. „კამპ ნოუზე" კი კატალონიელთა უპირატესობა აშკარა იყო: 4:1. სამი გოლი მესიმ შეაგდო. ფაბრეგასი ამბობს:

*„შარშანდელიდან რაიმე გაკვეთილის სწავლა ძნელია, რადგან „ბარსელონა" უძლიერესი გუნდია და მის შესახებ ყველაფერი რომც იცოდე, შესაძლოა ვერაფერს გახდე. „ბარსას" ბევრი დიდი ვარსკვლავი ჰყავს, რომელთაც ერთ წამში შეუძლიათ ყველაფრის თავიანთ სასარგებლოდ შეცვლა".*

თუმცა, ერთი ძალიან დიდი განსხვავება შარშანდელსა და წლევანდელს შორის ის იქნება, რომ შარშან ფაბრეგასი დაშავდა, წლეულს კი ის ჩინებულ ფორმაშია.

„ბარსასთან" მოახლოებული დაპირისპირების შესახებ ჟურნალისტებმა 19 წლის **ჯეკ უილშირსაც** ჰკითხეს. მან უპასუხა:

*„შარშანდელისგან განსხვავებულად უნდა ვითამაშოთ. ჩვენ ბარსელონელებს თვალებში უნდა ჩავხედოთ და, თუ ყურში ცუდად არ მოგხვდებათ, უფრო საძაგლები უნდა გავხდეთ. ბურთისთვის ბრძოლაა საჭირო. როდესაც მას მოვიპოვებთ, უნდა შევინარჩუნოთ, გავაგოროთ, როგორც ისინი აკეთებენ. მე ვუყურებ „ლა ლიგას" შეხვედრებს, სადაც ჩავის და ინიესტას პარადი მიჰყავთ და მინდა თავად ვისწავლო ასე თამაში".*



## ნადით და დალიეთ

„მანჩესტერ სიტის" მწვრთნელმა **რობერტო მანჩინიმ** თავის ფეხბურთელებს შაბათის მანჩესტერულ დერბიში **უეინ რუნის** „მკვლელი გოლის" დავიწყება ურჩია. იტალიელმა თქვა:

*„ჩვენ ნაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით. თამაშის შემდეგ ფეხბურთელებს ვურჩიე სახლებში წასულიყვნენ და დაელიათ. ისინი შედეგმა, რასაკვირველია, დათრგუნა, მაგრამ თავიანთი თამაშით უკმაყოფილების უფლება არ აქვთ".*

რუნის ჯადოსნური გოლის გამო მანჩინიმ უკვე მესამე მანჩესტერული დერბი წააგო. გარდა ამისა, ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ ისტლენდელები პრემიერლიგის ტიტულისთვის ბრძოლას უკვე გამოეთხოვნენ და თუ 35 წლის დანატრებული ჯილდოს მოგება უნდათ, ამიერიდან ყურადღება ფეხბურთის ასოციაციის თასზე და ევროლიგაზე უნდა გადაიტანონ.

*„უკვე დიდი ხანია, რაც „მანჩესტერ იუნაიტედს" ჩამოუყალიბდა გამარჯვებულის მენტალიტეტი. მან იცის, რომ უნდა მოიგოს. ჩვენც შეგვიძლია მივაღწიოთ ამას. ჩვენ ხომ უკვე ბევრი რამ შევცვალეთ და დავამტკიცეთ, რომ სწორად ვმუშაობთ. აუცილებელია რაიმე ჯილდო მოვიპოვოთ. ერთი რომელიმე თასის მოგებას შეუძლია მთელი გუნდის მენტალიტეტი შეცვალოს".*

საინტერესო სტატისტიკაა: ყოველთვის, როდესაც თამაში „ოლდ ტრეფორდზეა" და რუნის გოლი გააქვს, „მანჩესტერ იუნაიტედი" იგებს. ინგლისელ ვარსკვლავს უკვე 41 თამაშიდან 41 მოგება დაუგროვდა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანია. ბუნდესლიგა. XXII ტურის გამოხმაურება

# რობენ, შე ძველო!

## დაე ძრწოდეს მილანის ინტერი

### Flop
### ბაბელი სოფლელებს ვერ ეგუება

„ბაიერნთან“ მატჩში „ჰოფენჰაიმის“ ძვირფასი ახალწვეული **რაიან ბაბელი** მუდმივად იქით მირბოდა, სადაც ფიქრობდა, რომ საჭირო იყო, მაგრამ ყველგან აგვიანებდა. მატჩის განმავლობაში რაიანის მოქმედების არეალი თანდათანობით იზრდებოდა, მაგრამ თამაშზე გავლენა ვერა და ვერ მოახდინა. პირველ ტაიმში ბაბელმა მხოლოდ რვა პასი გააკეთა - აქედან, ექვსი უკან, ან გვერდით და მხოლოდ ორი წინ. ამ ორიდანაც ადრესატამდე მხოლოდ ერთი პასი მივიდა. მეორე ტაიმში უკეთ კი ათამაშდა, მაგრამ თამაშის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

ბაბელმა „შალკესთან“ და „კაიზერსლაუტერნთან“ მეტ-ნაკლებად ნორმალურად ითამაშა, აი, „ბაიერნთან“ კი პირწმინდად ჩაფლავდა. ჯერჯერობით მას „ჰოფენჰაიმში“ მხოლოდ სახელი და ათნომრიანი მაისურა აქვს.

### Flop
### გლადბახი ვაის გაექცა და უის შეეყარა

მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“ **მიხაელ ფრონტცეკს** ძალიან ბევრი მოუთმინეს და აპატიეს, მაგრამ შაბათს, „ზანკტ პაულისთან“ მარცხი (1:3) ბუნდესლიგის უიმედო აუტსაიდერის ხელმძღვანელთა მოთმინების ფიალაში აშკარად ბოლო წვეთი იყო. ფრონტცეკი გააგდეს! გუშინ კი, „გლადბახის“ ბოსებმა მთავარი მწვრთნელის პოსტზე უკვე ახალი კაცი წარადგინეს - **ლუსიენ ფავრი**, რომელიც შარშან ბერლინის „ჰერტას“ წვრთნიდა. შეგახსენებთ, რომ წელს „ჰერტა“ მეორე ბუნდესლიგაში თამაშობს...

### Flop
### ყველაფერში დამნაშავე დიტერია

უშველის თუ არა „გლადბახს“ ფავრი, ჯერ მაინც რთული სათქმელია და ამას დრო გვიჩვენებს. მანამდე კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ აი, მაგალითად „ვოლფსბურგს“ მწვრთნელის შეცვლამ ჯერ ვერ უშველა. **სტივ მაკლარენის** შემცვლელ **პიერ ლიტბარსკის** ხელმძღვანელობით „მგლებმა“ პირველივე თამაში წააგეს - თანაც, საკუთარ მოედანზე (ჰამბურგთან 0:1).

„ვოლფსბურგის“ ფანებს კი სულ სხვა ვინმე, კერძოდ, გუნდის მენეჯერი **დიტერ ჰიონესი** ამოუვიდათ ყელში. წელიწადზე ოდნავ მეტია, რაც ეს კაცი „ვოლფსბურგს“ ხელმძღვანელობს და უკვე მესამე მწვრთნელი დანიშნა, შედეგი კი არ ჩანს. შესაბამისად, სულაც არაა გასაკვირი, რომ „ჰამბურგთან“ მატჩის დროს ვოლფსბურგელი ფანები ჰიონესის გადადგომას მოითხოვდნენ. გერმანიის ექსჩემპიონმა ბუნდესლიგის ბოლო 12 თამაშიდან მხოლოდ ერთი მოიგო, გერმანიის თასიდან კი მეორებუნდესლიგელმა „კოტბუსმა“ გააგდო. ფანების აზრით, ყველაფერში დამნაშავე სწორედ დიტერ ჰიონესი და მისი მართვის აბსოლუტურად არასწორი პოლიტიკაა. რაღა შორს წავიდეთ, იანვარში დიტერმა ექვსი ახალი ფეხბურთელი იყიდა, რომელთაგან მხოლოდ ერთი თამაშობს ნორმალურად - **პატრიკ ჰელმესი. თუნჯაი შანლი** და **იან პოლაკი** კი საუკეთესო შემთხვევაში საშუალო დონის მოთამაშეები არიან. „ჰამბურგთან“ **ჟოსუე** 90 წუთი სათადარიგოთა სკამზე იჯდა, **ანდრეა ბარძალი** კი ჰიონესმა „იუვენტუსში“ სულ ძალით გაუშვა. ჟოსუეც და ბარძალიც ჩემპიონ, მაგათისდროინდელი „ვოლფსბურგის“ მთავარი გმირები იყვნენ. ჰიონესის მიერ დიდი ზარ-ზეიმით ნაყიდი **სიმონ კიაერი** დაცვაში არაფრად ვარგა, სხვა პოზიციაზე კი თამაში არ შეუძლია. დანიელი მხოლოდ უხეშობით გამოირჩევა და სწორედ მისი უხეშობა დაუჯდა „ვოლფსბურგს“ გაშვებული გოლის ფასად (**პეტრიჩის** პენალტი). მოკლედ, **დიტერ ჰიონესს** არგუმენტები აშკარად გამოელია.

ვერც ტურის გმირად დავასახელებთ და ვერც ანტიგმირად, ვერც TOPS-ში შეგვყავს და ვერც FLOPS-ში - სწორედ ამიტომ, „შალკეს“ მწვრთნელ ფელიქს მაგათზე და მის ახალ „საქმიანობაზე“ შესავალში უნდა ვისაუბროთ. წინა კვირის მიწურულს „დესპოტი ფელიქსი“ სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ გაწევრიანდა და მთავარ ფოტოდ ისეთი სურათი დადო, დაბადებიდან დღემდე ერთხელ ან მაქსიმუმ ორჯერ რომ შეეძლებოდა ფოტოგრაფს მისთვის ასეთის გადაღება. საქმე იმაშია, რომ იმ ფოტოზე ფელიქსი ძალიან მაგრად, თანაც, გულახდილად იცინის. უფრო სწორად, ხარხარებს.

თუმცა ფოტოზე უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამეებია. მაგათს ფეისბუქზე გაწევრიანება, რა თქმა უნდა, აზრადაც არ მოუვიდოდა, ბოლო ორი კვირის განმავლობაში „შალკეს“ ფანებს კრიტიკის ქარცეცხლში რომ არ გაეტარებინათ. ისიც საკითხავია, თვითონ მოისურვა განრისხებულ ფანებთან ინტერნეტით ურთიერთობა, თუ ზემოდან უბრძანეს, მაგრამ ამას მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს. ფელიქსს თავის გვერდზე ვიდეოც უდევს - თუ როგორ ზის კომპიუტერთან და როგორ ეკონტაქტება ფანებს. სხვა საქმეა ის, რომ ვიდეოში ისე გამოიყურება, თითქოს „შალკეს“ ბოსმა კლემენს ტიონიესმა ოთახში ჩაკეტა და უთხრა, სანამ გულშემატკივრებს არ შემოირიგებ, არც საჭმელს მიიღებ და არც სასმელსო.

ფელიქსიც დარეგისტრირდა, წერაც დაიწყო და 3-4 დღის შემდეგ მისი პროფილი უკვე 90 000-ზე მეტ ადამიანს მოსწონდა. მაგათი ფეისბუქზე ყოველდღე პოსტავს და ფანებსაც პასუხობს. ბევრი აქებს, უფრო მეტი აკრიტიკებს და ზოგიც სასტიკად ლანძღავს.

ახლა კი მთავარი, უფრო სწორად, ყველაფერი რაც ბუნდესლიგის 22-ე ტურს უკავშირდება. თქვენ წინაშეა ბუნდესლიგის 22-ე ტურის გამოხმაურება Tops& Flops-ის სახით.



არიენ რობენი ბრწყინვალე ფორმაშია

**XXII ტურის სიმბოლური ნაკრები (კიკერი. 3-1-3-3)**

**ჰაინც მიულერი** (მაინცი) - **ბენედიქტ ჰიოვედესი** (შალკე), **სამი ჰიიპია** (ლევერკუზენი), **პედრო ჟერომელი** (კიოლნი) - **მარტინ ლანიგი** (კიოლნი) - **არიენ რობენი** (ბაიერნი), **თომას მიულერი** (ბაიერნი), **ლუკას პოდოლსკი** (კიოლნი) - **ჯერალდ ასამოა** (ზანკტ პაული), **მილოვოე ნოვაკოვიჩი** (კიოლნი), **იულიან შიბერი** (ნიურნბერგი)

**საუკეთესო ფეხბურთელები**

22 ტურის შემდეგ, „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | საშ. შეფასება |
|---|---|---|
| 1. მანუელ ნოიერი | შალკე | 2.52 |
| 2. ნური შაჰინი | ბორუსია (დ) | 2.57 |
| 3. შინჯი კაგავა | ბორუსია (დ) | 2.62 |
| 4. მატს ჰუმელსი | ბორუსია (დ) | 2.64 |
| 5. სვენ ბენდერი | ბორუსია (დ) | 2.67 |
| 6. რომან ვაიდენფელერი | ბორუსია (დ) | 2.68 |
| 7. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 2.75 |
| 8. მარიო გომესი | ბაიერნი | 2.77 |
| 9. კრისტიან ვეტკლო | მაინცი | 2.77 |
| 10. ოლივერ ბაუმანი | ფრაიბურგი | 2.78 |

**ტურის გმირი**

## არიენ რობენი (ბაიერნი)

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, რა გასაკვირია, რომ „კიკერმა“ ტურის გმირად სწორედ არიენ რობენი დაასახელა.

**გოლს პლუს პასის რეიტინგი**

| ფეხბურთელი | კლუბი | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|
| 1. მარიო გომესი | ბაიერნი | 17 | 3 | 20 |
| 2. არტურო ვიდალი | ლევერკუზენი | 9 | 9 | 18 |
| 3. პაპის დემბა სისე | ფრაიბურგი | 15 | 1 | 16 |
| 4. თეოფანის გეკასი | აინტრახტი | 14 | 2 | 16 |
| 5. თომას მიულერი | ბაიერნი | 7 | 8 | 15 |
| 6. იულიან შიბერი | ნიურნბერგი | 6 | 9 | 15 |
| 7. დიდიე ია კონანი | ჰანოვერი | 11 | 4 | 15 |
| 8. ლუკას პოდოლსკი | კიოლნი | 9 | 5 | 14 |
| 9. ანდრე შიურლე | მაინცი | 10 | 4 | 14 |
| 10. ლუკას ბარიოსი | ბორუსია (დ) | 9 | 4 | 13 |

### Flop
### უნამუსო მათიას ლემანი

ჯერ სამარცხვინოდ იცრუა, მერე კი ამით ამაყობდა - **მათიას ლემანმა** ამ უქმეებზე სპორტულ სულისკვეთებას შუა თითი უჩვენა. „სანკტ პაულისა“ და მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ მატჩის დროს ლემანი და „გლადბახის“ თავდამსხმელი **იგორ დე კამარგო** ერთმანეთს წაეკიდნენ (მანამდე ლემანმა მოცელა) და ის-ის იყო, ერთმანეთს შუბლები მიადეს, რომ ლემანი ისე წაიქცა, თითქოს სახეში ურო უთავაზეს. მსაჯი **ვოლფგანგ შტარკი** ამაზე წამოეგო და დე კამარგო მოედნიდან გააძევა. იმ დროს „გლადბახი“ „ზტ. პაულის“ 1:0-ს უგებდა, დე კამარგოს გაძევების შემდეგ კი სამი გოლი მიიღო. ლემანმა კი უტიფრად თქვა, მშვენიერი საჩუქარი მომიმზადა და ფეხზე როგორ დავრჩებოდი, რა თქმა უნდა, მაშინვე დავეციო. მან ისიც აღიარა, რომ ისიმულანტა და თქვა, რომ ამაყობს მიღწეულით. გერმანიის საფეხბურთო ლიგა მათიას ლემანს ალბათ დისკვალიფიკაციას მიუსჯის, მაგრამ ამით „გლადბახს“ რა?

### Flop
### ლიოვმა ტასკის ტელეფონის ნომერი ალბათ უკვე წაშალა

ზაფხულში გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** არაერთი ის ფეხბურთელი შეინდო, რომლებსაც მანამდე იშვიათად ათამაშებდა და აგვისტოში, დანიასთან ამხანაგურ შეხვედრაში (2:2) ბუნდესგუნდის ფორმა ისეთ მოთამაშეებს მოარგო, როგორებიც არიან **კრისტიან შულცი, კრისტიან ტრეში, თომას ჰიტცლშპერგერი, აარონ ჰანტი, სერდარ ტასკი** და სხვები.

ამ შემთხვევაში თქვენი ყურადღების გამახვილება „შტუტგარტის“ მცველ ტასკიზე გვსურს, რომლისთვისაც დანიასთან მატჩი უკანასკნელი იყო გერმანიის ნაკრებში. ფაქტია, რომ ლიოვი ამ უკანასკნელს კიდევ ძალიან დიდხანს არ გამოიძახებს. „ნიურნბერგმა“ „შტუტგარტს“ 4 გოლი გაუტანა და აქედან ორი სწორედ ტასკის სინდისზე იყო. მას ორივეჯერ **იულიან შიბერმა** აჯობა, თანაც ისე, რომ სიტყვა „აჯობა“ ამ შემთხვევაში რბილი ნათქვამია.

### Top
### რას ჩადიხარ, იულიან?

აქვე შიბერის შესახებაც უნდა დავწეროთ, ოღონდ დადებით კონტექსტში. ფრანკების ახალგაზრდა თავდამსხმელმა შაბათს იმ გუნდს შეუსრულა დუბლი, რომელსაც ეკუთვნის და რომელშიც ზაფხულში უნდა დაბრუნდეს, რადგან „ნიურნბერგში“ არენდით თამაშობს. არადა, დიდი შანსია, რომ ზაფხულში „შტუტგარტი“ უკვე მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენელი იყოს, „ნიურნბერგს“ კი ელიტიდან გავარდნის საფრთხე არ ემუქრება.

### Top
### არიენი და ფილიპი დაძმობილდნენ

**არიენ რობენმა** „ჰოფენჰაიმთან“ რომ იფრინა, ეს მეტწილად **ფილიპ ლამის** დამსახურება იყო, ვინც „ბაიერნის“ ფლანგზე რობენისთვის იდეალური პარტნიორია. საუკეთესო მაგალითი მიუნხენელთა მესამე გოლია: „ჰოფენჰაიმის“ მარცხენა მცველ **დავიდ ალაბას** ბურთი საკუთარ ნახევარზე ჰქონდა, როცა ფილიპ ლამი მიეჭრა და პასის უკანასკნელი გზა გადაუკეტა. ფილიპმა ბურთი ჩაიგდო და მაშინვე რობენს უპასა, რომელმაც ჩვეულად გაინავარდა, სამ „სოფლელს“ გასცდა და იდეალური გოლი გაიტანა. ლამი და რობენი ერთმანეთს იდეალურად ავსებენ.

### Top
### ვიდალი აღარ ხუმრობს

**მიხაელ ბალაკი** „აინტრახტთან“ ერთი წუთიც რომ არ ათამაშეს, ეს **არტურო ვიდალის** ბრალია, რომელიც რამდენიმე კვირაა, საუკეთესო ლევერკუზენელად გვევლინება. ვიდალი დღესდღეობით საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა თამაშობდეს ცენტრალური ნახევარმცველი. ამ სეზონში მას უკვე 9 საგოლე პასი და ამდენივე გოლი აქვს (6 პენალტით). ამიტომაცაა, **ჰაინკესი** მას საუკეთესო ეპითეტებით რომ ამკობს, ბალაკის შესახებ კი მხოლოდ ნუგეშის სიტყვები თუ დასცდება ხოლმე.

### Top
### რიბერი რობენამდე

*„1:0 „ბაიერნის“ სასარგებლოდ, გოლი აბსოლუტურად დამსახურებულია,“* - ამბობდა „სკაის“ კომენტატორი მარიო გომესის გოლის შემდეგ. არადა, მატჩის დაწყებიდან მხოლოდ წუთი და 24 წამი იყო გასული. მიუხედავად ამისა, კომენტატორს ვერ შევეწინააღმდეგებით - გოლი მართლა დამსახურებული იყო. გომესის ამ გოლმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ „ბაიერნი“ **რიბერისთან** და რობენთან ერთად სულ სხვა გუნდია. ჰოლანდიელთან ერთად, ფრანგი დრიბლიორიც ფორმაში შედის. ნაღდად დროა!

### Top
### ინტერს ეშინოდეს!

არიენ რობენმა ამ სეზონში „ბაიერნის“ ძირითად შემადგენლობაში სამჯერ ითამაშა, რეკორდმაისტერმა სამივე თამაში მოიგო, ჰოლანდიელმა კი სამივე შეხვედრაში შეძლო გოლის ან გოლების გატანა. „ჰოფენჰაიმთან“ 4:0-ზე მოგებულ მატჩში რობენმა თავი საუკეთესოდ წარმოაჩინა. მისი დაბრუნება და ფორმაში შესვლა ყველას უხარია, გარდა მილანის „ინტერის“ ქომაგებისა...

● ამბები

### ბრენო და კლოზე გაბრაზდნენ

„ბაიერნის“ მცველი **ბრენო** და თავდამსხმელი **მიროსლავ კლოზე** არ მალავენ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ მიუნხენური კლუბის მთავარი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** მათ ძალიან იშვიათად ათამაშებს. გერმანიის ნაკრების ფორვარდმა და ბრაზილიელმა მცველმა „ჰოფენჰაიმთან“ მატჩის დროს 90 წუთი სათადარიგოთა სკამზე გაატარეს. „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში კლოზე არ მალავს, რომ ზაფხულში რეკორდმაისტერიდან წასვლაზე ძალიან სერიოზულად ფიქრობს. შეგახსენებთ, რომ გასულ ოთხშაბათს მირომ იტალიის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში (1:1) გოლი გაიტანა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ კლოზეს „ბაიერნთან“ კონტრაქტი სწორედ ამ სეზონის ბოლოს უმთავრდება. ბრენო კი პირდაპირ ითხოვს, რომ ხშირად ათამაშონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, 21 წლის ნიჭიერი მცველიც „ბაიერნიდან“ წასვლით იმუქრება. ვან გაალი დღესდღეობით დაცვის ცენტრში **ანატოლი ტიმოშჩუკისა** და **ჰოლგერ ბადშტუბერის** წყვილს ენდობა.

### ელია: მათამაშეთ, ან გამიშვით!

„ჰამბურგის“ ახალგაზრდა ჰოლანდიელმა გარემარბმა **ელჯერო ელიამ** გუნდის მთავარ მწვრთნელ **არმინ ფეეს** ულტიმატუმი წაუყენა. 24 წლის ნახევარმცველმა „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ თუ ამ სეზონის დარჩენილ ტურებში ფეე მას ძირითად შემადგენლობაში ხშირად არ ათამაშებს, ზაფხულში HSV-ს დატოვებს. ელიას ჩრდილოგერმანულ კლუბთან კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული. მიმდინარე სეზონის 22 ტურიდან ის მხოლოდ 9-ჯერ იყო „ჰამბურგის“ სასტარტო შემადგენლობაში.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ესპანეთი. ლა ლიგა. XXIII ტურის გამოხმაურება

# ბარსა, რეალი და 5 ქულა

## თასი ბარსელონას

„ბარსელონას“ ბანაკში ნამდვილი ზეიმია, „ბლაუგრანამ“ ხომ ფინალში „რეალი“ დაამარცხა და ესპანეთის თასი 22-ედ მოიპოვა. არა, ნამდვილად არ გავგიჟებულვართ და არც 20 აპრილის ფინალის წინასწარი განჭვრეტის უნარი შევიძინეთ - უბრალოდ, სპორტის სახეობები „აგვერია“ ერთმანეთში - კვირას საკალათბურთო „ბარსამ“ მოიგო თასის ფინალი, რომელიც აგრეთვე საკალათბურთო კლასიკო იყო, 68:60 მოიგო. „ბარსელონას“ ბანაკში კი მართლა ზეიმია, იმიტომ, რომ ორივე გუნდი ერთი კლუბია. ერთადერთი, რამაც კალათბურთელთა გამარჯვებას ჩრდილი მიაყენა, ფეხბურთელთა ხიხონური წაფორხილება იყო. ისე, ცნობისათვის, თუკი **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდი 20 აპრილს **ჟოზე მოურინიოს** შეგირდებს დაამარცხებს, ეს „ბარსას“ 26-ე კოპა იქნება. ასე რომ, ფეხბურთელები კალათბურთელებზე წინ არიან.

მართალია, „ბლაუგრანამ“ „სპორტინგთან“ ორი ქულა დაკარგა, მაგრამ 62 ქულით მაინც ერთპიროვნული ლიდერია და უახლოეს მდევარს (რა თქმა უნდა, „რეალს“) 5 ქულით უსწრებს. ახლა კატალონიელ ფეხბურთელებს და მათ მწვრთნელს „სპორტინგთან“ წარუმატებლობაზე ფიქრი არავითარ შემთხვევაში არ მართებთ - ხვალ ლონდონში ესპანეთის ჩემპიონი „არსენალს“ ჩემპიონთა ლიგის პირველ მერვედფინალურ მატჩს ეთამაშება, მაგრამ ჩვენ ხომ არ უნდა ვითამაშოთ ინგლისში - მოდი, ასტურიული 1:1 კიდევ ერთხელ გავიხსენოთ. ხშირად ხომ არ აკარგვინებენ „ბარსას“ ქულებს...

გუნდი უკვე შევიდა ესპანური ფეხბურთის ისტორიაში, როცა ზედიზედ 16 მატჩი მოიგო ლა ლიგაში და „რეალის“ ძალიან დიდი ხნის რეკორდი დაამხო. აი, მე-17 გამარჯვება კი არ შედგა. თამაშის შემდეგ პეპს დანა პირს არ უხსნიდა, თუმცა ობიექტურობის შეგრძნება არ დაუკარგავს. აღიარა, რომ ქულები ცუდ დროს გაფანტეს, თუმცა ფეხბურთელებს გარჯა წყალში არ ჩაუყარა, „სპორტინგი“ კი თავდადებისთვის შეაქო:

*„ქულა ძალიან ცოტაა, რომ დამაკმაყოფილოს - როცა არ ვიგებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ცუდი რამ ხდება. მარტო იმიტომ, რომ „ბარსა“ ვართ, ყველა თამაშს ვერ მოვიგებთ. ჩვენ ისევე შეგვიძლია წაგება და მატჩის ფრედ დასრულებაც. საჭიროა მუდმივი შრომა და არაფრით შეიძლება მოშვება.*

*ვფიქრობ, „სპორტინგმა“ საუკეთესო ტაქტიკა შეარჩია. მანოლო ძალიან კარგად მომზადებულა ამ თამაშისთვის. ვერ მოვიგეთ, მაგრამ თამამად შემიძლია თქმა, რომ ყველაფერი გავაკეთეთ საამისოდ. ძალიან ძნელია ითამაშო ათი მცველის წინააღმდეგ, მაგრამ ამისთვის მზად ვიყავი, ვიცოდი, რომ ძნელი დაპირისპირება გველოდა.*

*ვერ ვიტყვი, რომ „ბარსელონას“ თამაშს ხელი სანაკრებო პაუზამ შეუშალა, „ბარსას“ ფეხბურთელი ყოველ სამ დღეში უნდა იყოს მზად თამაშისთვის და ამ ბიჭებს ეს მილიონჯერ დაუმტკიცებიათ.*

*ვიცი, რატომ გაგვიჭირდა ასე, ჩვენს თამაშს მოძრაობა აკლდა - ჩვენ არ ვართ დაუმარცხებელნი. რას ვიზამთ, ტრაგედიას ამისგან ვერ შევქმნი, ჩვენ მთელ ესპანეთში უკვე არაერთხელ დავამტკიცეთ, რას წარმოვადგენთ და, მგონი, ეს საკმარისია.*

*როცა სარეკორდო სვლა დასრულდა, უფრო კარგად მივხვდი, თუ რას მივაღწიეთ - წინა 16 მატჩში ხომ ხშირად გვიხდებოდა ასეთ ოპონენტებთან თამაში, ასეთ სტადიონზე. როცა მეტოქე თავს დებს, სტადიონზე საუცხოო სიტუაციაა მასპინძელთა გუნდისთვის, ყოველთვის ძნელია ასეთ დროს გამარჯვება“.*

როგორც ყოველთვის, „ბარსას“ ახალგაზრდა თავკაცი, თავშეკავებული და ობიექტური იყო. მოგეხსენებათ, ასტურიელებს გმირული გამარჯვება ისევ ასტურიელმა წაართვა - „ელ გუახემ“. სწორედ **დავიდ ვილიას** ფანტასტიკურმა გოლმა მასპინძელთა კარში კატალონიელებს ქულა მოუტანა. ეს დავიდის მე-15 გოლი იყო ჩემპიონატში, ბომბარდირთა დავაში ვილია მხოლოდ ორ ლიდერს ჩამორჩება, **ლეო მესისა** და **კრიშტიანო რონალდოს**, მაგრამ ისინი ხომ ამ პლანეტიდან არ არიან...

*„სპორტინგმა“ მოახერხა ის, რაც იშვიათად გამოსდით ჩვენს ოპონენტებს, თავდამსხმელებს პასების მომწოდებლები „ჩაგვიკეტეს“. ბევრი ამ ჩავარდნას სანაკრებო თამაშს აბრალებს, მე არ ვფიქრობ ასე - „ფიფას ვირუსი“ აქ არაფერ შუაშია, „დამნაშავე“ „სპორტინგია“, რომელმაც ძალიან ღირსეულად ითამაშა.*

*მაყურებელს კი საკუთარი გუნდის*



*მხარდაჭერისთვის ათ ბალს დავუწერდი. იქ ყველაფერი ნაცნობი და ახლობელია ჩემთვის, მაგრამ რა ვქნა, პროფესიონალი ვარ და „სპორტინგის“ კარში გატანილი გოლით ვამაყობ. თუმცა ამ გოლმა „ბარსას“ ვერ მოაგებინა, ასე რომ, ცაში არ ვფრენ“.*

### თებერვალი მძიმე თვეა

სტატისტიკოსები კი „ბარსას“ თებერვლის ჩავარდნას ვარაუდობდნენ კიდეც. პეპის „ბარსასთვის“ ეს თვე ყველაზე მძიმეა - შარშან ამ დროს გუნდმა „ატლეტიკოსთან“ წააგო, ხოლო შარშანწინ სამმატჩიანი მოუგებელი სერია „გამოაცხო“.

ახლა კი თამაშის სტატისტიკურ პერიპეტიებსაც გავეცნოთ, **ვიქტორ ვალდესის** კარში მხოლოდ ერთხელ დაარტყეს ზუსტად და **დავიდ ბარალმა** გოლი შეაგდო, მაშინ, როცა სტუმრებმა 6-ჯერ დაარტყეს ზუსტად „სპორტინგის“ კარში, მაგრამ მხოლოდ ერთხელ გამოიჩინეს თავი. **პიკემ** (15) და **მილიტომ** (14) ყველაზე მეტჯერ მოიპოვეს ბურთი, ხოლო **ჩავიმ** ყველაზე მეტი პასი შეასრულა - 126. ოთხი თვეა არავის უნახავს ლა ლიგაში, „ბარსა“ მდევრის როლში, ბოლოს ეს ოქტომბერში „კამპ ნოუზე“ მოხდა, როცა „ვალენსია“ დაწინაურდა, მაგრამ მაინც კატალონიელებმა მოიგეს - 2:1. ვალდესი და **ინიესტა**, მხოლოდ ამ ორმა ფეხბურთელმა ითამაშა 23-ივე ტურში სასტარტო შემადგენლობაში.

„ბარსაზე“ და ვილიაზე ბევრი ვწერეთ და, უპრიანია, სპორტინგელთა გმირი დავიდ ბარალიც გამოვყოთ - მე-16 წუთზე მან შეტევის მარცხენა ფლანგზე **დიეგო კასტროს** პასი მიიღო, პიკეს თავბრუ დაახვია და მილიტომაც ვერ შეუშალა ხელი ისე დაარტყა შორეულ კუთხეში - ნამდვილად მაღალი დონის შესრულება იყო. ბარალი 27 წლისაა და 5 წლის წინათ „რეალიდან“ გადავიდა ხიხონში. დიდი გოლეადორიაო, ვერ ვიტყვით, ამ სეზონში მან სულ სამი გოლი გაიტანა და სამივე 2011 წელს.

ეს კვირა კი „ბარსას“ საჩემპიონთალიგო ბატალიით იქნება გამორჩეული. გუნდმა გუშინ (კვირას ისვენებდა) პირველად ივარჯიშა - ლონდონში კი დღეს გაფრინდება. დღეს, საღამოს „ემირეიტსზე“ პეპი და რომელიმე ფეხბურთელი პრესკონფერენციას მოაწყობენ, რომელიც „არსენალთან“ დაპირისპირებას მიეძღვნება. გუნდი კი ლონდონში ვარჯიშს არ გეგმავს! გვარდიოლამ ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღო, ინგლისში ბურთს კატალონიელები მხოლოდ თამაშამდე ნახევარი საათით ადრე გააგორებენ, ხოლო თამაში მორჩება თუ არა, სამშობლოში გაფრინდებიან.

გუშინ პეპმა 28 კაცი ავარჯიშა, 20 პირველი და 8 სარეზერვო გუნდის წევრი. **ჟეფრენი** და გუნდის კაპიტანი **პუიოლი** ცალკე ვარჯიშობდნენ.

**ტოპ-10 ლა ლიგაში „დონ ბალონის“ შეფასებით**

| ფეხბურთელი | გუნდი | თ | ქ | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ლეო მესი | ბარსელონა | 20 | 155 | 7,75 |
| 2. ჯუზეპე როსი | ვილიარეალი | 21 | 153 | 7,29 |
| 3. ანდრეს ინიესტა | ბარსელონა | 23 | 167 | 7,26 |
| 4. კრიშტიანო რონალდო | რეალი | 23 | 164 | 7,13 |
| 5. ბორხა ვალერო | ვილიარეალი | 21 | 149 | 7,10 |
| 6. დიეგო ალვეში | ალმერია | 23 | 163 | 7,09 |
| 7. სანტი კასორლა | ვილიარეალი | 22 | 155 | 7,05 |
| 8. პედრო | ბარსელონა | 23 | 155 | 6,74 |
| 9. დავიდ ვილია | ბარსელონა | 22 | 148 | 6,73 |
| 10. ნილმარი | ვილიარეალი | 18 | 121 | 6,72 |

**შენიშვნა:** *ცხრილში არ არის შეტანილი მალიორკა-ბილბაოს შეფასებები*

### ეს მსაჯი მომწონს!

„სპორტინგი“-„ბარსას“ მატჩს ერთხელაც მივუბრუნდეთ - 1:1-ის შემდეგ სტუმართა კაპიტანმა (პუიოლი ტრავმირებულია) ჩავი ერნანდესმა ჟურნალისტებს მოკლედ მოუჭრა: *„დასაძინებლად „რეალთან“ 8-ქულიანი უპირატესობით მივდივარ, ხვალემ კი ხვალისა იკითხოს, ვნახოთ, რას მიაღწევს კონკურენტი“.* ჩავის „ესპანიოლის“ თავდადებისა ეიმედებოდა, არცთუ უსაფუძვლოდ...

მოგეხსენებათ, „ლოს მერენგესს“ პირველივე წუთზე უხეშობისთვის კაპიტანი **იკერ კასილიასი** გაუძევეს. კასილიასი მეკარესთან პირისპირ გასულ **ხოსე კალეხონს** ეკვეთა. თითქოს არ იყო 100%-იანი ჯარიმა, მაგრამ **მატეუ ლაოსმა** სხვანაირად განსაჯა და იკერს წითელი ბარათი აუფრიალა. წარმოიდგინეთ, თამაშის დასაწყისშივე „სამეფო კლუბმა“ კაპიტანი და კარის დარაჯი დაკარგა, კარში კი დებიუტანტი **ადანი** ჩადგა. ყველა ელოდა, მატჩის შემდეგ რა კომენტარს გაიმეტებდა მსაჯობაზე ჟოზე მოურინიო. გამარჯვებულზე კი „განსაკუთრებულმა“ აი, რა თქვა:

*„შეიძლება ის შეცდა წითელ ბარათთან დაკავშირებით, შესაძლოა, პენალტიც გვეკუთვნოდა, მაგრამ ამ მსაჯს ყოველ თამაშში ვინატრებდი. ის სწორედ ისეთი ფილოსოფიით უდგება ფეხბურთს, როგორიც მე მომწონს. ობიექტურობას კი ძალიან ვაფასებ“,* - მოკლედ, რას გაუგებ ამ კაცს, რომელიც გამარჯვებითა და „რეალის“ თამაშით კმაყოფილი იყო - ჟოზემ თანამემამულე **პეპე** შეაქო, **ადებაიორზე** კი თქვა - სამჯერ ახლო იყო გოლის გატანასთანო.

დავაზუსტებთ - ახლოს იყო კი არა, ტოგოელს გატანა მართებდა, ორჯერ მაინც, მაგრამ **ბენზემაზე** მეტი უფხოობა გამოავლინა მეტოქის კართან. გოლი კი ბრაზილიელმა **მარსელომ** გაიტანა. ისე კი ჟოზეს ჩვენი რჩევა არ სჭირდება, მაგრამ იქნებ ბენზემას და ადებაიორის ადგილზე შანსი **მორატასაც** მისცეს, ახალგაზრდა ფორვარდმა ახლახან ჰეტთრიკი შეასრულა „რეალ კასტილიას“ შემადგენლობაში, რომელმაც 7:1 იმარჯვა.

### კამაჩოს თავიც გაგორდა

თუ გახსოვთ, ახლახან „რასინგში“ სამწვრთნელო ცვლილების შემდეგ ვიკითხეთ, თუ ვისი თავი „დაგორდებოდა“ სანტანდერელთა აწ უკვე ყოფილი მწვრთნელის, **მიგელ ანხელ პორტუგალის** შემდეგ. პასუხი ამავე ტურმა გასცა, რომელშიც „რასინგის“ ახალ თავკაცს მარსელინოს ფანტასტიკური ხელახალი დებიუტი ჰქონდა კანტაბრიაში, „სევილიას“ 3:2 მოუგო. არა, „სევილიას“ თავკაცი **გრეგორიო მანსანო** ამჯერად გადარჩა - აი, ბასკურ-ნავარული დერბის წამგები **ხოსე ანტონიო კამაჩო** კი - ვერა...

„რეალ სოსიედადთან“ მარცხის შემდეგ „ოსასუნას“ დირექტორატმა გამოცდილი სპეციალისტი დაითხოვა, რომელიც 2008 წლის ოქტომბრიდან ილვწოდა პამპლონაში. 55 წლის კამაჩო საქვეყნოდ ცნობილი მას მერე გახდა, რაც 1998 წელს ესპანეთის ნაკრები ჩაიბარა. 2004 წელს ის „სამეფო კლუბს“ ხელმძღვანელობდა. ფეხბურთელობისას კამაჩო კარგი მარცხენა მცველი იყო და მას ესპანეთის ნაკრებში 81 მატჩი უთამაშია.

წუხელ კამაჩოს ნაცვლად „ოსასუნას“ თავკაცად **ხოსე ლუის მენდილიბარი** დანიშნეს.

### უიღბლო დრენტე

ჰოლანდიელი **როისტენ დრენტეს** პრობლემები „რეალიდან“ „ერკულესში“ გადასვლით კი არ დასრულდა, დაიწყო. თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ახლა დრენტეს პოზიციაში ყოფნას არავის ვუსურვებთ. ამბობენ, რომ მან ახლახან ძლივს მიიღო ნოემბრის ხელფასი, პროტესტის გამოხატვის გამო ის აითვალწუნეს და არ ათამაშებენ. ახლა კი ირკვევა, რომც ათამაშონ მოედანზე ვერ გავა - გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწევაო და დრენტემ ფეხი ისე დაიზიანა, სულ მცირე, 3 კვირას უქმობა მოუწევს. დრენტემ წლეულს სულ ორჯერ ითამაშა და ორივეჯერ შეცვლაზე. ხანდახან გვგონია, რომ დრენტე ტრეფიკინგის მსხვერპლია. **ესტებან ვიგომ** კიდევ უფრო ცუდი ამბავი შეიტყო - პარაგვაელ **ნელსონ ვალდესსაც** დრენტეს დარი ტრავმა აქვს, არადა ვალდესი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.

23-ე ტურში ტრავმები მიიღეს სევილიელებმაც - **ალვარო ნეგრედომ** და **დაბომ**. ამ ტურში არ უთამაშია **ჯუზეპე როსის**, იტალიის ნაკრებისა და „ვილიარეალის“ შემტევს, მიზეზი კი გრიპი ყოფილა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**მალიორკა–ბილბაო 1:0**

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - სენდროსი, ნუნიეში, რამისი, კევინი - დე გუზმანი (87. რუბენი), მარტი, პერეირა (83. ტეხერა), გ. კასტრო (64. ჟოაო ვიქტორი) - ნსუე, ვებო.

**ბილბაო (4-4-2):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ეკიზა, კოიკილი (52. გაბილონდო) - დ. ლოპესი (62. სუსაეტა), ორბაისი, ხ. მარტინესი, მუნიაინი - ფ. ლორენტე, ტოკერო (78. ვერა).

**გოლები:** 1:0 ვებო (11)

**გაფრთხილება:** ვებო, ავატე - ხ. მარტინესი, ირაოლა

**კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 15-11; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 11-12 (5-3); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 13 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 23 | 20 | 2 | 1 | 71-12 | 62 |
| 2. რეალი | 23 | 18 | 3 | 2 | 53-19 | 57 |
| 3. ვალენსია | 23 | 14 | 5 | 4 | 38-25 | 47 |
| 4. ვილიარეალი | 23 | 14 | 3 | 6 | 41-23 | 45 |
| 5. ბილბაო | 23 | 12 | 2 | 9 | 37-32 | 38 |
| 6. ესპანიოლი | 23 | 12 | 1 | 10 | 30-31 | 37 |
| 7. ხეტაფე | 23 | 9 | 4 | 10 | 35-37 | 31 |
| 8. სევილია | 23 | 9 | 4 | 10 | 35-38 | 31 |
| 9. სოსიედადი | 23 | 10 | 1 | 12 | 34-37 | 31 |
| 10. მალიორკა | 23 | 9 | 4 | 10 | 25-30 | 31 |
| 11. ატლეტიკო | 23 | 9 | 3 | 11 | 32-31 | 30 |
| 12. ერკულესი | 23 | 7 | 4 | 12 | 24-37 | 25 |
| 13. რასინგი | 23 | 6 | 7 | 10 | 20-33 | 25 |
| 14. დეპორტივო | 23 | 6 | 7 | 10 | 20-34 | 25 |
| 15. ლევანტე | 23 | 7 | 3 | 13 | 24-34 | 24 |
| 16. სპორტინგი | 23 | 5 | 8 | 10 | 23-31 | 23 |
| 17. სარაგოსა | 23 | 5 | 8 | 10 | 22-36 | 23 |
| 18. ოსასუნა | 23 | 5 | 7 | 11 | 21-30 | 22 |
| 19. ალმერია | 23 | 4 | 8 | 11 | 23-39 | 20 |
| 20. მალაგა | 23 | 5 | 4 | 14 | 30-49 | 19 |

**ბომბარდირები:** 24 - რონალდო (რეალი), მესი (ბარსელონა); 15 - ვილია (ბარსელონა); 13 - ფ. ლორენტე (ბილბაო); 12 - როსი (ვილიარეალი), პედრო (ბარსელონა); 10 - ტრეზეგე (ერკულესი), ნილმარი (ვილიარეალი).

საფრანგეთი. XXIII ტურის გამოხმაურება

## ჟინიაკის ტურის გოლით

„ლიონი“ გულშემატკივრებს კვლავ სიურპრიზებით ანებივრებს. ამჯერად მათ სტუმრად, დაუძინებელი მტერი, „სენტ ეტიენი“ დაამარცხეს. არც „მარსელის“ ფანები დარჩნენ უკმაყოფილოები, მათმა გუნდმა მძიმე ბრძოლაში „სოშო“ საკუთარვე მოედანზე დაამარცხა. მოგეხსენებათ „ბონალზე“ ასპარეზობა ნებისმიერ გუნდს უჭირს. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, როგორც იქნა, გამარჯვებები მოიპოვეს „ნანსიმ“ და „მონაკომ“. ყველასთვის მოულოდნელად, საკუთარ კედლებში დამარცხდა „ბორდო“. „პსჟ“-მ კი ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „ლანსს“ ვერ მოუგო, რითაც უმნიშვნელოვანესი ქულები დაკარგა. „ოსერი“ კი ვერა და ვერ იგებს - უკვე ათი თამაშია, რაც არ მოუგია.

### ტურის მატჩი

ტურის ცენტრალური მატჩი შაბათს, „ჟოფრუა გიშარის“ არენაზე გაიმართა, სადაც „ლიონი“ „სენტ ეტიენს“ სტუმრობდა. შეხვედრამ გულშემატკივრებისა თუ სპეციალისტების მოლოდინი გაამართლა. **კლოდ პუელის** შეგირდებმა, მწვრთნელის დავალება პირნათლად შეასრულეს და მეტოქე სამბურთიანი უპირატესობით, 4:1 დაამარცხეს. ანგარიში მე-13 წუთზე მასპინძლებმა გახსნეს. **პაიემ** საჯარიმოდან ბურთი ჩაკიდა, რომელსაც **არტურ ბოკანეგრა** გამოეხმაურა. მასპინძლებმა კიდევ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი შექმნეს, მაგრამ ვერ გამოიყენეს. „ლიონმა“ კი შანსი ხელიდან არ გაუშვა და პირველივე ტაიმში მოახერხა მატჩის შემოტრიალება. **იოჰან გურკუფის** მოწოდებული კუთხური ჯერ **გომისმა** აქცია გოლად, ხოლო შემდეგ იმავე გურკუფის მოწოდებულ კუთხურს, „სენტ ეტიენის“ მცველი **ბაიალ-სალამ** გამოეხმაურა და ბურთი საკუთარ კარში გადაგზავნა. მეორე ტაიმში „სენტ ეტიენი“ გააქტიურდა, თუმცა „ლიონი“ მშვიდად აკონტროლებდა სიტუაციას და მეტოქეებს გოლის გატანის საშუალება არ მისცა. ანგარიში **მიშელ ბასტოსმა** გაზარდა, ხოლო მატჩის საბოლოო წერტილი **ბრიანმა** დასვა.

» მე-9 გვერდზე

# ჟინიაკის ტურის გოლით

« მე-8 გვერდიდან

„ლიონმა“ კლასის და გამოცდილების ხარჯზე დაჯაბნა მეტოქე, რაც ანგარიშზეც აისახა. მიუხედავად გამანადგურებელი ანგარიშისა, მატჩი დაძაბული და საინტერესო გამოდგა, ისეთი, როგორიც დერბის შეეფერება. ერთი რამ ფაქტია, „სენტ ეტიენი“ ნამდვილად არ იმსახურებდა ტაბლოზე დაფიქსირებულ შედეგს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ლიონმა“ პირველ წრეში განცდილი მარცხისთვის შური იძია. ზოგადად, „ლიონი“ მეორე წრეში ბევრად უკეთ გამოიყურება, რაც ლიგა 1-ს უფრო მეტად საინტერესოს ხდის და საფრანგეთის ჩემპიონატს დაძაბულობას მატებს. საბოლოო ჯამში, „ლიონი“ 38 ქულით „პსჟ“-თან ერთად მეოთხე-მეხუთე ადგილებს ინაწილებს, ხოლო „სენტ ეტიენი“ 35 ქულით მეექვსე ადგილზეა.

## ტურის გმირი

პიერ ანდრე ჟინიაკი (მარსელი)

23-ე ტურის გმირი **პიერ ანდრე ჟინიაკი** გახდა, რომელმაც გასულ უიქენდზე დუბლი შეასრულა. შესაბამისად, „მარსელმა“ სტუმრად „სოშო“ დაამარცხა, რაც სიახლე არავისთვისაა, რომ საკუთარ კედლებში კარგად ასპარეზობს. პიერ ანდრე ჟინიაკიმ ორი ეფექტური გოლი გაიტანა და თავის გუნდს მეტად მნიშვნელოვანი სამი ქულის აღებაში დაეხმარა. პირველი გოლი, 20 მეტრიდან შორეულ კუთხეში გაუტანა მეკარე **რისეს**. მეორე გოლი კი სულაც 23-ე ტურის გოლად ვაღიარეთ.

## ტურის საუკეთესო გოლი

პიერ ანდრე ჟინიაკი (მარსელი)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტურის საუკეთესო გოლის ავტორი პიერ ანდრე ჟინიაკი გახდა. „სოშოს“ კარში გატანილი გამარჯვების გოლი არა მარტო გადამწყვეტი, არამედ ეფექტურიც გამოდგა. ჟინიაკი თანაგუნდელ რემის ჩაწოდებას გამოეხმაურა და მეტოქე გუნდის მეკარეს შანსი არ დაუტოვა. ყველამ ერთხმად აღიარა, რომ გოლი ძალიან მარტივი, თუმცა იმავდროულად შთამბეჭდავი გამოვიდა. კიდევ ერთხელ გამოჩნდა ფრანგი ფეხბურთელის იდეალური საშემსრულებლო ოსტატობა. საფრანგეთის ჩემპიონატის მიმდინარე სეზონში ეს მისი მეხუთე გაელვებაა.

## ტურის ციფრი

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, „ნანსიმ“ და „ოსერმა“, ერთმანეთს კარში სულ 4-ჯერ დაურტყეს. არადა, „ნანსიმ“ მეტოქე 3-1 დაამარცხა. ასეთი სტატისტიკა ფეხბურთში, მართლაც რომ იშვიათობაა.

## ტურის სიმბოლური ნაკრები (4-4-2)

**რუფიე** (მონაკო) – **ლოლო** (მონაკო), **სახო**(პსჟ), **ვარანი**(ლანსი), **კარლაო**(სოშო) - **დუპურტიუ** (ვალანსიელი), **ვაირუა** (ნანსი), **კაბაი**(ლილი), **ჯერვინიო**(ლილი) – **ჟინიაკი**(მარსელი), **ჰაჯი**(ნანსი)

## ტურის ფრაზა

*„ბოლოს და ბოლოს, გამოვიღვიძეთ და მოვახერხეთ გამარჯვება“* - განაცხადა „მონაკოს“ მთავარმა მწვრთნელმა, **ლორან ბანიდმა**. მან საკმაოდ ლაკონურად აღწერა „მონაკოში“ არსებული სიტუაცია. ყველასთვის ნათელი იყო, რომ ბოლო ხანებში გუნდი ცუდად გამოიყურებოდა, ბოლო ტურში გამარჯვება კი ადგილობრივ გუნდს ჰაერივით სჭირდებოდა. გულშემატკივარსა და კლუბის ხელმძღვანელობას დიდი იმედი აქვს, რომ 2003-04 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი, პირველ ლიგაში ადგილს მაინც შეინარჩუნებს.

**გიორგი ბუაჩიძე**

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. სამშაბათის მატჩების წინ

# მილანში ამოისუნთქეს: ბეილი ვერ ითამაშებს!

## რაული მესტალიაზე თავს ისე იგრძნობს, როგორც თევზი წყალში

**დღეს ჩემპიონთა ლიგა ორი უაღრესად საინტერესო მატჩით გვიბრუნდება. მერვედფინალს ევროპის ოთხი წამყვანი საფეხბურთო ქვეყნის კლუბები გახსნიან: „ვალენსია“ საკუთარ „მესტალიაზე“ „შალკეს“ მასპინძლობს, „მილანი“ კი „სან სიროზე“ „ტოტენჰემს“ მიიღებს.**

ესპანეთი დღეს „ვალენსიას“ ქომაგობს, გერმანიას კი იმედი აქვს, რომ „შალკე“ რეალურად არც ისე ცუდი გუნდია, როგორც ეს ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილიდან ჩანს. ყურადღების ცენტრში უდავოდ გელზენკირხენული კლუბის ესპანელი თავდამსხმელი, ესპანური ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა **რაული** იქნება - გონსალეს ბლანკო მადრიდის „რეალიდან“ „შალკეში“ გადასვლის შემდეგ სამშობლოში პირველად დაბრუნდა.

როცა „შალკეს“ თვითმფრინავი ვალენსიის აეროპორტში დაეშვა, გამოსასვლელთან რაულს ასზე მეტი ფანი ელოდა. „ხუმარების“ ვეტერანმა თავდამსხმელმა მოგვიანებით აღიარა, ნაღდად არ ველოდი, თუ ვალენსიის აეროპორტში ჩემი ფანები დამხვდებოდნენ. ეს რომ მადრიდი ყოფილიყო, კიდევ ჰო, მაგრამ აქ ამას ნაღდად ვერ წარმოვიდგენდიო. ქომაგებს „რეალის“ და „შალკეს“ მაისურები ეცვათ და რაულის გვარ-სახელს სკანდირებდნენ, ყოველთვის საუკეთესო იყავი და ჩვენთვის დღესაც ნომერ პირველი ხარო. გონსალეს ბლანკომ ისიც თქვა, რომ დღევანდელი მატჩი მის საფეხბურთო კარიერაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია იმის გამოც, რომ ხანგრძლივი, ნახევარწლიანი პაუზის შემდეგ პირველად წარსდგება ესპანური პუბლიკის წინაშე.

*„რაული აქ ყველას საოცრად უყვარს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ვალენსიაა და არა მადრიდი, მითხრეს, რომ ამ დღეებში აქ ყველა მასზე ლაპარაკობს. პირადად მე არ მიკვირს, რომ რაული ესპანეთში გაცილებით აქტუალური პერსონაა, ვიდრე გერმანიაში. ჩვენ, გერმანელები ჯერ კიდევ ვერ ვხვდებით სათანადოდ, მისი სახით რაოდენ დიდი მნიშვნელობის მქონე ფეხბურთელი გვყავს ბუნდესლიგაში,“* - ეს „შალკეს“ მწვრთნელის, **ფელიქს მაგათის** სიტყვებია.

გერმანელები შესაძლოა ვერ გამოხატავენ, მიხვედრით კი ნაღდად ხვდებიან, რომ ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში „შალკესთვის“ რაული ყველაზე ძვირფასი ფეხბურთელია. გადალახავს თუ არა კრიზისში მყოფი გელზენკირხენული კლუბი მერვედფინალს და მიიღებს თუ არა უეფასგან დამატებით მილიონებს

---

**დღეს, 23:40**

**ვალენსია (ესპანეთი) VS შალკე (გერმანია)**

**15 თებერვალი. ვალენსია. მესტალია**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ვალენსია (4-4-2):** გუაიტა – ბრუნო, რ. კოსტა, დ. ნავარო, მატიო – ბანეგა, ტ. კოსტა, მატა, ხოაკინი – სოლდადო, ადურისი.

**შალკე (4-2-2-2):** ნოიერი – უჩიდა, ჰიოვედესი, მეტცელდერი, შმიტცი – კლუგე, მატიპი – ფარფანი, ხურადო – რაული, ჰუნტელაარი.

**არბიტრი:** ალექსეი ნიკოლაევი (რუსეთი)

---

პრემიის სახით, ეს დიდწილად რაულზეა დამოკიდებული, რადგან „შალკეს“ ყველა მოთამაშეს ერთადაც კი არ აქვთ ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში თამაშის იმდენი გამოცდილება, რამდენიც რაულს. მაგათი დარწმუნებულია, რომ დღეს რაული „მესტალიაზე“ თავს ისე იგრძნობს, როგორც თევზი წყალში.

თვითონ რაულს „ვალენსიასთან“ იდეალური მოგონებები აკავშირებს. *„რეალთან“ ერთად 2000 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში სწორედ „ვალენსია“ დავამარცხე (3:0) და მაშინ გოლის გატანაც შევძელი, თუმცა ვაღიარებ, რომ ამ გუნდის კარში გატანა ყოველთვის ძალიან მიჭირდა,* - აცხადებს 33 წლის გონსალეს ბლანკო და იქვე დასძენს, - *მართალია, „ვალენსია“ ესპანეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, მაგრამ პირადად მე ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და ვფიქრობ, რომ „შალკეს“ მეოთხედფინალში გასვლა შეუძლია.“*

გელზენკირხენელთათვის დღეს მთავარი ისეთი შედეგის ან ანგარიშის დაფიქსირებაა, რომელიც გერმანულ გუნდს საპასუხო მატჩისთვის მეოთხედფინალში გასვლის კარგ შანსს დაუტოვებს. „ვალენსიამ“ კი პირიქით, თამაში მინიმუმ ისე უნდა მოიგოს, რომ საპასუხო შეხვედრას მეტ-ნაკლებად მშვიდად მაინც შეხვდეს, რადგან „ღამურებმა“ კარგად იციან, რომ „შალკე“ ბუნდესლიგაში რაც არ უნდა ცუდად თამაშობდეს, საკუთარ მოედანზე ყოველთვის ნებისმიერის გამწარება შეუძლია.

მართალია, მერვედფინალის წილისყრის შემდეგ გელზენკირხენში ყველას უხაროდა ის, რომ „შალკეს“ მეტოქედ „ვალენსია“ შეხვდა, მაგრამ ეს გერმანული კლუბისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს. ფაქტია, რომ დეკემბრის მერე **უნაი ემერის** გუნდი ძალიან კარგად ათამაშდა - „ვალენსიას“ ამჟამად ცხრამატჩიანი წაუგებელი სერია აქვს და მესამე ადგილზეა. არადა, გუნდმა ზაფხულში სამი წამყვანი ფეხბურთელი, **დავიდ ვილია, დავიდ სილვა** და **კარლოს მარჩენა** დაკარგა. ფაქტია ისიც, რომ „შალკეს“ ბოლო დროს დასტაბილურებულ დაცვას დღეს გაცილებით დიდი ჯაფა დაადგება, ვიდრე გასულ უქმეებზე, „ფრაიბურგთან“ მატჩში (1:0). ისიც ვთქვათ, რომ ფელიქს მაგათის გუნდის უკანა ხაზი ამ სეზონში ყოველთვის სტაბილური არ ყოფილა - გაიხსენეთ „კაიზერსლაუტერნთან“ 0:5.

„შალკეს“ „ვალენსიასთან“ საკმაოდ კარგი მოგონებები აკავშირებს: „ხუმარებმა“ „მესტალიაზე“ ორჯერ ითამაშეს და არც ერთხელ არ დამარცხებულან. გერმანელების მეკარე **მანუელ ნოიერი** ამ სერიის შენარჩუნებას ითხოვს და ამბობს, „მესტალიაზე“ კარი მშრალად უნდა შევინახოთო. მაგათის თქმით, „შალკე“ ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მინიმუმ ერთი გოლი გაიტანოს, რაც საპასუხო მატჩისთვის უკვე კარგი გარანტია იქნება, რადგან ფელიქსი დარწმუნებულია, რომ მისი შეგირდები სამ ან მეტ გოლს არ გაუშვებენ. მაგათი დღეს იანვარში „რუსენბორგიდან“ ნაყიდ **ენტონი ანანს** ვერ გამოიყენებს, რადგან ამ უკანასკნელს ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე სეზონში უკვე ნათამაშები აქვს. ანანს საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე სავარაუდოდ **ჯოელ მატიპი** შეცვლის.

„ვალენსიამ“ ამ უქმეებზე მადრიდის „ატლეტიკო“ დაამარცხა და მესამე ადგილზე პოზიცია გაიმყარა. შაბათს განსაკუთრებით კარგად **ხოაკინმა** ითამაშა (დუბლი), რომელიც დღესაც ძირითად შემადგენლობაში იქნება. საკადრო პრობლემები „ღამურებსაც“ აქვთ: ანანის დარად, ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე სეზონში „ვალენსიას“ ახალწვეულ **სტანკევიჩუსსაც** ნათამაშები აქვს (სამპდორიაში). გამოცდილი ნახევარმცველი **ალბელდა** კი დისკვალიფიცირებულია. საეჭვოა ფორვარდ **მატას** თამაშიც - მას მცირე ტრავმა აწუხებს.



რაული

---

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „მილანს“ უკვე ძალიან გაუმართლა: გუშინ საღამოს საბოლოოდ დადასტურდა, რომ „ტოტენჰემის“ „მარგალიტი“ **გარეთ ბეილი** დღეს „როსონერისთან“ ვერ ითამაშებს. „გაძეტა დელო სპორტი“ წერს, რომ ამის გამო „მილანს“ ერთით ნაკლები პრობლემა აქვს, რაც სრული სიმართლეა. იტალიაში და კერძოდ მილანში ძალიან კარგად ახსოვთ, რაც გაუკეთა ბეილმა „ინტერის“ მარჯვენა მცველ **მაიკონს** ჯგუფურ ეტაპზე ორივე პაექრობაში. იტალიაში, საქართველოსა თუ სადმე სხვაგან დღემდე არ წყდება ხუმრობები იმის შესახებ, რომ მაიკონი, რომელიც ერთი წლის წინ მსოფლიოში საუკეთესო მარჯვენა უკანახაზელი იყო, თავის თავს სწორედ მას მერე აღარ ჰგავს, რაც „ტოტენჰემელმა“ ბეილმა თავბედი აწყევლინა. ამდენი ლაპარაკი იმიტომ დაგვჭირდა, რომ უფრო კარგად განვემარტა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი კაცი აკლია „ტოტენჰემს“ დღევანდელ მატჩში.

„მილანს“ იტალიის ჩემპიონატში საქმეები იდეალურად მისდის. „როსონერიმ“ ამ უქმეებზეც დამაჯერებლად მოიგო (4:0 „პარმასთან“) და სატურნირო ცხრილს მყარად ლიდერობს. შესაბამისად, „მილანი“ „ტოტენჰემთან“ ფავორიტად მიიჩნევა. იტალიელთათვის პრობლემაა ის, რომ მთავარი მწვრთნელი **მასიმილიანო ალეგრი** დღეს ვერც **მარკ ვან ბომელს** ათამაშებს და ვერც

---

**დღეს, 23:40**

**მილანი (იტალია) VS ტოტენჰემი (ინგლისი)**

**15 თებერვალი. მილანი. სან სირო**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი – ოდო, ნესტა, ტიაგო სილვა, ანტონინი – გატუზო, მერკელი (ან ფლამინი), ზეედორფი – რობინიო – პატო, იბრაჰიმოვიჩი.

**ტოტენჰემი (4-4-2):** გომეში – ჩორლუკა, დოუსონი, გალასი, ასუ-ეკოტო – ლენონი, კრანჩარი, სანდრო, ვან დერ ვაარტი (ან პიენაარი) – დეფო, პავლიუჩენკო.

**არბიტრი:** სტეფან ლანუა (საფრანგეთი)

---



ჯგუფურ ეტაპზე მაიკონის შემარცხვენელი გარეთ ბეილი „მილანთან“ ტრავმის გამო ვერ ითამა-

**ანტონიო კასანოს** (მიზეზებზე აღარ შევჩერდებით).

სამაგიეროდ, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ალეგრი ძირითად შემადგენლობაში გაამწესებს 18 წლის გერმანელ ნახევარმცველ **ალექსანდერ მერკელს**, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონთა ლიგაში მისი დებიუტი შედგება. მერკელმა „პარმასთან“ 90 წუთი ითამაშა და ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ალეგრი ახალგაზრდა გერმანელს არა მარტო იმიტომ ენდობა, რომ ვან ბომელს თამაში არ შეუძლია, ან იმიტომ, რომ **ანდრეა პირლო** და კაპიტანი **მასიმო ამბროზინი** ტრავმირებულები არიან, არამედ პირველ რიგში იმის გამო, რომ მერკელი მასზე დაკისრებულ დავალებებს თავს თითქმის ყოველთვის უშეცდომოდ ართმევს.

მერკელთან ერთად თუ მის გარეშე, „მილანს“ მეოთხედფინალში გასვლა უნდა. *„ორი წელია, ჩემპიონთა ლიგას მერვედფინალში ვეთიშებით. ასეთი რამ მესამედ არ უნდა დაგვემართოს,“* - ეს **ადრიანო გალიანის** სიტყვებია.

ინგლისელებს კი, ბეილის არყოფნის გარდა, სხვა საკადრო პრობლემებიც აქვთ: **ჰარი რედნაპი** სავარაუდოდ ვერც **ლუკა მოდრიჩს** და **პიტერ კრაუჩს** გამოიყენებს. სამაგიეროდ, **რაფაელ ვან დერ ვაართმა** გამოჯანმრთელება მოასწრო და „სან სიროზე“ თამაში შეუძლია.

**გოტფრიდ ლენცი**

## უცხოური ფეხბურთი

● სერია A. ტურის მიმოხილვა

# ტური ორი გმირით


ედინსონ კავანი

### ტურის სიმბოლური ნაკრები

**ბუფონი** (იუვენტუსი) - **ლიხტშტაინერი** (ლაციო), **კანავარო** (ნაპოლი), **გასტალდელო** (სამპდორია), **კიელინი** (იუვენტუსი) - **გონსალესი (ლაციო), ლოდი** (კატანია), **ლიაჯიჩი** (ფიორენტინა) - **კავანი** (ნაპოლი), **კასანო** (მილანი), **დი ნატალე** (უდინეზე).

**ჯანლუიჯი ბუფონმა** კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი მეკარეა და სრულიად დამსახურებულად მოხვდა სიმბოლურ ნაკრებში. ვერ ვიტყვით, რომ ძალიან დატვირთული იყო და ათეულობით დარტყმა მოიგერია, მაგრამ ორჯერ-სამჯერ კი ნამდვილად გადაარჩინა გუნდი გაშვებული გოლისგან. შესაძლოა, გაგიკვირდეთ - ორი „სეივის“ გამო სიმბოლურში როგორ მოხვდაო, მაგრამ რომ არა ჯიჯის ბრწყინვალე რეაქცია, „იუვე“, როგორც მინიმუმ, ორ ქულას დაკარგავდა. როდესაც დიდ იტალიურ დერბიში კარს მშრალად შეინახავ და შენს გუნდს მინიმალურად გაამარჯვებინებ, ნამდვილად იმსახურებ რჩეულ ფეხბურთელთა შორის მოხვედრას. დაცვაში კიდევ ერთ ტურინელს, **ჯორჯო კიელინის** ვხედავთ, რომელმაც შესანიშნავად აულო ალღო მარცხენა ფრთაზე თამაშს და „ინტერთანაც“ საუკეთესო კუთხით წარმოჩინდა. სიმბოლური ნაკრების შეტევის ხაზზე კი ალბათ ნებისმიერი მწვრთნელი იოცნებებდა - გარემარბებად **დი ნატალე** და **კასანო**, ცენტრფორვარდის პოზიციაზე კი **კავანი**. სამივე თავდამსხმელმა დუბლი შეასრულა, მათმა გუნდებმა კი სამ-სამი ქულა ჩაიწერეს აქტივში.

### ტურის გმირები

დიახ, გმირები, რადგან XXV ტურში ორი ფეხბურთელის გამორჩევა მოგვიწევს. ერთი ედინსონ კავანი გახლავთ „ნაპოლიდან“, რომელმაც „რომას“ დუბლი შეუსრულა და მის გუნდს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოაპოვებინა, მეორე კი **ალესანდრო მატრი**, ვინც დიდ იტალიურ დერბიში გამარჯვების გოლი გაიტანა. სხვა შემთხვევაში ალბათ მხოლოდ ურუგვაელს გამოვარჩევდით, მაგრამ დიდ დერბიში გადამწყვეტი სიტყვის თქმა რჩეულთა ხვედრია და მას გვერდს ნამდვილად ვერ ავუვლიდით.

როგორც უკვე ალვნიშნეთ, კავანიმ ორჯერ დაამწუხრა რომაული გუნდი და მიმდინარე სეზონში გატანილი გოლების რაოდენობა ოცამდე გაზარდა. ორი აზრი არ არსებობს იმაში, რომ გასულ ზაფხულს განხორციელებული ტრანსფერებიდან, **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** „მილანში’ გადაბარგებასთან ერთად, სწორედ კავანის ტრანსფერი უნდა გამოვარჩიოთ. ჩემპიონატის ორი მესამედი მიილია, „ნაპოლი“ კი კვლავაც მეორე ადგილზეა და ლიდერს კუდზე აზის - ამით ყველაფერია ნათქვამი.

ალესანდრო მატრიმ სულ რაღაც სამი შეხვედრა გამართა „იუვენტუსის“ მაისურით და უკვე ორჯერ გახდა ტურის გმირი. ფენომენალური შედეგია და თუ ასე გააგრძელა, შესაძლოა ისევე შეიყვარონ გუნდის გულშემატკივრებმა, როგორც მეორე ალესანდრო უყვართ, გვარს არ დავასახელებთ.

საგულისხმოა, რომ მატრი ტურის სიმბოლურ გუნდში ვერ მოხვდა, მაგრამ გმირად მაინც შევრაცხეთ. ამას აქვს თავისი ლოგიკა - შესაძლოა, ისე ვერ იფრინა, როგორც სხვა ფორვარდებმა, მაგრამ მისმა გოლმა დიდი იტალიური დერბის ბედი გადაწყვიტა.

### ტურის უილბლო

**სამუელ ეტოოს** რომ ხუთი მეტრიდან ცარიელ კარში ბურთის შეგორება შეუძლია, იმედია ამაში ყველანი დარწმუნებულნი ვართ. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „იუვენტუსთან“ შეხვედრაში სწორედ ამ დისტანციიდან ვერ გაიტანა გოლი და რაც კიდევ უფრო საკვირველია, ცარიელ კარში. მატჩის 89-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც „ინტერმა“ ერთ-ერთი უკანასკნელი იერიში წამოიწყო, რასაც ეტოოზე გაკეთებული ბრწყინვალე გადაცემა და ამ უკანასკნელის გაუგონარი უზუსტობა მოჰყვა. ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი - ორიოდე წუთში, ეტოო პირისპირ დარჩა ბუფონთან და ბურთს ფეხი ააცილა. აი, ასე გაანიავა აფრიკელმა ორი საგოლე მომენტი და სამივე ქულა „იუვენტუსს“ დაუტოვა.

### ტურის მოულოდნელობა

ზოგადად, „ფიორენტინას’ მიერ „პალერმოს“ ძლევაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ მიმდინარე სეზონის შედეგებს თუ გავითვალისწინებთ, ფლორენციელთა წარმატება სწორედაც რომ გაგვიკვირდა. თანაც, **სინიშა მიხაილოვიჩის** შეგირდებმა სიცილიაში გაიმარჯვეს, იქ, სადაც ყველას უჭირს თამაში. შედეგი იქით იყოს და ტოსკანელებმა მაღალი დონის ფეხბურთი გვიჩვენეს, ისეთი, რომელიც აღარც კი გვეგონა თუ შეეძლოთ. ნამატჩევს სერბი სპეციალისტი უაღრესად კმაყოფილი იყო:

*„ტერიტორიულ, სათამაშო უპირატესობას ვფლობდით და სრულიად დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ასევე უნდა გავაგრძელოთ და თითოეულ შეხვედრაში მაქსიმალურად დავიხარჯოთ. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ შემადგენლობით დიდი მიზნების მიღწევა შეგვიძლია, მთავარია ეს ფეხბურთელებმაც დაიჯერონ. ამ კუთხით სერიოზული პრობლემები გვქონდა და ვხედავ, რომ უკეთესობაა“.*

### ტურის ფრაზა

**მაურიციო ძამპარინი (პალერმოს პრეზიდენტი):** *„ყველაფერში დელიო როსია დამნაშავე, რაიმე უნდა მოუხერხოს დაცვას, რადგან ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი“.*

### ციფრები და ფაქტები

- *ჯორჯო კიელინიმ მეორასე შეხვედრა ჩაატარა „იუვენტუსის“ მაისურით,* **მოჰამედ სისოკომ** კი მეასე;
- „ნაპოლის“ 1993 წლის შემდეგ არ ჰქონდა „რომასთან“ გასვლითი თამაში მოგებული;

### ტურის P.S.

„უდინეზეს“ უკვე რვა თამაშია არ წაუგია და ეს სერია ალბათ მომდევნო ტურშიც გაგრძელდება - „სტადიო ფრიულის“ ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი, „ბრეშა“ სტუმრობს.

**ლაშა ნიკლაური**

● დერბის გამოხმაურება

# ლეონარდო თავს იმშვიდებს

## მატრი ეიფორიაში

„იუვენტუსთან“ განცდილი მარცხის შემდეგ, „ინტერის“ მთავარმა მწვრთნელმა იხტიბარი არ გაიტეხა და განაცხადა, რომ მისი გუნდი აგრძელებს სკუდეტოსთვის ბრძოლას. მოვუსმინოთ **ლეონარდოს**:

*„პირველ ტაიმში ძალიან ცუდად ვითამაშეთ და სიმართლე გითხრათ, მიჭირს ამის ახსნა. მეორე ნახევარში საგრძნობლად გამოვასწორეთ მდგომარეობა, მაგრამ „იუვენტუსი“ შესანიშნავად იცავდა თავს და გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ. სამუელ ეტოოს გაცუდებულ მომენტებზე ნამდვილად არ ვაპირებ საუბარს, რადგან ეს ნებისმიერ ფეხბურთელს შეიძლება მოუვიდეს. მთავარი პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, რომ ხანდახან ჩვენს შეტევებს ტემპი, სისწრაფე აკლია. მეტოქე მცველები ასწრებდნენ უკან ჩასვლას და გადაწყობას, რამაც მათ დიდი უპირატესობა მისცა. სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია, მაგრამ ყურების ჩამოყრას ნამდვილად არ ვაპირებთ. ხომ ხედავთ რა სწრაფად იცვლება მოვლენები და სატურნირო ცხრილში არსებული ვითარება, ასე რომ, გლოვის საფუძველს ვერ ვხედავ. ჩვენი მიზანი სკუდეტოს მოპოვებაა და გულშემატკივართა გასახარებლად თავს არ დავზოგავთ“.*

**ლუიჯი დელ ნერი** მხრებგაშლილი მივიდა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე და შემდეგი განაცხადა: *„ჯერ კიდევ „პალერმოსთან“ ვითამაშეთ ძალიან კარგად, მაგრამ არ გაგვიმართლა და წავაგეთ. შემდეგ „კალიარი“ დავამარცხეთ და როგორც ხედავთ, „ინტერთანაც“ შევძლებია სამი ქულის მოპოვება. ასეთი გამარჯვებები ძალიან მნიშვნელოვანია და შეიძლება ფუნდამენტური როლი ითამაშოს გუნდის პროგრესის გზაზე დაყენებაში. ორი აზრი არ არის იმაში, რომ ახალწვეულების სახით დიდი ძალა შეგვემატა. ლუკა ტონიმ, ანდრეა ბარძალიმ და ალესანდრო მატრიმ საგრძნობლად გააძლიერეს გუნდი და ეს შედეგებზეც აისახა. მიზანი? - ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც ნებისმიერ ტურნირზე მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს“.*

ბუნებრივია, რომ დიდი ყურადღებით სარგებლობს გამარჯვების გოლის ავტორი, **ალესანდრო მატრი**. ბოლოს, სწორედ მას გადავცეთ სიტყვა: *„ჯერ კიდევ „კალიარისთან“ პაექრობაში გამოჩნდა, რომ ლუკა ტონისთან ურთიერთგაგების მხრივ არავითარი პრობლემა არ მაქვს. ახალ გუნდში შესანიშნავად ვგრძნობ თავს და შედეგიანი ასპარეზობაც აქედან არის გამოწვეული. ემოციებით ვარ ალსავსე, რადგან ისეთ შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა, რომელსაც მხოლოდ ტელეეკრანიდან თუ ვუყურებდი. ამასთან,*


ლეონარდო

*გამარჯვების გოლი გავიტანე და „იუვენტუსის“ ქომაგებს დიდი სიხარული მივანიჭე. სიტყვებით ძნელია იმ ემოციის გადმოცემა, რომელიც მაშინ განვიცადე და დღესაც უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობ თავს“.*

**ლაშა ნიკლაური**

## ძიუდო

# დიდი დაბრუნება

ამდღეებში აზერბაიჯანულმა და უკრაინულმა საიტებმა შეთქმულებივით ერთად გვაცნობეს ორი ცნობილი ძიუდოისტის სპორტში დაბრუნების შესახებ - აზერბაიჯანელებს ევროპის ჩემპიონი **რენატ მირზალიევი** (73) უბრუნდებათ, უკრაინელებს კი ორგზის ოლიმპიური მედალოსანი, ათენის თამაშების ვიცე-ჩემპიონი და პეკინის ბრინჯაოს პრიზიორი **რომან გონტიუკი** (90), რომელმაც კვირას ბუდაპეშტის მსოფლიოს თასზეც იჭიდავა. ის ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა სპორტს, თუმცა არცთუ წარმატებულად - პირველივე შეხვედრა წააგო.

გონტიუკმა სერიოზულ პირველ წარმატებას პეკინში მიაღწია - ფინალში გავიდა, იქ კი ბერძენთა ქართველყოფილ ოლიმპიურ ჩემპიონ **ილიას ილიადისთან (ჯარჯი ზვიადაური)** დამარცხდა. არსებითად, ის მაშინ მოექცა ყურადღების ცენტრში, თორემ მანამ იქნებ ვერც ეფიქრა ვინმეს, მას თუ ოლიმპიურ კვარცხლბეკზე ვიხილავდით. გონტიუკი ამის შემდეგაც რჩებოდა ლიდერთა შორის, თუმცა არასოდეს ყოფილა ისეთი გამოკვეთილი ფავორიტი, როგორიც თუნდაც ილიადისია. ამის მიუხედავად, პეკინში კიდევ ერთხელ ავიდა კვარცხლბეკზე - ამჯერად ბრინჯაო მოიპოვა. ამის შემდეგ მან წონა შეიცვალა - 90-ში გადავიდა, თუმცა წონის დაკლება ადრეც უჭირდა.

გონტიუკმა ტრავმა შარშან მიიღო და მას შემდეგ არ უჭიდავია, ახლა კი წონაში გაორმაგებული კონკურენცია დახვდა. აქ უკვე არ ჩანს ძველი ლიდერი - ევროპის სამგზის ჩემპიონი **ვალენტინ გრეკოვი**, მაგრამ მოვიდნენ ახლები. კაცმა არ იცის, როგორ წარიმართება ახალთა გზები, მაგრამ ამ ეტაპზე ისინი უფრო ძლიერები ჩანან. ლიდერთა შორისაა, უპირველესად, ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი, უკრაინის ორფერა ნაკრების პირველი ფერადკანიანი **ქიუნჯაი ნჰაბალი**, თუმცა სათვალავიდან ამოსაგდები არც თბილისის ტურნირის წლევანდელი გამარჯვებული **ვადიმ სინიავსკია**. შეგახსენებთ - მან თბილისში ფინალში სწორედ ნჰაბალი დაამარცხა. ვფიქრობთ, მათთან ჭიდაობა გონტიუკს ფრიად გაუჭირდება.

ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორს შარშანდელი სეზონი მხოლოდ ტრავმის მკურნალობაში არ გაუტარებია - დაოჯახდა და უკვე 6 თვის ვაჟიც ჰყავს, **რომა**. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ორგზის ოლიმპიური მედალოსანი ერთოთახიან ბინაში ცხოვრობს! ვფიქრობთ, ამით კარგი პარალელის გავლება შეიძლება ჩვენს სპორტსმენებთან, რომელთა ნაწილიც ბოლო ხანებში აშკარად ვაჭრობს ფინანსური საკითხებით.

სხვათა შორის, იმ ერთოთახიან ბინაში გონტიუკის მეზობელი კიდევ ერთი ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი, ოღონდ თავისუფალ ჭიდაობაში **ვასილ ფედორიშინი** ყოფილა. როგორც უკრაინული მედიისთვის მიცემული ინტერვიუდან ირკვევა, ისინი თურმე ერთ სართულზე, კედლის სხვადასხვა მხარეს ცხოვრობენ და ოჯახებით მეგობრობენ. გონტიუკის არ იყოს, ფედორიშინსაც ერთი ვაჟი ჰყოლია, 10 თვისა.

დიდი კონკურენციის მიუხედავად, გონტიუკი მაინც იმედოვნებს ოლიმპიადაზე მოხვედრას. მისი დაბრუნების ამბავმაც ამიტომ მიიქცია ჩვენი ყურადღება - ეს წონა, **ვალერი ლიპარტელიანის** ბოლოდროინდელი ჩავარდნის მიუხედავად, ჩვენთვის მაინც ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებოდ რჩება. თუმცა არა გვგონია, მისი დაბრუნება ჩვენთვის საშიში იყოს.

რაც შეეხება აზერბაიჯანელ მირზალიევს, სპორტიდან მისი წასვლა ბევრად ადრე მოხდა და უფრო სხვა მიზეზით - **ელნურ მამადლის** კონკურენციამ აიძულა, ჩრდილში გამდგარიყო. მირზალიევი ევროპის ჩემპიონია, მაგრამ მერე ლიდერობა თანდათან ხელთ იგდო მამადლიმ. ის 2006-ში ევროპის ჩემპიონი გახდა, მეორე წელს მსოფლიოს ფინალი იჭიდავა, თუმცა კორეელ კი-ჩუნ ვანგთან წააგო, მაგრამ მალევე აილო მასთან რევანში - 2008-ში ოლიმპიადის ფინალი მოუგო. ცხადია, მამადლის ასეთი თავბრუდამხვევი წარმატება მირზალიევს შანსს არ უტოვებდა. თანაც მაშინ წონაში ქვეყნიდან ორი კაცის გაყვანა ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა. მოგეხსენებათ, მამადლიმ უკვე 81-ში გადაინაცვლა (თუმცა ერთი ტურნირი 90-შიც კი იჭიდავა) და მირზალიევსაც დაბრუნების შანსი გაუჩნდა. მით უფრო, ევროპა-მსოფლიოზე უკვე ორ-ორი კაცის გამოყვანაა შესაძლებელი. აზერბაიჯანელთა თავკაცი **აგიარ ახუნდზადე** იმას კი ამბობს, რომ მირზალიევი გამოცდილი სპორტსმენია, მაგრამ მის საოლიმპიადო შანსებზე მეტად თავშეკავებით საუბრობს. არც გაემტყუნება - მირზალიევს ხომ ძალიან ბევრი გაუცდა. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად საშიშია მისი დაბრუნება ჩვენი სპორტსმენებისთვის, საქმე მთლად სახარბიელოდ არც ჩვენ გვაქვს - ჯერ კიდევ ლიდერის ძებნის პროცესში ვართ. მართალია, გვყავს რამდენიმე საკმაოდ პერსპექტიული ახალგაზრდა - **ნუგზარ ტატალაშვილი, ამბაკო ავალიანი, თენგიზ პაპოშვილი, ზებედა რეხვიაშვილი** და სხვა, მაგრამ მათ ჯერ აკლიათ გამოცდილება. ამიტომ ვერც თავი დაიმკვიდრეს ლიდერის ამპლუაში.

ბუდაპეშტში კიდევ ერთი ცნობილი სპორტსმენის დაბრუნება უნდა შემდგარიყო - ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ ბრიტანელ მსოფლიოს ჩემპიონ **კრეიგ ფელონსაც** (60) უნდა ეჭიდავა, მაგრამ ახალმა ტრავმამ მისი დაბრუნება ისევ გადაავადა.

**ირაკლი თავაძე**

# წარმატებით დაიწყეს

ამდღეებში ლიტვის ქალაქ ალიტუსში ჩატარდა ჭაბუკ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი, რომელშიც მეორედ იასპარეზეს ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა - საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის **ვაჟა ბალხამიშვილის** ხუთმა შეგირდმა. წლევანდელი სეზონი ჩვენმა ჭაბუკებმა წარმატებით დაიწყეს და შინ ორი მედლით დაბრუნდნენ. **გიორგი ყალაბეგაშვილს** (55 კგ) 1997-1998 წლებში დაბადებულთა შორის ოქროს მედალი ხვდა წილად, **შაკო ჩოჩელი** (+90) 1995-1996 წლებში დაბადებულთა შორის მეორე პრიზიორი გახდა.


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**თენგიზ თომაშვილი**

**სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!**

**„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.**

**დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთრის სახეობები

# ტრამპლინიდან კვლავ იწყებენ ფრენას

**ცოცხალმა ლეგენდამ, კობა წაქაძემ, ისეთი კვალი დატოვა ქართულ სათხილამურო სპორტში, რომელიც არ შეიძლება დავიწყებას მიეცეს. თუმცა დრომ და ვითარებამ ცოტა ხნით შეაფერხა განვითარება, მაგრამ ჟამთაცვლამ მაინც თავისი ადგილი მიუჩინა ყველაფერს. ყველასგან დავიწყებული ბატონი კობა, საბავშვო ტრამპლინს საკუთარი ხელით აკეთებდა (ერთ ცენტსაც არ უხდიდნენ) და პატარებს ავარჯიშებდა. ასე გაგრძელდა კარგა ხანს. ამას დიდი ოსტატი, გამობრძმედილი და საქმეზე შეყვარებული ადამიანი თუ იზამდა მხოლოდ. არც იმას ივიწყებს, რომ გაზეთების „ბორჯომისა“ და „ლელოს“ პრიზზე ჩატარებული შეჯიბრება „თიბისი ბანკის“ ბორჯომის ფილიალმა დაასპონსორა. მას შემდეგ წლები გავიდა. და აი, ახლა 40-მეტრიან ტრამპლინთან კვლავ გამოჩნდნენ სხვადასხვა ასაკის მფრინავი მოთხილამურეები.**

- დღეს სულ 13 ბავშვი ვარჯიშობს ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში. ჩვენთან მოვიდნენ და პატარებთან ერთად ვარჯიშობენ 24 წლის ლევან კოზანაშვილი და 26 წლის გიორგი ნიკლაური, 18 წლის ლევან ტონოიანი და დავით მინასიანი, დიდი კობა წაქაძის აღზრდილებიც, გვეუბნება **იბრაგიმ გობოზოვი,** რომელიც სამი წელიწადია ბორჯომის სასპორტო სკოლის მწვრთნელია ამ სახეობაში. მისი თქმით, 13 ბავშვიდან 5 სასპორტო სკოლის ჯგუფში ირიცხება, ხელფასს იღებს, მაგრამ ჯგუფს არ გააჩნია ინვენტარი, თხილამურებიც კი. შეძენის საშუალება სპორტსკოლას არ აქვს და ვერც ტრამპლინებს მიხედავს. დანარჩენი ბავშვები ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომის ბაკურიანის კლუბიდან არიან, რომელიც იურიდიულად 2010 წლის ზაფხულში დარეგისტრირდა. კლუბმა საპატიო პრეზიდენტად სპორტის დამსახურებული ოსტატი, კობა წაქაძე აირჩია, ისიც ახალგაზრდებს მხარში უდგას და გამოცდილებას უზიარებს.

**გელა სოტიშვილი, კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მწვრთნელი:** - შარშან, ბავშვების დახმარებით დავიწყეთ ტრამპლინებისა და მისი მიდამოების გაწმენდა-გასუფთავება. დიდი სამუშაო შესრულდა. არაკაცებმა კი ტრამპლინის კიბეები, სამსაჯო ოთახები, მოაჯირები ერთიანად გაძარცვეს. ვარჯიშისთვის სასტუმრო „პრემიერ პალასის“ დირექციამ ტექნიკური მენეჯერის გურამ სანაკოევის შუამდგომლობით დიდი დახმარება გაგვიწია - დაგვითმო სპორტული დარბაზი თავისი ტრენაჟორებით, საცურაო აუზი და საუნაც, რისთვისაც დიდი მადლობა მათ. ჯგუფი ათდღიან გამაჯანსაღებელ შეკრებაზე ქობულეთშიც წავიყვანეთ. მეგობრები დაგვეხმარნენ, მშობლებს ერთი თეთრიც არ გადაუხდიათ.

ერთი სპორტსმენის აღჭურვა 1500 დოლარზე მეტი ღირს, ამიტომაც ნახმარი თხილამურების შემოტანა გადავწყვიტეთ. გერმანიაში მცხოვრებმა ბესო მგელაძემ, ჩამოუტანა ბიჭებს თხილამურები თბილისში. ხელთათმანები, სათვალეები და ჩაფხუტები თბილისის მაღაზია „მოგზაურიდან“ მამუკა ნიკოლაძემ გვაჩუქა. მოკლედ, რაც ამ ბავშვებს აცვიათ და რითაც ტრამპლინზე ვარჯიშობენ, მეგობრების შეწევნითაა. მწვრთნელებმა ნათქვამს ისიც დაუმატეს, რომ თოვლის ნაკლებობის გამო ბავშვების დახმარებით გვერდიდან აგროვებდნენ თოვლს და ყრიდნენ ტრამპლინზე.

- მომეცადინეთაგან ყველაზე უმცროსი 6 წლის ალან გობოზოვია, 10 წლისაა ვაჟა კოზანაშვილი, 12-ის ვანო ბასილაშვილი, 13-13-ის გიორგი შუბითიძე და გიორგი კურტანიძე, 14-14-ის სერგო ჯიკაევი და არტურ სარქისიანი, 16-ის სერგო პაპიკიანი.

ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში უკვე ქალებიც გამოდიან, ეს პატარა გოგონა (რომელსაც სურათზე ხედავთ), ისეთი უშიშარია, ბაქანს აღარ სჯერდება და მამას, იბრაგიმს უფრო მაღალ ტრამპლინზე აშვებას სთხოვს. დიახ, 7 წლის ესმა გობოზოვას გადაწყვეტილი აქვს დიდი სპორტსმენი გამოვიდეს. ეს სურვილი პატარამ მაშინ გამოთქვა, როცა ერთ-ერთ მეორად თხილამურზე მსოფლიო ჩემპიონის, ავსტრიელი ქალის ფრანცისკა შუბერტის ავტოგრაფი ნახა, მას შემდეგ ვერ ისვენებს, მეც მას უნდა მივბაძოო...

... დღეში ორჯერ ვარჯიშობენ: დილით - ფიზიკური, დატვირთვაა, გაკვეთილების შემდეგ კი ყველა ტრამპლინზეა და თითოეულს 10-10 ნახტომის შესრულება უწევს. ბავშვებმა ისიც კარგად იციან, რომ დღეს სპორტსმენი განათლებასაც დიდ ყურადღებას უნდა უთმობდეს. კითხვაზე, თუ რატომ აირჩიეს ტრამპლინიდან ხტომა, პასუხი ერთი იყო - ბაკურიანს, საქართველოს ზამთრის სპორტის სახეობებში ყველაზე ცნობილი და გამოჩენილი სპორტსმენი გვყავდა, კობა წაქაძე და ჩვენც გვინდა მის ნაკვალევს გავყვეთ, ამ სახეობას ყველაზე გაბედულები და ვაჟკაცები მისდევენო.

*იბრაგიმ გობოზოვს და გელა სოტიშვილს ყოფილი თანაგუნდელი* ***დათო დიაკონაშვილიც*** შემოუერთდა და თანადგომა აღუთქვა. მატერიალურად კი მოხტუნავეებს დაბელი ***ნიკოლოზ შატბერაშვილი*** უდგას მხარში, იგი ერთ დროს სწორედ მათთან ერთად ვარჯიშობდა და **სიმონ ხაჩატურიანის** მეშვეობით ეუფლებოდა ტრამპლინიდან ხტომის საიდუმლოებას.

სასიხარულოა, რომ ტრამპლინებზე კვლავ ფუსფუსია. ორგანიზატორებს დახმარება და მხარში დგომა ნამდვილად ესაჭიროებათ, თუნდაც ტრამპლინების კოსმეტიკურ სარეაბილიტაციო სამუშაოებში, ხოლო ნორჩ სპორტსმენებს მატერიალური და მორალური მხარდაჭერა.

უახლოეს დღეებში შეჯიბრებების ჩატარებაც სურთ, მით უმეტეს ახლა მოთოვა კიდეც. ვინ იცის, იქნებ სპონსორებიც გამოჩნდნენ და შეჯიბრება დააფინანსონ.

**სოფიკო ხეთაგაშვილი**
ბაკურიანიდან





# საქართველოს პირველობა დაგვიბრუნდა

ბაკურიანში განუწყვეტლად თოვს, სპორტსმენები ტრამპლინის გაწმენდას ვერ აუდიან, ასე იყო 13 თებერვალსაც. მოღრუბლული ამინდი და ციდან წამოსული ფიფქები მფრინავ მოთხილამურეებს მაინც ბევრს ვერაფერს აკლებდა, მით უფრო, რომ მათთვის პირველი ოფიციალური შეჯიბრება - საქართველოს პირველობა იყო.

იმ დღეს ტრამპლინების მიდამოები კვლავ გამოცოცხლდა, მაყურებელიც მოვიდა, ჟღერდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი, პატარა არწივებმა ჯერ თითო დაშვება შეასრულეს, შემდეგ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ვანკუვერში დაღუპული **ნოდარ ქუმარიტაშვილის** ხსოვნას და მსაჯებმა ოფიციალურ შეჯიბრებაზე უხმეს. 14 სპორტსმენი სამ ასაკობრივ ჯგუფად დაიყო. თითოეულ მფრინავ-მოთხილამურეს ორ-ორი ნახტომი უნდა შეესრულებინა, ასეც მოხდა.

ორი ნახტომის ჯამში უმცროს ასაკში პირველი ადგილი დაიკავა და ქვეყნის პირველობის ტიტული მოიპოვა 12 წლის **ივანე ბასილაშვილმა** (205,5 ქულა), მეორე იყო 10 წლის **ვაჟა კოზანაშვილი** (180 ქულა), მესამეზე 168 ქულით 13 წლის **გურამ კურატანიძე** გავიდა.

საშუალო ასაკში 217 ქულით **არტურ სარქისიანმა** გაიმარჯვა; 208 ქულით **სერგო ჯიკაევს** ხვდა მეორე ადგილი (ორივე 14-14 წლისაა), მესამეზე - 203,5 ქულით 13 წლის **გიორგი შუბითიძე** გავიდა.

უფროს ასაკში გაიმარჯვა 18 წლის **ლევან ტონოიანმა** (272,5 ქულა), 24 წლის **ლევან კოზანაშვილმა** მეორე ადგილი (268,5 ქულა), ხოლო 18 წლის **დავით მინასიანმა** მესამე საპრიზო ადგილი (229 ქულა) დაისაკუთრა.

შეჯიბრების ორგანიზატორმა (ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომის ბაკურიანის კლუბი, დირექტორი **ნიკოლოზ შატბერაშვილი**) გამარჯვებულებისა და პრიზიორების გარდა სპეციალური პრიზებითაც წაახალისა მონაწილენი.

ნიკოლოზ შატბერაშვილი ერთ დროს ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომას თავადაც ეუფლებოდა. დღეს იგი ცხოვრობს თბილისში, არის ერთ-ერთი ფირმის აღმასრულებელი დირექტორი და მეგობრებთან ერთად დააფუძნა ზემოხსენებული კლუბი.

**სოფიკო ხეთაგაშვილი**

# ხუთნი მსოფლიოს ჩემპიონატზე

20 თებერვლამდე გერმანია სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს. გერმანიაში, კერძოდ გარმიშ-პარტენკირხენში ქართველი სპორტსმენებიც გამოვლენ. საქართველოს ნაკრების ხუთი წევრი - **ნინო წიკლაური, დიმიტრი გედევანიშვილი, ალექსი ბენიანიძე, კოტე ვახტანგიშვილი** და **იასონ აბრამიშვილი** გერმანიაში 13 თებერვალს გაემგზავრნენ.

საქართველოს სათხილამურო ფედერაციის გადაწყვეტილებით, ამ ეტაპზე არჩევანი სწორედ მათზე შეჩერდა. ქართველები მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალებს გამოცდილი და ტიტულოვანი სპორტსმენების გვერდით მოსინჯავენ.

GARMISCH-PARTENKIRCHEN
GAP2011
FIS ALPINE SKI WM

**სამინისტროს**
**პრესსამსახური**

# დიდველზე სპეციალურ სლალომში



ბაკურიანში გასულ უქმეებზე სამთო მოთხილამურეთა საქართველოს თასის გათამაშების სასტარტო პაექრობები გაიმართა. სხვადასხვა ასაკში 70-მა გოგონამ და ვაჟმა მოსინჯეს ძალები. პირველ დღეს სპეციალურ სლალომში ადგილები ასე განაწილდა:

**1998-1999 წლებში დაბადებულნი. გოგონები.** 1. ანა ოგბაიძე (გუდაური), 2. ქეთევან ჩოგაძე, 3. ზეინაბ ჯორბენაძე (ორივე-აჭარა). **ვაჟები.** ალეკო მარსაგიშვილი (გუდაური), 2. ნიკა წაქაძე (თბილისი), 3. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი).

**1996-1997 წლებში დაბადებულნი. გოგონები.** 1. ანასტასია კვირიკაძე (გუდაური), 2. ნატა მგელაძე (თბილისი), 3. თამუნა ბენიაიძე (გუდაური). **ვაჟები.** 1. გალო ჯაფარიძე (გუდაური), 2. შოთა ნათაძე (თბილისი), 3. გოგა ოგბაიძე (გუდაური).

**1995 წელს დაბადებულნი. გოგონები.** 1. ნატაშა გავა, 2. თამარ ბაქრაძე (ორივე-ბაკურიანი), 3. ნინო ჯალმაიძე (გუდაური). **ვაჟები.** 1. იგორ გავა, 2. დავით გავა, 3. გიორგი ბარბარიანი (სამივე-ბაკურიანი).

სპეციალურ სლალომში მეორე დღის შეჯიბრებებმა საპრიზო ადგილებში მცირეოდენი კორექტივები შეიტანა. 1996-1997 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის მესამე ადგილზე ამჯერად **თიკო ნაზლაიძე** გავიდა. თექვსმეტწლიანებში მეორეადგილოსანი **თამარ ბაქრაძე** გუდაურელმა სეხნია - **თამარ ჯალმაიძემ** შეცვალა. წინა დღის დანარჩენმა გამარჯვებულებმა და პრიზიორებმა კვარცხლბეკზე ადგილები შეინარჩუნეს.

1998-1999 წლებში დაბადებულ ბიჭებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. **დათო ხომერიკი** (გუდაური), 2. ნიკა წაქაძე, 3. გიორგი პაჩოშვილი (ორივე-თბილისი). 14-15 - წლიანებში კვარცხლბეკი უცვლელი დარჩა, ხოლო 16-წლიანებში ამჯერად პირველი იყო დავით გავა, 2. იგორ გავა, 3. ზაურ ბანდური (სამივე-ბაკურიანი).

თასის გათამაშების მეორე ეტაპს 26-27 თებერვალს ისევ ბაკურიანი უმასპინძლებს.

**ვაჟა დანელია**

ხელმოწერის მსურველთა საყურადღებოდ!

„ლელოზე“ ხელმოწერის გასაფორმებლად ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენი საგამომცემლო სახლის სააგენტოს ელვა.ჯი. სურვილის მიხედვით სააგენტოს წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ ორგანიზაციაში ხელმოწერის ნებისმიერი რიცხვიდან გასაფორმებლად. გაზეთის დროული და უკლებლივ მოწოდება გარანტირებულია.

დარეკეთ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი.

ქართული სპორტი

კალათბურთი



# იურე ჟდოვჩი: ბოისას დაბრუნება დიდი პლუსია

გუშინ ძალიან მოკლედ მოგახსენეთ, როგორ მოიგო „ოლიმპიამ" სლოვენიის თასი. ცოტა უცნაურია, მაგრამ ოლიმპიელებს ყველაზე ძლიერი მეტოქე მეოთახედფინალში შეხვდათ, შედარებით სუსტი ნახევარფინალში, ხოლო მთლად სუსტი - ფინალში. თავად განსაჯეთ: **გიორგი შერმადინისა** და **ვლადიმერ ბოისას** გუნდმა ფინალში „ჰელიოსი" 92:55 დაამარცხა, ნახევარფინალში „ზლატოროგს" 85:73 აჯობა, ხოლო მეოთხედფინალში კრკა-ს დასამარცხებლად სამი ოვერტაიმი დასჭირდა - 122:113. როგორც ჩანს, სლოვენიის თასის წილისყრის წინ გუნდები არ განუთესავთ, ძლიერები ერთ მხარეს მოხვდნენ, სუსტები - მეორეს.

გიორგი შერმადინს მუხლი აწუხებდა და სამივე მატჩი გამაყუჩებლით ითამაშა. კრკა-სთან მოედანზე 8 წუთი გაატარა და 1 ქულა ჩააგდო.

მის კარიერაში ერთ-ერთი გამორჩეული იყო „ზლატოროგთან" ჩატარებული ნახევარფინალი, რომელშიც 20 წუთში ორმაგი დუბლი შეასრულა: 17 ქულა და 10 მოხსნა. ...საქართველოდან წასვლის შემდეგ მას დიდი ხანი მოუწია ლოდინმა პირველ ოფიციალურ ორმაგ დუბლამდე. არაოფიციალურად, იგი „პანათინაიკოსის" მაისურით სერბულ შეკრებაზე რამდენიმეჯერ ასცდა 10 ქულასა და ამდენივე მოხსნას.

თასის მოგების შემდეგ „ოლიმპიას" მწვრთნელმა **იურე ჟდოვჩმა** სლოვენიურ გაზეთს ვრცელი ინტერვიუ მისცა, რომელშიც არაერთ საკითხზე ილაპარაკა, თუმცა შერმადინზე კრინტიც არ დაძრა. მწვრთნელმა ერთი აბზაცი ვლადიმერ ბოისას მიუძღვნა:

*- გვყავს როგორც ახალგაზრდები, ასევე გამოცდილები. იყო შემთხვევა, როცა თამაშის აწყობა ახალგაზრდებზე ვცადეთ, მაგრამ „ცედევიტასთან" დიდი სხვაობით დავმარცხდით. თასის მატჩებში მეტ-ნაკლებად კარგად დავტვირთეთ გამოცდილი ვლადიმერ ბოისა, რომელიც ფორმას ნელ-ნელა იბრუნებს. მისი მოედანზე გამოჩენა „ოლიმპიასთვის" დიდი პლუსია.*

ვოვამ კრკა-სთან მეოთხედფინალში 25 წუთი ითამაშა და ძირითადად დაცვითი ფუნქციებით იყო დაკავებული (2 ქულა ჩააგდო). ბოისას მეორე ქულა მატჩის საფინალო წერტილი აღმოჩნდა - 122:113.

ნახევარფინალში ვოვამ 13 წუთში 4 ქულა ჩააგდო (3-დან 2 ორქულიანი), ხოლო ფინალში 15 წუთში 4-4 ქულა-მოხსნა-პასი. 4-დან 2 პასი ბოისამ შერმადინს მისცა.

*- ვოვა მპირდებოდა, როცა მოედანზე გამოვალ, პასებით აუცილებლად მოგამარაგებო და სიტყვას ასრულებს,* - ამბობს შერმადინი.

არ უნდა გამოგვრჩეს, თასის აღების შემდეგ შამპანური სწორედ ვლადიმერ ბოისამ გახსნა...

ორშაბათის დადგომასთან ერთად ოლიმპიელებმა „მაქაბისთან" მატჩზე იწყეს ზრუნვა - 17 თებერვალს ევროლიგაზე სწორედ ამ გუნდს უმასპინძლებენ.

*- თელ ავივში 37 ქულის სხვაობით წავაგეთ. ამის მიზეზი კარგად ვიცი. აქედან გამომდინარე, ვიტყვი, რომ 17 თებერვლის მატჩში მოგება შეგვიძლია, რისთვისაც საჭიროა გონივრული და ხისტი კალათბურთის თამაში. დარწმუნებული ვარ, წარმატების მიღწევაში ხმაურიანი დარბაზიც დაგვეხმარება,* - განაცხადა იურე ჟდოვჩმა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

პრობლემა

# მესამე მატჩი გამყრელიძის გარეშე

ბუნდესლიგის „გისენმა" უკვე მესამე მატჩი ჩაატარა **ლაშა გამყრელიძის** გარეშე. გისენელებმა ამჯერად „ულმის" წინააღმდეგ ითამაშეს და 80:100 დამარცხდნენ.

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი წინა ორი შეხვედრის მსგავსად განაცხადში არ იყო. ამის მიზეზი შეიძლება ვინმეს ტრავმა ეგონოს, მაგრამ რეალურად ასე არაა. ლაშას მწვრთნელთან გაუფუჭდა ურთიერთობა...

შეგახსენებთ, რომ სეზონის სტარტზე „გისენმა" 5 მატჩი მოიგო (გამყრელიძე ხშირად 6 პასს აგროვებდა და 10 ქულაზე მეტს აგდებდა), თუმცა საწყისი წარმატებები წაგებათა უსასრულო სერიამ შეცვალა. ახალგაზრდა მწვრთნელი **ვლადიმირ ბოგოიევიჩი** (1976 წელსაა დაბადებული) გამოსავლის ძიებას შეუდგა და პირველი, რაც ამ მიმართულებით გააკეთა, ლაშა გამყრელიძის ძირითადი შემადგენლობიდან ამოგდება იყო, რასაც განაცხადიდან ამოწერა მოჰყვა. მწვრთნელს უფროსობის წინაშე თავის გამართლება სჭირდებოდა და სცადა წარუმატებლობა ქართველი გამთამაშებელისთვის გადაებრალებინა, პლეიმეიკერზე გუნდში ხომ ბევრი რამაა დამოკიდებული. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ამით ვითარება ვერ გამოსწორდა და ვლადიმირ ბოგოიევიჩი „გისენის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვეს. მისი ადგილი ამერიკელმა სპეციალისტმა **სტივენ კეიმ** დაიკავა. თუმცა, ლაშასადმი მიდგომა არც ახალი მწვრთნელის მისვლის შემდეგ შეცვლილა. ამის მიზეზი ისევ ბოგოიევიჩია, რომელიც „გისენის" შტაბში დარჩა.

აი, ასეთია სადღეისო მდგომარეობა. ისღა დაგვრჩენია, ვისურვოთ, რომ ლაშა მწვრთნელებთან პრობლემას მოაგვარებს და სეზონის დარჩენილ ნაწილში გუნდს სათანადოდ დაეხმარება. გამყრელიძე ეროვნული გუნდის სათადარიგო გამთამაშებელია და კლუბში მისი უთამაშებლობა სანაკრებო გამოსვლაზე დადებითად არ იმოქმედებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

თურქეთი. 16-წლამდელთა საერთაშორისო ტურნირი

# ბოლოსწინა

**საქართველო-ირანი 80:66**

**18:11, 22:20, 24:17, 16:18**

**საქართველო:** ბოლქვაძე (26ქ), ამირხანაშვილი (12ქ), ლილუაშვილი (17ქ), ქობალავა (2ქ), აბულაძე (13ქ), დარახველიძე (9ქ, 11მ), ლურწკაია, ჭიხვარია, ლომთაძე.

შაბათის ნომერში კადეტების შესახებ დაწერილ სტატიას დავარქვით: „ბოლო თუ ბოლოსწინა?" საქმე ის იყო, რომ თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებს მეთერთმეტე-მეთორმეტე ადგილების (სულ 12 ნაკრები თამაშობდა) განაწილება ირანელ თანატოლებთან უწევდა.

როგორც მატჩის ოქმიდან მიხვდებოდით, **გია კაზანჯიანის** შეგირდებმა ბოლო მატჩი დამაჯერებლად მოიგეს და ტურნირი მე-11 პოზიციაზე დაასრულეს.

ქართველებს ირანის წინააღმდეგ **სანდრო ბოლქვაძე** გაუძღვა, რომელმაც 26 ქულა ჩააგდო. ვიცე-ბომბარდირი გახდა **ზეზვა ლილუაშვილი** - 17 ქულა.

ტურნირისა და კადეტთა ნაკრების შესახებ ამ კვირაში კიდევ დავწერთ...

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

# ტატიშვილის წლის პირველი ტიტული

ძალიან ნელა მიიწევს მსოფლიოს საუკეთესო ასეულისკენ 21 წლის (ახლახან შესრულდა) **ანა ტატიშვილი** - კვირაში ერთი ადგილით, თუმცა პროგრესი პროგრესია - გუშინ განახლებულ რეიტინგლისტში საქართველოს პირველმა ჩოგანმა ახალი საუკეთესო შედეგი აჩვენა კარიერაში - ის 540 ქულით მსოფლიოს 128-ე ჩოგანია. კიდევ უფრო წინაა ის წყვილთა რეიტინგში - 125-ე, ანას წლის პირველ ტიტულზე კი ქვემოთ მოგითხრობთ. აქვე დავამატებთ, რომ ჩვენებურმა კარიერაში 221 ათასი დოლარი გამოიმუშავა, აქედან 11,5 ათასი მხოლოდ წლევანდელ ტურნირებზე მოდის.

გაგაცნობთ სხვა ჩვენებურთა მდგომარეობას: 190 (+2) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 310 ქულა; 235 (-1) **მაკა ჩახნაშვილი** - 235; 281 (-1) **სოფიო შაფათავა** - 180; 286 (-) **თათია მიქაძე** - 176; 415 (+1) **სოფიო ქვაცაბაია** - 90; 563 (+62) **ეკა გორგოძე** - 51; 594 (-2) **მანანა შაფაქიძე** - 44; 1152 (+2) **ანა ჯიქია** - 3. ვაჟთა შორის სულ ორი ქართველია მსოფლიო კლასიფიკაციაში: 635 (-1) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 31 ქულა; 861. (-1) **ლადო ჩიხლაძე** - 11. როგორც ხედავთ, აშკარა პროგრესი გორგოძეს აქვს, რომელსაც მალიორკას პირველი ტურნირის მოგებისთვის 12 ქულა დაერიცხა.

ახლა კი ტატიშვილის წლის პირველ ტიტულზეც დავწეროთ - ანამ მიდლენში (აშშ) 100-ათასიანი ტურნირი მოიგო წყვილთა შორის. ნახევარფინალში ანამ და მისმა მეწყვილემ, ამერიკელმა **ჯემი ჰემპტონმა** (133) ამერიკულ დუეტს (**აშა როლი, მაშონა ვაშინგტონი**) აჯობეს - 3:6, 7:6 (3), 10:6, ფინალში კი მეტოქეები (**ირინა ფალკონი, ელისონ რისკე**) არ გამოუცხადდნენ.

ანა ვტა-ს ტურნირზე გადაერთო - ჩვენი პირველი ჩოგანი მემფისში „საუზ კაპზე" ითამაშებს, რომლის საპრიზო ფონდი 220 ათასი დოლარია. პირველ წრეში ტატიშვილი რუს **ქსენია პერვაკს** ეთამაშება. ამ დუელში გამარჯვებული კი მე-7 ნომრად განთესილ ჩეხ **რენატა ვორაცოვას** (85) შეხვდება.

მოგეხსენებათ, ესპანურ მალიორკაში მიჯრით მესამე ტურნირი დაიწყო, ოღონდ, ამჯერად 25-ათასიანი საპრიზო ფონდით. პირველ საკვალიფიკაციო წრეში მე-12 ნომრად განთესილმა ქვაცაბაიამ ბულგარელ **იულია სტამატოვას** იოლად მოუგო - 6:1, 6:2. გორგოძემ წააგო სლოვაკ **ვივიენ იუჰაცოვასთან** - 3:6, 6:2, 4:6, ხოლო **ნინო სუჯაშვილმა** პოლონელ **აგატა ბარანსკასთან** დათმო - 2:6, 2:6. ქვაცაბაიამ მეორე წრეშიც მოიგო, ავსტრიელ **კატარინა ნეგრინს** აჯობა - 6:3, 6:3.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ანა ტატიშვილი

ჭადრაკი

# სილვიო დანაილოვი თბილისს ეწვია

გუშინ საქართველოს დედაქალაქში ორდღიანი სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდა ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტი **სილვიო დანაილოვი**, რომელიც ამავდროულად ბულგარეთის ჭადრაკის ფედერაციის თავკაცი და მსოფლიოს ექსჩემპიონების — **ვესელინ ტოპალოვისა** (ბულგარეთი) და **რუსლან პონომარიოვის** (უკრაინა) მენეჯერიც გახლავთ.

როგორც საქართველოს ჭადრაკის ფედერაციიდან გვაცნობეს, ევროპელი სტუმარი შეხვდება თბილისის მერ **გიგი უგულავას**, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრ **ვლადიმერ ვარძელაშვილს**, გაეცნობა მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების პროცესს, მოინახულებს შეჯიბრებისთვის განკუთვნილ დარბაზს და, ალბათ, მაისში ასპარეზობის მასპინძლობაზეც დასტურს მოგვცემს. მით უმეტეს, რომ საქართველოს მსგავსი ტურნირების გამართვის დიდი გამოცდილება აქვს — ბათუმში ხომ 2000 წელს სწორედ ევროპელ ქალთა პირველი ინდივიდუალური ჩემპიონატი ჩატარდა (ჩემპიონი-უკრაინელი **ნატალია ჟუკოვა**), აქ 2002 წელს კი ევროპელმა ვაჟებმაც (გაიმარჯვა პოლონელმა **ბართლომეი მაჩეიამ**) იასპარეზეს, რომ არაფერი ვთქვათ კონტინენტის გუნდურ ჩემპიონატსა და ასაკობრივ პირველობებზე.

ახლა კი ცოტა რამ ევროპის საჭადრაკო კავშირზე: მას შემდეგ, რაც 1982 წელს ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის სათავეში ფილიპინელი **ფლორენსიო კამპომანესი** აღმოჩნდა, ევროპელები ფიდეში უმცირესობაში მოხვდნენ, ამიტომ 1985 წელს გრაცში ფიდეს კონგრესზე შვედი **როლფ ლიტორინის** ხელმძღვანელობით შეიქმნა ევროპის საჭადრაკო კავშირი, რომელსაც ფიდეს ფარგლებში უნდა ემოქმედა. ახალ ორგანიზაციას საბჭოთა ბლოკიდან მხოლოდ პოლონეთი შეუერთდა. ფიდეს მესვეურები ევროპელთა იდეებს არ იზიარებდნენ. 1986 წელს ევროპის კავშირის პრეზიდენტად ავსტრიელი **კურტ იუნგვირთი** აირჩიეს, რომელსაც 13 წელი არ დაუთმია სავარძელი. 1990 წლიდან, რაც ევროპაში დიდი პოლიტიკური ძვრები მოხდა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ევროპის საჭადრაკო კავშირისკენ დაიძრნენ. დღეს იგი 54 ფედერაციას აერთიანებს. 1998-2010 წლებში ორგანიზაციას სლოვენიელი **ბორის კუტინი** ედგა სათავეში. შარშან იგი სილვიო დანაილოვმა შეცვალა. დღეს სტუმარია ის ჩვენი და 12 საათზე სპორტის მინისტრთან შეხვედრისას მისგან საჯაროდ სეფესიტყვასაც ველით.

**ვაჟა დანელია**



სილვიო დანაილოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# კობაურის ლელო და ბელქანიას წითელი

სანამ ექვსი ერისა და ერთა თასის გათამაშებაში მეორე ტურის ბატალიები მიმდინარეობდა, საფრანგეთის ელიტურ, პირველ დივიზიონში მე-18 ტურის შეხვედრები გაიმართა. პლეი ოფში, ანუ მოწინავე ექვსეულში მოხვედრისთვის ბრძოლას ქართველ მორაგბეთა ოთხი გუნდი განაგრძობს.

ტურის ცენტრალური მატჩი მონპელიეში გაიმართა. წლეულს შესანიშნავად მოასპარეზე **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გოდერძი შველიძისა** და **გიორგი ჩხაიძის** „მონპელიემ" ქვეყნის ჩემპიონი, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი" დაამარცხა - 29:9.

თამაში სტუმრების შეტევებით დაიწყო, მაგრამ მაქსიმუმს, რასაც „ვულკანები" გამორჩნენ, მე-4 წუთზე გატანილი ერთადერთი საჯარიმო იყო. მოგვიანებით მონპელიელებმა თამაში სათავისო კალაპოტში გადაიყვანეს და ტაიმი 15:3 მოიგეს.

მეორე ნახევარი პირველის იდენტურად დაიწყო, იმ განსხვავებით, რომ კლერმონელებმა ორი საჯარიმოს გატანა შეძლეს და 51-ე წუთისთვის ანგარიშში სხვაობა ექვს ქულამდე შეამცირეს - 9:15.

მერე ისევ „მონპელიე" დომინირებდა და უაღრესად მნიშვნელოვან საშინაო მატჩში გაიმარჯვა. მონპელიელი ქართველებიდან მხოლოდ ჟღენტმა ითამაშა, რომელიც 59-ე წუთზე შეცვალეს, გორგოძე და შველიძე განაცხადში არ იყვნენ, ჩხაიძე საქართველოს ნაკრებში გაისარჯა, ზირაქაშვილმა „კლერმონის" შემადგენლობაში სრულად ითამაშა.

„მონპელიეს" ახლა 52 ქულა აქვს და მესამე ადგილზეა, მას სამი ქულით ჩამორჩება მეოთხეადგილოსანი, **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონი", რომელმაც შინ მოუგო დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლ **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივს" - 22:16.

ბრიველებმა წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ ნახევარში გასწიეს და ტაიმი მინიმალური სხვაობით 9:10 წააგეს. შესვენების შემდეგ, მასპინძლებმა მაინც იძალეს და თამაში გამარჯვებამდე მიიყვანეს. ქუბრიაშვილი და ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყვნენ და ორივე ერთდროულად, 55-ე წუთზე შეცვალეს. კაკოვინი „ბორჯღალოსანთა" რიგებში ესპანეთის ნაკრებს არბევდა.

**აქვსენტი გიორგაძისა** და **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი", რომელიც სატურნირო ცხრილის ზედა ნახევარშია, სტუმრად დამარცხდა ჩემპიონობის მაძიებელ „მეტრო რასინგთან" - 13:20. გიორგაძე განაცხადში არ იყო, ფეიქრიშვილმა საქართველოს ნაკრებში იასპარეზა.

**ბექა შეყლაშვილის** „აჟენმა", რომელიც „ბრივის" მსგავსად, გასავარდნ ზონაში იმყოფება, სტუმრად ვიცე-ჩემპიონ „პერპინიანთან" წააგო - 18:31. შეყლაშვილი ეროვნულ ნაკრებში იყო გამოძახებული.

### I დივიზიონი

#### XVIII ტური

**ლა როშელი-ტულუზი 19:22, ტულონი-ბრივი 22:16, პერპინიანი-აჟენი 31:18, მეტრო რასინგი-კასტრი 20:13, ბაიონი-ბურგუენი 24:7, მონპელიე-კლერმონი 29:9, სტად ფრანსე-ბიარიცი 31:18.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ტულუზი - 60 ქულა, 2. მეტრო რასინგი - 53, 3. მონპელიე - 52, 4. ტულონი - 49, 5. კლერმონი - 49, 6. ბაიანი 48, 7. ბიარიცი - 48, 8. კასტრი - 47, 9. სტად ფრანსე - 44, 10. პერპინიანი - 41, 11. ლა როშელი - 28, 12. აჟენი - 28, 13. ბრივი - 27, 14. ბურგუენი - 10.**

#### XIX ტური

**ბრივი-სტად ფრანსე, ბურგუენი-პერპინიანი, ლა როშელი-მეტრო რასინგი, კლერმონი-ბაიონი, კასტრი-მონპელიე, ტულუზი-ბიარიცი, აჟენი-ტულონი**

ორკვირიანი შესვენების შემდეგ განახლდა შეჯიბრება ფედერალ 1 დივიზიონშიც, სადაც მე-16 ტურის შეხვედრებს ბევრი არაფერი შეუცვლია. ოთხი ჯგუფიდან, სამში საკმაოდ დამაჯერებლად ისევ ქართველ მორაგბეთა გუნდები ლიდერობენ.

A ჯგუფში **დავით აშვეთიას, სანდრო ესაკიას, შალვა სუთიაშვილისა** და **არჩილ კობაურის** „მასიმ" სტუმრად მორიგი გამარჯვება მოიპოვა აუტსაიდერ „სურესნესთან" - 33:26. პარიზელებმა 68 ქულა დააგროვეს და მეორეადგილოსან „ბობინის" 15 ქულით უსწრებენ.

კობაურმა, რომელიც თამაშში 58-ე წუთიდან ჩაერთო, 78-ე წუთზე გამარჯვების მომტანი ლელო გაიტანა, აშვეთია ძირითად შემადგენლობაში იყო და 49-ე წუთზე შეცვალეს, ესაკიას არ უთამაშია, სუთიაშვილი საქართველოს ნაკრებში იყო გამოძახებული.

**ელიზბარ ყუფარაძისა** და **დევი დათუნაშვილის** „მონლუსონმა", რომელიც 52 ქულით მესამე ადგილზეა, შინ მოუგო **ირაკლი მაჩხანელის, ბესო უდესიანისა** და **შოთა მელიქიძის** „მაკონს" - 22:9. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

**თემურ გელანტიას** „სტრასბურმა" შინ დაამარცხა მინიმალური სხვაობით 14:13 **ავთანდილ კოპალიანის** „ორლეანი". გელანტია 63-ე წუთზე შეცვალეს, კოპალიანი განაცხადში არ იყო.

#### A ჯგუფი

**ბობინი-ბურგ ან ბრესი 8:12, სურესნე-მასი 26:33, დიჟონი-ანესი 38:7, მონლუსონი-მაკონი 22:9, ნევერი-სერჟ პონტუაზი 15:10, სტრასბური-ორლეანი 14:13.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. მასი - 68 ქულა, 2. ბობინი - 53, 3. მონლუსონი - 52, 4. დიჟონი - 47, 5. ბურგ ან ბრესი - 47, 6. ნევერი - 36, 7. ორლეანი - 35, 8. მაკონი - 31, 9. სტრასბური - 20, 10. ანესი - 20, 11. სურესნე - 12, 12. სერჟ პონტუაზი - 11.**

B ჯგუფში **ლაშა მალაღურაძისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „ბეზიემ" შინ მოუგო „ვალანსს" 18:6 და მეორეადგილოსან **გიორგი ნემსაძის** „მონტობანს" ცხრა ქულით გაუსწრო. მჭედლიშვილი თამაშში 53-ე წუთიდან ჩაერთო, მალაღურაძემ საქართველოს ნაკრებში ითამაშა.

„მონტობანმა" კი, თავის მხრივ **გია ლაბაძისა** და **რეზო ბელქანიას** „ლა სეინთან" წააგო სტუმრად - 19:29. ქართველთაგან მხოლოდ ბელქანიამ ითამაშა. ის მოედანზე 47-ე წუთიდან გამოჩნდა და 78-ე წუთზე არბიტრმა წითელი ბარათი უჩვენა.

**დავით კაჭარავას** „ნიცამ" სტუმრად მოუგო „შატორენარს" - 16:13. „კაჭიმ" ეროვნულ ნაკრებში ითამაშა ერთა თასზე. „ნიცას" 41 ქულა აქვს და მე-4 ადგილზეა.

#### B ჯგუფი

**ბეზიე-ვალანსი 18:6, გროლე-ბლანიაკი 22:12, ლა სეინი-მონტობანი 29:19, შატორენარი-ნიცა 13:16, გრასი-ობენა 32:16, რომანი-ლავორი 12:13.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ბეზიე -54 ქულა, 2. მონტობანი - 45, 3. ბლანიაკი - 43, 4. ნიცა - 41, 5. ვალანსი - 38, 6. ლავორი - 37, 7. რომანი - 36, 8. ლა სეინი - 35, 9. შატორენარი - 31, 10. ობენა - 31, 11. გროლე - 27, 12. გრასი - 16.**

C ჯგუფის ლიდერმა **თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილის, დავით დადუნაშვილისა** და **ირაკლი ნინიძის** „პერიგომ" სტუმრად წააგო „ვანთან" - 3:9 და მეორეადგილოსან „ლიმოჟს" ხუთი ქულით უსწრებს.

**ვახტანგ მაისურაძის** „სენ ნაზერმა" კი სტუმრად წააგო „სენ ჟუნიენთან" 3:48. მაისურაძეს „ბორჯღალოსანთა" რიგებში ჰქონდა დებიუტი.

#### C ჯგუფი

**ლანჟონი-ლიმოჟი 33:30, სენ ჟუნიენი-სენ ნაზერი 48:3, პაი დუ მედოკი-ნიორი 20:14, ტური-სენ მედარი 12:38, რიბერაკი-მარმანდი 18:19, ვანი-პერიგო 9:3.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. პერიგო - 68 ქულა, 2. ლიმოჟი - 63, 3. ვანი - 55, 4. მარმანდი - 47, 5. ლანჟონი - 45, 6. სენ მედარი - 42, 7. სენ ნაზერი - 39, 8. სენ ჟუნიენი - 34, 9. რიბერაკი - 24, 10. პაი დუ მედოკი - 18, 11. ნიორი - 14, 12. ტური - 8.**

D ჯგუფში **დავით ბალანჩივაძის, რეზო გიგაურის, მერაბ კვირიკაშვილის, ლევან დათუნაშვილისა** და **ბექა ურჯუკაშვილის** „ფიჟაკმა" სტუმრად წააგო „ოლორონთან" - 22:25. გიგაურმა სრულად ითამაშა, ბალანჩივაძე 57-ე წუთზე შეცვალეს, კვირიკაშვილმა, დათუნაშვილმა და ურჯუკაშვილმა საქართველოს ნაკრებში ითამაშეს.

**კარლენ ასეიშვილის** „ორტეზმა", რომელიც აუტსაიდერია, სტუმრად წააგო „ტიროსთან" - 6:10. ასეიშვილი მოედანზე 40-ე წუთიდან გამოჩნდა.

#### D ჯგუფი

**ლურდი-ლანამეზანი 14:9, კაორი-მოლეონი 26:23, ოლორონი-ფიჟაკი 25:22, მორლაა-ტურნეფოი 53:6, კასტანე-ლილი 24:21, ტიროსი-ორტეზი 10:6.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ტიროსი - 71 ქულა, 2. კასტანე - 53, 3. ლილი - 49, 4. ლანამეზანი - 49, 5. ოლორონი - 45, 6. სენ ჟან დე ლუზი - 44, 7. ლურდი - 39, 8. მორლაა - 38, 9. მოლეონი - 36, 10. ფიჟაკი - 31, 11. ტურნეფოი - 31, 12. კაორი - 27, 13. ორტეზი -21.**



შლეგმით (მინდორზე): არჩილ კობაური, ...



ბრაიან ოდრისკოლი

ექვსი ერი

# პარა თუ იაშვილი

ექვსი ერის გათამაშების მეორე ტურის მატჩებმა ფავორიტები მკვეთრად გამოკვეთა. ინგლისისა და საფრანგეთის ნაკრებებმა იმის გარდა, რომ ორივე მატჩი მოიგეს, თამაშის ხარისხითაც დაადასტურეს, რომ დიდი სლემის შესრულებას, ანუ ყველა თამაშის მოგებას შეეცდებიან.

მეორე ტური ლონდონში, „თვიქნემზე" „პომებისა" და „სკუადრა აძურას" დაპირისპირებით დაიწყო. ინგლისელებმა მეტოქეს კუდით ქვა ასროლინეს და დაახლოებით ისეთივე დღე აყარეს, როგორიც საქართველოს ნაკრებმა ერთი კვირის წინ უკრაინის ეროვნულ გუნდს.

მასპინძლებმა იტალიელებს რვა ლელო გაუტანეს. აქედან ოთხი ინგლისელთა ამომავალი ვარსკვლავის, გარემარბ **კრის ეშტონის** ანგარიშზეა. კვლავ შესანიშნავად ითამაშა მგეზავმა **ტობი ფლუდმა** და ტურის სიმბოლურ ნაკრებში ზედიზედ მეორედ მოხვდა. **ჯონი ვილკინსონი** კი ისევ სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

მესამე ტურში, სავარაუდოდ, ექვსი ერის წლევანდელი გათამაშების გამარჯვებული გაირკვევა. ინგლისის ნაკრები საფრანგეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს, რომელიც სტუმრად ირლანდიაში გამარჯვებას (25:22), ცხრა ნომერ **მორგან პარას** ფეხჩუბინობას უნდა უმადლოდეს.

„სამყურებს" ფრანგების დამარცხება რეალურად შეეძლოთ. მათ ბოლო წუთზე სახიფათო შეტევისას, ზედ ლელოს ხაზთან, ბურთი ხელიდან გაუვარდათ. წარმოშობით ქართველმა ცხრა ნომერმა **დიმიტრი იაშვილმა** მორგან პარა 53-ე წუთზე შეცვალა და გუნდს ხუთი ქულით შეეწია (თითო საჯარიმო და გარდასახვა).

ყველა დაძაბულ ორთაბრძოლას ელოდა ედინბურგში, „მერიფილდზე" შოტლანდიისა და უელსის ნაკრებების მატჩში, თუმცა ამაოდ. „სკოტებმა" საკუთარ არენაზე ძალიან უსახურად ითამაშეს და სტუმრებს მხოლოდ ექვსი ქულა აართვეს.

კვლავ გაიბრწყინა მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მორაგბემ, გარემარბმა **შეინ ვილიამსმა**, რომელმაც ორი ლელო მიითვალა. გაამართლა უელსელთა მგეზავმა **ჯეიმს ჰუკმაც**. ის შესანიშნავად უძღვებოდა თამაშს და გუნდს 14 ქულა მოუტანა (ოთხი საჯარიმო და გარდასახვა).

#### II ტური

**ინგლისი-იტალია 59:13**

ინგლისი: 8ლ - ეშტონი (4), კუეტო, თინდოლი, კერი, ჰესკელი. 8გ: ფლუდი (5), ვილკინსონი (3). ს: ფლუდი.

იტალია: ლ - ონგარო. 2ს,გ: ბერგამასკო

**შოტლანდია-უელსი 6:24**

შოტლანდია: 2ს - პარქსი.

უელსი: 2ლ - შ.ვილიამსი (2). 4გ,ს: ჰუკი.

**ირლანდია-საფრანგეთი 22:25**

ირლანდია: 3ლ - მაკფედანი, ჰისლიპი, ოლირი. 2გ: სექსტონი, ოგარა. ს: ოგარა.

საფრანგეთი: ლ: მედარი. 5ს - პარა. გ,ს - იაშვილი.

#### სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | +53 | 4 |
| 2.საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | +16 | 4 |
| 3.უელსი | 2 | 1 | 0 | 1 | +11 | 2 |
| 4.ირლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | -1 | 2 |
| 5.შოტლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | -31 | 0 |
| 6.იტალია | 2 | 0 | 0 | 2 | -48 | 0 |

#### III ტური, 26 თებერვალი

იტალია-უელსი, ინგლისი-საფრანგეთი, შოტლანდია-ირლანდია

#### სიმბოლური ნაკრები

15. ლუკ ფიცჯერალდი (ირლანდია), 14. კრის ეშტონი (ინგლისი), 13. ორელიან რუჟერი (საფრანგეთი), 12. ჯიმი რობერტსი, 11. შეინ ვილიამსი (ორივე-უელსი), 10. ტობი ფლუდი (ინგლისი), 9. მორგან პარა (საფრანგეთი).

1. კიან ჰილი (ირლანდია), 2. ვილიამ სერვა (საფრანგეთი), 3. დენ კოლი (ინგლისი), 4. პოლ ოკონელი (ირლანდია), 5. ტომ ფელმერი (ინგლისი), 6. შონ ობრაიენი (ირლანდია), 7. სემ ვერბარტონი (უელსი), 8. იმანოლ არინორდოკი (საფრანგეთი).

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი — NBA რეგულარული ჩემპიონატი


დერეკ როუზი

# ბოსტონი-მაიამი: 3:0

გუშინ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ორი გამორჩეული შეხვედრა იყო. სათამაშო დღე აღმოსავლეთი კონფერენციის ფავორიტებმა - „ბოსტონმა“ და „მაიამიმ“ გახსნეს. ორივე გუნდისთვის ამ მატჩს სატურნირო მდგომარეობის გარდა, ფსიქოლოგიური დატვირთვაც ჰქონდა. ცოტა ხნის წინ „სელტიქსმა“ საკუთარ მოედანზე წააგო მთავარ მტერთან - „ლეიკერსთან“ და ახლა პირდაპირ კონკურენტთან საშინაო მარცხი გულშემატკივრებს ნამდვილად არ ესიამოვნებოდათ. რაც შეეხება „ჰიტს“, ის უბრალოდ ვალდებული იყო დაემარცხებინა „ბოსტონი“, რადგან წელს ამ გუნდების წინა ორი შეხვედრა „კელტების“ სასარგებლოდ დასრულდა. ზედიზედ მესამე მარცხს, შესაძლოა, სერიოზული ზიანი მიეყენებინა **პატ რაილის** ამბიციური გეგმისთვის.

გუშინდელ მატჩში დაცვა შეტევას სჯობდა. აღსანიშნავია, რომ პირველ ხუთ წუთში მასპინძლებმა მხოლოდ ერთხელ ჩააგდეს თამაშიდან, სტუმრებმა სამჯერ, მაგრამ მალე **რეი ალენი** ათამაშდა - სამქულიანების რაოდენობით ახალმა რეკორდსმენმა ერთი შორეული ტყორცნა გამოიყენა, შემდეგ ფარქვეშიდან ჯარიმასთან ერთად ჩააგდო.

„ბოსტონი“ შეტევაში პასიურ თამაშს დაცვაში ბრწყინვალე მოქმედებით ანეიტრალებდა და პირველ მეოთხედში „საცოდავი“ 15 ქულის ჩაგდების მიუხედავად, შორს არ გაუშვა **ლებრონ ჯეიმსი** და კომპანია.

მართალია, ტრავმებით დატანჯულ „ბოსტონს“ მოკლე სათადარიგოთა სკამი აქვს, მაგრამ მისმა რეზერვისტებმა მეორე მეოთხედში შესანიშნავად ითამაშეს და ერთი ქულით შეამცირეს ჩამორჩენა.

მესამე მეოთხედში „ბოსტონის“ თამაშში ბევრი არაფერი შეცვლილა - ისევ იდეალური დაცვა ვიხილეთ, განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ მასპინძლებმა მიზანი გაასწორეს და როგორც შემდეგ გაირკვა, სწორედ ამ მეოთხედში გადაწყდა მატჩის ბედი. დროის ეს მონაკვეთი „კელტებმა“ 17 ქულით მოიგეს. თანაც მასპინძლები პროვოკაციებსაც არ ერიდებოდნენ. ერთ-ერთ ეპიზოდში **კევინ გარნეტმა** ძალისმიერი ილეთით შეაჩერა **მაიკ მილერი**, რომელიც მოცელილივით დაეცა მოედანზე. იქვე გარნეტმა ზუსტად ანალოგიური ილეთი მიიღო **დუეინ უეიდისგან**, მაგრამ მსაჯებმა არასპორტული ჯარიმა გამოუწერეს მაიამელს და გარნეტმა ორი საჯარიმო ჩააგდო. სწორედ აქედან დაიწყო „ბოსტონის“ გაქცევა.

და მაინც, ის რაც „მაიამიმ“ წინა 36 წუთში ვერ შეძლო, ბოლო მეოთხედში მოახერხა - გაარღვია მეტოქის დაცვა, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. **კრის ბოშის** მონდომებით „ჰიტმა“ ორჯერ ორ ქულამდე შეამცირა სხვაობა. 83:81-ზე, **რაჟონ რონდოს** აცილების შემდეგ „მაიამიმ“ მატჩის გადარჩენის შანსი მიიღო. სტუმრებმა ტაიმ-აუტი აიღეს და ბოლო ტყორცნის უფლება ლებრონს მიანიჭეს. საფინალო სირენამდე 18 წამი რჩებოდა, მაგრამ „მეფემ“ მაშინვე შეტევა გადაწყვიტა - გარღვევა, **პოლ პირსის** პერსონალური... ლებრონმა პირველი საჯარიმო ააცილა, მეორე გამოიყენა, იქვე კი მასპინძლებმა კინაღამ დაკარგეს ბურთი. საბოლოოდ, რეი ალენზე 10 წამით ადრე **ედი ჰაუსი** დაჯარიმდა და „ბოსტონმა“ გვერდითი ხაზიდან შემოიტანა ბურთი. კიდევ ხუთი წამი დაიკარგა იმაზე, რომ „მაიამის“ შეგნებული ჯარიმა აელო **გლენ დევისზე**. ამ უკანასკნელმა აუღელვებლად ჩააგდო ორივე საჯარიმო. „მაიამის“ გადარჩენა მხოლოდ სამქულიანს შეეძლო. მილერმა ბოლო ტყორცნა წამით ადრე შეასრულა, მაგრამ ბოსტონის „გარდენი“ ნერვულ ოვერტაიმს გადაურჩა.

■ ■ ■

საინტერესო დღე ფლორიდაში გაგრძელდა, სადაც არანაკლებ დაძაბული ბრძოლა იყო მოსალოდნელი „ორლანდოსა“ და მოქმედ ჩემპიონ „ლეიკერსს“ შორის. კალიფორნიელებისთვის ეს გახლდათ გასვლითი ტურნეს რიგით მეხუთე შეხვედრა. მანამდე **კობი ბრაიანტმა** და კომპანიამ ერთიმეორის მიყოლებით მოიგო ნიუ-ორლეანში, მემფისში, ბოსტონსა და ნიუ-იორკში.

„ლეიკერსი“ ამ მატჩშიც ფავორიტი იყო, რადგან ბოლო დროს „ორლანდო“ ძალიან არასტაბილურად თამაშობს. მიუხედავად ამისა, **ფილ ჯექსონის** გუნდმა ბევრი ვერაფერი დაუპირისპირა მეტოქეს. პირველმა ტაიმმა ფლორიდელების სამქულიანების ფონზე ჩაიარა. სანამ **დუაიტ ჰოვარდი** ნაადრევად მიღებული პერსონალურების გამო სათადარიგოთა სკამზე იჯდა, მასპინძლების სნაიპერები თავიანთ საქმეს აკეთებდნენ. **რიჩარდსონი, ანდერსონი, თურქოგლუ, რედიკი** - ყველა ასწრებდა თავის გამოჩენას.

„ლეიკერსი“ სამი მეოთხედი ახერხებდა შეენარჩუნებინა მცირე ჩამორჩენა და „მეჯიქს“ გაქცევის საშუალებას არ აძლევდა. სტუმრების რიგებში კობი ბრაიანტის გარდა **ენდრიუ ბინუმის** გამოყოფა შეიძლება. სტუმართა ცენტრი ღირსეულად ებრძოდა ჰოვარდს და ხშირად უგებდა ორთაბრძოლებს ორივე სამნამიანში. მაგრამ ბოლო სიტყვა მაინც „სუპერმენმა“ თქვა. მეორე ტაიმში „ორლანდოს“ ლიდერი უბრალოდ არ იმჩნევდა **პაუ გასოლის** მეურვეობას და ქულას ქულაზე აგროვებდა. ჰოვარდზე აქცენტის გადატანით **სტენ ვან განდიმ** აშკარად გამოიცნო. მეოთხე მეოთხედში სწორედ „სუპერმენი“ გახდა მთავარი მოქმედი პირი. საერთო ჯამში ჰოვარდმა 16-დან 13 ტყორცნა ჩააგდო. ასე რომ, თამაშის ბედი ბოლო მეოთხედის შუაში გადაწყვეტილი იყო.

როგორც ჩანს, „კლივლენდ კავალიერზი“ უსიამოვნო სერიების შეწყვეტის სპეციალისტად ჩამოყალიბდა. წინა დღეს „კლიპერსის“ ძლევით „კავალერებმა“ დაასრულეს 26-მატჩიანი წაგებათა სერია, ახლა კი **ბაირონ სკოტის** გუნდმა „ვაშინგტონ უიზარდს“ გაუწია პატარა სამსახური. საქმე ისაა, რომ დღემდე დედაქალაქურ კლუბს 26 გასვლითი მატჩიდან ყველა წაგებული ჰქონდა, მაგრამ ამჯერად „კლივლენდის“ გულუხვი მასპინძლობით ისარგებლა და ეს უსიამოვნო სერია შეწყვიტა.

**ნიკ იანგისა** და მთლიანად სასტარტო ხუთეულის მონდომებით „ვაშინგტონი“ უკვე დიდი შესვენებისთვის 22 ქულით იყო წინ, რითაც მეორე ნახევარი უბრალო ფორმალობად გადაიქცა. აღსანიშნავია სტუმრების მაღალი შედეგიანობა - მათ თამაშიდან 54 პროცენტის სიზუსტით ისროლეს.

**ბოსტონი-მაიამი 85:82**

**15:20, 24:23, 35:18, 11:21**

**ბ:** გარნეტი (19+7 მოხსნა), დევისი (16), პერკინსი (15+6 მოხსნა), ალენი (13+5 მოხსნა), რონდო (11+10 მოხსნა+10 პასი), უაფერი (10).

**მ:** ბოში (24+10 მოხსნა), ჯეიმსი (22+7 მოხსნა+7 პასი), უეიდი (16+5 მოხსნა).

**ორლანდო-ლეიკერსი 89:75**

**25:21, 21:20, 22:19, 22:15**

**ო:** ჰოვარდი (32+13 მოხსნა), რიჩარდსონი (12+6 მოხსნა).

**ლ:** ბინუმი (17+9 მოხსნა), ბრაიანტი (17+5 პასი), ოდომი (15+8 მოხსნა), პ. გასოლი (11).

**კლივლენდი-ვაშინგტონი 100:115**

**23:35, 23:33, 33:27, 21:20**

**კ:** ჯეიმისონი (21+7 მოხსნა), ჰიქსონი (16+13 მოხსნა), სეშენსი (14+6 პასი), მუნი (12), უილიამსი (10+8 პასი), პარკერი (10+6 მოხსნა).

**ვ:** იანგი (31), უოლი (19+14 პასი+5 მოხსნა), ბლეტჩი (17+9 მოხსნა+5 პასი), ჰაინრიხი (17+5 პასი), ჰოვარდი (16+5 მოხსნა).

**დეტროიტი-პორტლენდი 100:105**

**21:20, 28:27, 21:27, 30:31**

**დ:** გორდონი (18), მაკგრეიდი (16+5 პასი), ბინუმი (15+5 მოხსნა), პრინსი (14), ვილანუევა (10).

**პ:** ოლდრიჯი (36), მეტიუზი (26+7 მოხსნა+5 პასი), მილერი (15+12 პასი).

**ტორონტო-კლიპერსი 98:93**

**24:24, 24:24, 30:23, 20:22**

**ტ:** ბარნიანი (27+6 მოხსნა), დეროზანი (17+7 მოხსნა), დევისი (13+14 მოხსნა), ბარბოზა (11), კალდერონი (10+11 პასი), უიმსი (10).

**კ:** გრიფინი (21+15 მოხსნა), დევისი (20+7 პასი), კუკი (17+6 მოხსნა), გომესი (14+5 მოხსნა).

**მემფისი-დენვერი 116:108**

**31:26, 24:41, 27:23, 34:18**

**მ:** არტური (24+6 მოხსნა), გეი (23+5 მოხსნა), კონლი (17+5 პასი), ალენი (17), გასოლი (15+7 მოხსნა), რენდოლფი (14+16 მოხსნა).

**დ:** ენტონი (28+5 მოხსნა), სმიტი (14), ნენე (14), ლოუსონი (14), ბილაპსი (13+7 პასი), მარტინი (12+5 მოხსნა).

**გ. სტეიტი-ოკლაჰომა 100:94**

**23:20, 24:23, 27:23, 26:28**

**გ-ს:** ელისი (33+7 პასი), ლი (23+19 მოხსნა), კარი (23+13 პასი), რაიტი (10+7 მოხსნა).

**ო:** დურანტი (29+5 მოხსნა), უესტბრუკი (21+5 პასი), გრინი (12+5 მოხსნა), კოლისონი (5+10 მოხსნა).

**ფინიქსი-საკრამენტო 108:113**

**32:30, 25:20, 24:28, 27:35**

**ფ:** ნეში (22+18 პასი), გორტატი (20+12 მოხსნა), ფრაი (15+7 მოხსნა), ჰილი (13), დადლი (13).

**ს:** ევანსი (21+7 პასი), ლენდრი (20+10 მოხსნა), გრინი (19), დალემბერი (18+15 მოხსნა), უდრიხი (12+7 პასი), კასპი (10+7 მოხსნა).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა


უეიდმა და გარნეტმა კინალამ იჩხუბეს

# ვინ იქნება MVP?

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მიმდინარე სეზონში რთული იქნება უძვირფასესი მოთამაშის გამოვლენა. თუ ლიგის ხელმძღვანელობა ისეთი პრინციპებით იხელმძღვანელებს, როგორითაც წინა წლებში, ამ შემთხვევაში დიდი დილემის წინაშე დადგებიან ისინი, ვისაც MVP-ის არჩევა უწევთ. საქმე ისაა, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში MVP-ის ტიტულს იგებდნენ კონფერენციაში გამარჯვებული გუნდების მოთამაშეები (გამონაკლისია **სტივ ნეში** 2004-05 წლების სეზონში). აუცილებელი პირობა იყო ღირსეული პირადი სტატისტიკა რამდენიმე სათამაშო კომპონენტში და გუნდის კარგი თამაში. ამიტომაც ბოლო 20 წელია MVP-ის ტიტული არ მოუპოვებია არც ერთ მოთამაშეს, რომლის გუნდიც რეგულარულში ვერ ახერხებდა თამაშების 50 პროცენტის მოგებას. ამ მიზეზის გამო **ამარე სტაუდმაიერის** გამორიცხვა აქედანვე შეიძლება.

დღეს NBA-ში ერთი გამორჩეული ლიდერია - „სან ანტონიო სპურსი“. აღმოსავლეთში ფინიშის მოახლოებასთან ერთად „ბოსტონი“ და „მაიამი“ შეენაცვლებიან ერთმანეთს პირველ ადგილზე, თუმცა ამ ბრძოლაში შეიძლება „ჩიკაგოც“ ჩაერიოს. აცხადებს თუ არა „სპურსიდან“ რომელიმე მოთამაშე MVP-ის ტიტულზე პრეტენზიას? არავინ. მართალია, ჯინობილი წელს მაღალ დონეზე თამაშობს, მაგრამ ისტორია ამბობს, რომ უძვირფასესი მოთამაშე რამდენიმე სტატისტიკური მაჩვენებლით უნდა იყოს ლიდერებს შორის. „სან ანტონიო“ იდეალურ გუნდურ კალათბურთს თამაშობს და მის რიგებში რთულია ვინმეს გამოყოფა. „ბოსტონი“? აქაც იგივე ხდება: ვერც **პოლ პირსი**, ვერც **რეი ალენი**, ვერც **კევინ გარნეტი** და ვერც **რაჟონ რონდო** მარტო ვერ ათრევენ გუნდს, ამიტომაც ამ ოთხეულშიც არ უნდა ვეძებოთ მომავალი ტრიუმფატორი.

საბოლოოდ, იმ აზრამდე მივდივართ, რომ ბრძოლა **დერეკ როუზს, კევინ დურანტს, ლებრონ ჯეიმსს, დირკ ნოვიცკისა** და **კობი ბრაიანტს** შორის გაიმართება. ამ ხუთეულიდან ყველაზე ნაკლები შანსი დურანტს აქვს, რადგან ბრწყინვალე სნაიპერული თვისებების მიუხედავად, ის ჯერ ბოლომდე დამაჯერებელი არ არის დაცვაში და თამაშის ორგანიზების თვალსაზრისითაც ბევრი აქვს სამუშაო. ნოვიცკისა და ბრაიანტის კანდიდატურები ძალიან არის დამოკიდებული მათი გუნდების გამოსვლაზე. თუ „ლეიკერსი“ სეზონის მეორე ნახევარს ისე ითამაშებს, როგორც ეს „ნიქსისა“ და „ბოსტონის“ წინააღმდეგ გააკეთა, „შავ მამბას“ მოულოდნელად შეიძლება გაუჩნდეს MVP-ის ტიტულის კარგი შანსი. იგივე უნდა ითქვას ნოვიცკიზე.

როუზს ამ ჯგუფში განსაკუთრებული ადგილი უკავია, რადგან „ბულზის“ გამთამაშებელი კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს. ის ბომბარდირებსა და ასისტენტებში ლიდერთა შორისაა. გარდა ამისა, ყველაა იმის მოწმე, რომ წამყვანი კალათბურთელების (**ჟოაკიმ ნოა, კარლოს ბუზერი**) არყოფნაში დერიკი მარტო მიუძღოდა გუნდს. მაგრამ როუზის კანდიდატურას ერთი დიდი მინუსი აქვს. „ხარები“ ამჟამად მესამეზე არიან კონფერენციაში და როგორც ისტორია გვიჩვენებს, MVP-ის პრიზისთვის ეს არადამაკმაყოფილებელი შედეგია. თუმცა, შესაძლოა, ამ სეზონში ტრადიცია დაირღვეს, რადგან როუზის თამაში მართლაც სხვა დონეზე ავიდა, ვიდრე ეს გასულ სეზონში იყო. NBA-ის სუპერვარსკვლავებს შორის ის ყველაზე პროგრესირებადი მოთამაშეა. და თუ „ხარები“ თუნდაც ერთი საფეხურით მაღლა ავლენ ცხრილში, როუზის შანსები ერთიორად გაიზრდება.

დღეისთვის აშკარა ფავორიტია ლებრონ ჯეიმსი, მაგრამ მასაც აქვს ერთი ნაკლი. ზედიზედ სამჯერ ეს ჯილდო მხოლოდ **ლარი ბერდს, ბილ რასელსა** და **უილტ ჩემბერლენს** მოუგიათ და თითოეულს მესამე პრიზის მოპოვებისას მინიმუმ ერთი საჩემპიონო ბეჭედი ჰქონდა კოლექციაში. ბოლო ორ სეზონში ჩემპიონატის წაგებამ, შესაძლოა, ცუდი სამსახური გაუწიოს „მეფეს“. მიუხედავად ამისა, MVP - ეს არის პრიზი რეგულარულ ჩემპიონატში თამაშისთვის, ამ მომენტში კი სწორედ ჯეიმსია მთავარი პრეტენდენტი.

ერთი რამ მართლაც მისასალმებელია - მიმდინარე სეზონში არჩევანი ისეთი ცხადი არ არის, როგორც გასულ წლებში. ამჯერად ტიტულზე არა ორი-სამი, არამედ ხუთი-ექვსი კალათბურთელი იბრძოლებს.

რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ფორდის ტრიუმფი დაიწყო



მიკო ჰირვონენი

გასულ კვირას რალიში მსოფლიოს ახალი ჩემპიონატი დაიწყო. სეზონი შვედეთის რალითა და „ფორდის“ ტრიუმფით გაიხსნა - პირველი სამი ადგილი ფორდის Fiesta RS WRC-მა დაიკავა. გამარჯვება იზეიმა ფინელმა **მიკო ჰირვონენმა**, რომელმაც სულ რაღაც ექვსი წამით აჯობა ნორვეგიელ **მადს ოსტბერგს**. სამეულში მოხვდა „ფორდის“ მეორე პილოტი, ასევე ფინელი **იარი-მატი ლატვალა**.

შვედეთის რალი ძალიან დაძაბული გამოვიდა. ბოლო დღის წინ პირველ ხუთეულს - ჰირვონენს, ოსტბერგს, ლატვალას, **პეტერ სოლბერგსა** და **სებასტიან ოჟიეს** მხოლოდ 15 წამი ყოფდათ ერთმანეთთან. მაგრამ მაინც ჩემპიონატის პირველ ეტაპზე უფრო ძლიერები „ფორდის“ პილოტები აღმოჩდნენ, „სიტროენის“ რიგებში კი საუკეთესო ოჟიე გახდა, რომელმაც სამი ბონუსქულაც მიითვალა „სატელევიზიო“ სპეცმონაკვეთზე გამარჯვებისთვის.

„სიტროენის“ კიდევ ერთი პილოტი სოლბერგი, რომელიც კვირას დილიდან მესამე ადგილს ინარჩუნებდა, საბოლოოდ მეხუთე პოზიციამდე ჩამოქვეითდა. საინტერესოა, რომ ეტაპის ბოლოსკენ ნორვეგიელმა ადგილი გაუცვალა თავის შტურმანს **კრის პატერსონს**, რომელიც Citroen DS3 WRC-ის საჭეს მიუჯდა და ნელ ტემპში მიიყვანა მანქანა ფინიშამდე. შესაძლოა, „მისტერ ჰოლივუდმა“ (სოლბერგის მეტსახელი) ეს გუნდური ტაქტიკის გამო გააკეთა, რათა მეოთხე ადგილი ოჟიესთვის დაეთმო.

მსოფლიოს ჩემპიონი **სებასტიან ლოები** შვედეთში ვერ ბრწყინავდა. თოვლიან ტრასაზე ლეგენდარულმა ფრანგმა თავი კომფორტულად ვერ იგრძნო, თანაც პარასკევს ორჯერ საბურავის დაზიანების გამო ბევრი დრო დაკარგა. საბოლოოდ, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მეექვსე ადგილი დაიკავა.

ფორმულა 1-ის ყოფილმა ჩემპიონმა **კიმი რაიკონენმა** შვედეთის რალი მერვე პოზიციაზე დაასრულა და ქულათა ზონაში შევიდა. ფინელმა ახალი გუნდის - ICE 1 Racing-ის რიგებში „სიტროენის“ მანქანით დამაჯერებელი გამოსვლა აჩვენა, სერიოზული შეცდომები აიცილა თავიდან, რამდენიმე სპეცმონაკვეთზე კი საუკეთესო ექვსეულშიც შეაღწია. გამარჯვებულს რაიკონენი შვიდი წუთით ჩამორჩა.

შემდეგი ეტაპი 4-6 მარტს მექსიკაში გაიმართება.

**I ეტაპი. შვედეთის რალი**

1. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - 3:23.56,6; 2. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „ფორდ სტობარტი“) - +6,5; 3. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - +34,0; 4. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - +47,7; 5. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი“) - +1.31,6; 6. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - +2.30,3; 7. **პერ-გუნარ ანდერსონი** (შვედეთი, „ფორდ ფიესტა“) - +6.22,0; 8. **კიმი რაიკონენი** (ფინეთი, „სიტროენი“) - +7.02,3; 9. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „ფორდ ფიესტა“) - +10.11,5; 10. **ხალიდ ალ-ქასიმი** (საემიროები, „ფორდი“) - +10.31,1...

**საერთო ჩათვლა**

1. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - 25; 2. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „ფორდ სტობარტი“) - 18; 3. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - 16; 4. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 15; 5. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი“) - 10; 6. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 10; 7. **პერ-გუნარ ანდერსონი** (შვედეთი, „ფორდ ფიესტა“) - 6; 8. **კიმი რაიკონენი** (ფინეთი, „სიტროენი“) - 4; 9. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „ფორდ ფიესტა“) - 2; 10. **ხალიდ ალ-ქასიმი** (საემიროები, „ფორდი“) - 1...

# პროსტი ყინულზე დამარცხდა

ფრანგულ ალპებში დასრულდა ყინულის რბოლების - Andros Trophee-ის რეგულარული სეზონი. ლან-ე-ვერკორში ბოლო ეტაპზე გაირკვა ჩემპიონის ვინაობა. მთავარი პრეტენდენტი ორი იყო - ბოლო ორი წლის ტრიუმფატორი **ჟან-ფილიპ დაირო** (BMW) და ფორმულა 1-ის ოთხგზის ჩემპიონი **ალენ პროსტი** (Dacia), რომელიც Andros Trophee-ის ორგზის ჩემპიონია (2007-08).

ფინალის წინ უფრო მეტი ქულა ლეგენდარულ ფრანგს ჰქონდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში უკეთ დაირომ იარა. ეტაპი სწორედ ამ უკანასკნელმა მოიგო. სხვათა შორის, დაირომ პროსტზე მეტი ეტაპი დაიპყრო, სამაგიეროდ ფრანგი გაცილებით სტაბილურად გამოდიოდა და არც ერთ ეტაპზე ოთხეულის მიღმა არ დარჩენილა.

ლან-ე-ვერკორში პოდიუმზე **ფრანკ ლაგორსი** ავიდა, რომელიც საერთო ჩათვლაშიც მესამე იყო. ამ ჩემპიონატში ბევრი სხვა ცნობილი პილოტიც გამოდიოდა. მაგალითად, ფორმულა 1-ის გრან-პრის გამარჯვებული **პატრიკ ტამბეს** ვაჟი - **ადრიან ტამბე**. ცნობილმა ფრანგმა **ოლივიე პანისმა** სეზონი მეოთხე ადგილზე დაასრულა, მსოფლიოს კიდევ ერთმა ყოფილმა ჩემპიონმა **ჟაკ ვილნევმა** - მეცხრეზე. კანადელი რეგულარულად აგროვებდა ქულებს, მაგრამ საპრიზო პოდიუმზე ერთხელაც ვერ ავიდა.

Andros Trophee-ის სეზონი 5 მარტს „სტად დე ფრანსის“ სტადიონზე საჩვენებელი გამოსვლებით დასრულდება.



ალენ პროსტი პოდიუმზე

ფორმულა 1

# კუბიცა თავადაა დამნაშავე

**მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ნიკი ლაუდა გერმანული „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თავის აზრს გამოთქვამს რობერტ კუბიცას ავარიის შესახებ. გარდა ამისა, ლეგენდარულმა ავსტრიელმა მოკლედ შეაჯამა პირველი ტესტების შედეგები.**

**- ნიკი, რა კომენტარს გაუკეთებთ რობერტ კუბიცას ავარიას?**

- ის, რაც რობერტ კუბიცას შეემთხვა - ნამდვილი ტრაგედიაა. პირადად მე, პოლონელი ახალი თაობის ყველაზე ნიჭიერ წარმომადგენლად მიმაჩნია. მაგრამ რალიში გამოსვლით მას არ უნდა დაეყენებინა თავისი კარიერა ასეთი რისკის ქვეშ. თავადაც მქონდა ასეთი სულელური სიტუაცია, როცა ტრაქტორის საჭესთან დავჯექი და რამდენიმე ნეკნი გავიტეხე. ეს არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ მოხდა.

**- თქვენ მიგაჩნიათ, რომ კუბიცას რალიში გამოსვლა გაუმართლებელი იყო?**

- რა თქმა უნდა. ის თავისი საქმით უნდა იყოს დაკავებული, მისი საქმე კი ფორმულა 1-ია. ამიტომაც თავად არის დამნაშავე მომხდარში.

**- კუბიცა ამბობდა, რომ შეზღუდული ტესტების პირობებში რალი ფორმის შენარჩუნების საშუალებას აძლევდა...**

- ეს ნონსენსია! რალის არაფერი აქვს საერთო ფორმულა 1-თან. ეს სხვადასხვა დისციპლინაა.

**- მოდი, დავუბრუნდეთ ფორმულა 1-ში არსებულ სიტუაციას. უკან დარჩა პირველი ტესტები. თქვენი აზრით, ვის აქვს უპირატესობა მეტოქეებზე?**

- ახლა ლიდერებს შორის „რედ ბული“ და „ფერარი“ არიან. ეს გუნდები ტესტების დასაწყისიდანვე ძალიან სწრაფები იყვნენ - ეს იმის ნიშანია, რომ წინ კარგი სეზონი გველის. უჩვეულოდ გამოიყურება „მაკლარენის“ მანქანა - მასში ბევრი საინტერესო იდეაა გამოყენებული და ის კარგ შთაბეჭდლებას ტოვებს. „მერსედესმა“ ორი ნაბიჯი უნდა გადადგას წინ ამ სამი გუნდის დონესთან გასათანაბრებლად. ჯერ რთული სათქმელია, შეძლებს თუ არა ის ამის გაკეთებას.

**- რას იტყვით მიხაელ შუმახერზე?**

- მიხაელი ძველებურად ძლიერია - ჩვენ ამაში გასული წლის ბოლოს დავრწმუნდით. ამ სეზონში ის უფრო აგრესიული იქნება. დანარჩენი მანქანაზეა დამოკიდებული.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ვესტსილანდი-ბრონდბიუ | 1:3 |
| კალმარი-სტარტი | 1:2 |
| ვიკინგი-მიდტიულანდი | 1:1 პენ. 5:4 |

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| ფულჰემი-ჩელსი | 0:0 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| ნოვარა-ტორინო | 1:0 |

**სერია C1/A**

| | |
|---|---|
| ვერონა-რეჯინა | 1:0 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| მალიორკა-ბილბაო | 1:0 |

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| აუე-მიუნხენი | 1:0 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| მეცი-აიაჩო | 2:2 |

**ჰოლანდია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დორდრეხტი-ვოლენდამი | 4:1 |
| დენ ბოში-ფორტუნა | 1:1 |
| ემენი-კამბური | 0:4 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| ბეირა მარი-სეტუბალი | 0:0 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ფენერბაჰჩე-ქაისერი | 2:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სამსუნი-ქართალი | 0:0 |

**კვიპროსი**

| | |
|---|---|
| ერმისი-ომონია | 0:0 |
| აპოელ-ეთნიკოსი | 0:1 |

**საბერძნეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დიაგორასი-ოფი | 0:1 |
| ეთნიკოსი-კალითეა | 4:3 |

**ისრაელი**

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (თ-ა)-მაკაბი (ფ-ი) | 2:0 |

**კალათბურთი**

**ისრაელი**

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (ი)-ჰაპოელი (ჰ) | 80:86 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ვიტიაზი-მეტალურგი (ნ) | 1:6 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ზვოლენი-კოშიცე | 1:6 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ლინჩოპინგი-ტიმრა | 1:2 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ბუენოს აირესი**

| | |
|---|---|
| მონტანიესი-რამირეს იდალგო | 6:1, 7:6 |
| ფონინი-ჟილი | 1:6, 6:2, 6:2 |
| ლ. მაიერი-დელ ბონისი | 7:6, 7:5 |

**ATP. მარსელი**

| | |
|---|---|
| სტახოვსკი-მარჩენკო | 6:4, 6:3 |
| ტურსუნოვი-დიმიტროვი | 6:7, 7:5, 7:6 |

**ATP. მემფისი**

| | |
|---|---|
| ანდერსონი-კენდრიკი | 7:5, 3:6, 6:7 |

**WTA. ბოგოტა**

| | |
|---|---|
| კორიტცევა-მეირი | 2:6, 6:7 |
| კასტანიო-მ. გარიგესი | 7:6, 2:6, 7:6 |
| ჰალეპი-იოჰანსონი | 6:7, 5:7 |

**WTA. დუბაი**

| | |
|---|---|
| ჟანგი-შვედოვა | 6:3, 6:4 |
| ბენეშოვა-ბაშჩინსკი | 3:6, 6:3, 1:6 |
| კლეიბანოვა-პავლიუჩენ. | 4:6, 6:4, 6:0 |
| ბალტაჩა-დულგერუ | 6:7, 4:6 |
| სავესტოვა-როდიონოვა | 6:1, 5:7, 6:3 |
| ბარტოლი-დატე | 7:6, 6:4 |
| კუზნეცოვა-ლაგოს. ვივესი | 6:4, 6:2 |

**WTA. მემფისი**

| | |
|---|---|
| სტრიუკოვა-კრაიჩეკი | 1:6, 3:6 |
| გოვორცოვა-ფორეტცი | 3:6, 6:4, 4:6 |
| როდინა-ტომლიანოვიჩი | 1:6, 6:0, 7:6 |
| კეოტავონგი-ვოზნიაკი | 6:2, 6:2 |
| ჰრადეცკა-დიტი | 6:1, 6:3 |

TV პროგრამა

**15 თებერვალი. სამშაბათი**

**I არხი**

**23:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. მილანი-ტოტენჰემი (LIVE).

**რუსთავი 2**

**23:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ვალენსია-შალკე (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**20:45** ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩი. არისი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
**23:30** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ვალენსია-შალკე (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**05:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-ვანკუვერი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

**18:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**04:00** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ინდიანა-მაიამი (LIVE).

**SPORT+**

**23:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. მილანი-ტოტენჰემი (LIVE).

**EUROSPORT**

**12:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. დუბაი. საემიროები (LIVE).
**17:45** სნუკერი. უელსის ღია პირველობა. II დღე. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).
**23:00** სნუკერი. უელსის ღია პირველობა. II დღე. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**16:00** სათხილამურო რბოლა. ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი. ქალები, კაცები. სპრინტი. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
**19:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. დუბაი. საემიროები (LIVE).
**21:00** ტრამპლინიდან ხტომა. ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
**22:45** კალათბურთი. ევროთასი. მეორე ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ესტუდიანტესი (ესპანეთი)-კაზერტა (იტალია) (LIVE).
**00:30** სნუკერი. უელსის ღია პირველობა. II დღე. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-აილენდერსი 6:7 (ო)**

**3:2, 1:1, 2:3, 0:1**

**გოლები:** 0:1 გრაბნერი-22 (ნილსენი, ოკსოპო), 1:1 ჰეხტი-9, 2:1 სტეფორდი-21 (ენისი, ტიმ კონოლი), 2:2 ტავარესი-21 (ჰამონიკი, მოულსონი), 3:2 სტეფორდი-22 (ენისი, ტიმ კონოლი), 4:2 გერბი-7 (შ. მორისონი), 4:3 კომო-14 (ნილსენი, ოკსოპო), 4:4 გრაბნერი-23, 5:4 მიერსი-8 (პომინვილი), 5:5 იურჩინა-4 (ნილსენი, ტავარესი), 5:6 უიშარტი-1 (იურჩინა, ბეილი), 6:6 სტეფორდი-23 (ლეოპოლდი, ენისი), 6:7 გრაბნერი-24 (ოკსოპო, ენდრიუ მაკდონალდი).

**ატლანტა-კაროლინა 2:3**

**0:1, 1:1, 1:1**

**გოლები:** 0:1 ტლუსტი-5 (პიტკანენი, სამსონოვი), 1:1 ლედი-18, 1:2 კორვო-9 (ბ. სატერი, სკინერი), 2:2 ლედი-19, 2:3 კოული-16 (სამსონოვი, ი. უაიტი).

**ფილადელფია-ლ. ანჯელესი 0:1**

**0:0, 0:1, 0:0**

**გოლი:** 0:1 დაუტი-7 (კოპიტარი, სიმონდსი).

**დეტროიტი-ბოსტონი 4:2**

**1:2, 2:0, 1:0**

**გოლები:** 0:1 სეგუინი-9 (ველერი, რაიდერი), 1:1 ბერტუცი-11, 1:2 მარჩანდი-16 (რაიდერი, რეკი), 2:2 დაციუკი-14 (რაფალსკი, ჰუდლერი), 3:2 დრეიპერი-6 (ივსი, ჰელმი), 4:2 ბერტუცი-12 (ფრანცენი, ზეტერბერგი).

**ფლორიდა-სან ხოსე 3:2**

**0:1, 1:0, 2:1**

**გოლები:** 0:1 ჰასკინსი-2 (პაველსკი, ტ. მიტჩელი), 1:1 სანტორელი-15 (სტილმანი, ელერბი), 1:2 პაველსკი-12 (ჰიტლი, ტ. მიტჩელი), 2:2 ჰიგინსი-10 (რისონერი, ვიდემანი), 3:2 გარისონი-3 (რისონერი, ჰიგინსი).

**ედმონტონი-ანაჰაიმი 0:4**

**0:1, 0:2, 0:1**

**გოლები:** 0:1 სელიანე-17 (ჯ. ბლეიკი, ლილია), 0:2 მაკმილანი-8 (სექსტონი, ლაპიერი), 0:3 რაიანი-26 (პერი, გეტცლაფი), 0:4 რაიანი-27 (პერი, გეტცლაფი).

**დალასი-კოლამბუსი 1:2**

**1:1, 0:1, 0:0**

**გოლები:** 1:0 ბ. რიჩარდსი-24 (დელეი, ოტი), 1:1 კალვერტი-4 (სტრალმანი, ჰეიდა), 1:2 ნეში-26 (ვორაჩეკი, სტრალმანი).

**რეინჯერსი-პიტსბურგი 5:3**

**2:2, 3:0, 0:1**

**გოლები:** 0:1 ენგელანდი-3 (კონერი, რუპი), 0:2 ნ. ჯონსონი-1 (ჯ. სტაალი, დუპუი), 1:2 ბ. ბოილი-19 (მ. სტაალი), 2:2 კელეჰანი-13 (ჟირარდი, ვოლსკი), 3:2 პროსპალი-2 (დუბინსკი, გაბორიკი), 4:2 კელეჰანი-14 (მ. სტაალი, სტეპანი), 5:2 ანისიმოვი-12 (ცუკარელო, კელეჰანი), 5:3 სტირლინგი-2 (გოლიგოვსკი, ლეტანგი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოზნიაცკი ლიდერობის დაბრუნებას ეცდება



# წინ საინტერესო კვირაა

**ამ კვირას ჩოგბურთელებს ძალიან დატვირთული პროგრამა აქვთ - ATP-სა და WTA-ის ტურებში ჯამში ექვსი ტურნირი იმართება.**

**ATP**

**Copa Claro**

ბუენოს აირესი (არგენტინა). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 475 300 დოლარი

**მონაწილეები**: ნიკოლას ალმაგრო, სტანისლას ვავრინკა, დავიდ ნალბანდიანი, ალბერტ მონტანიესი, ხუან მონაკო, ტომი რობრედო, ალექსანდრ დოლგოპოლოვი...

სამხრეთამერიკული სათიხნარო სეზონის რიგით მესამე ტურნირი არგენტინაში გაიმართება. აქ ითამაშებენ წინა კვირას კოშტა დუ საუპეს ტურნირის გამარჯვებული და ფინალისტი - **ნიკოლას ალმაგრო** და **ალექსანდრ დოლგოპოლოვი**, რომელმაც პირველად ითამაშა ATP-ის ტურნირის გადამწყვეტ მატჩში. თუმცა მათ გარეშეც ბუენოს აირესში სერიოზული შემადგენლობა შეიკრიბება. დებიუტი ექნება აქ **სტანისლას ვავრინკას**, რომელიც წელს ძალიან დამაჯერებელი იყო ჰარდზე. და, რა თქმა უნდა, არ უნდა დაგვავიწყდეს ადგილობრივი პუბლიკის კერპი **დავიდ ნალბანდიანი**.

**Morgan Keegan Championships**

მემფისი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 1 100 000 დოლარი

**მონაწილეები**: ენდი როდიკი, ფერნანდო ვერდასკო, გაელ მონფილსი, მარდი ფიში, სემ კუერი, ჯონ ისნერი...

ამერიკა ამაყობს იმით, რომ აქ თავის დროზე გაუმარჯვიათ ისეთ ცნობილ ჩოგბურთელებს, როგორებიც არიან **ჯიმი კონორსი, ანდრე აგასი** და **ენდი როდიკი**. ადგილობრივი ჩოგბურთელები ამჯერადაც ფართოდ არიან წარმოდგენილი მემფისში.

როდიკი პირველ ნომრად არის განთესილი და შეეცდება ეს ტურნირი კარიერაში მესამედ მოიგოს, ხოლო მოქმედი ჩემპიონი **სემ კუერი**, თავის მხრივ, ბოლოდროინდელი წარუმატებლობის გამო რეაბილიტაციას აპირებს.

**Open 13**

მარსელი (საფრანგეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 512 750 ევრო

**მონაწილეები**: რობინ სიოდერლინგი, ტომაშ ბერდიხი, მიხაილ იუჟნი, იურგენ მელცერი, ივან ლუბიჩიჩი, ჟო-ვილფრიდ ცონგა, ერნესტ გულბისი, მიკაელ ლოდრა...

მარსელის ტურნირი პირველია იმ ხუთიდან, რომელიც წელს ATP-ის ეგიდით საფრანგეთში გაიმართება. აღსანიშნავია, რომ Open 13-ის ბოლო ხუთი გამარჯვებულიდან ოთხი ფრანგია. ამიტომაც აქ ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად **ჟო-ვილფრიდ ცონგა** სახელდება, რომელმაც წინა კვირას როტერდამის ტურნირის ფინალში გააღწია და იქ **რობინ სიოდერლინგთან** წააგო.

შვედი მარსელშიც ითამაშებს, ისევ პირველ ნომრად იქნება განთესილი და შეეცდება კარიერაში პირველად მოიგოს ზედიზედ ორი ტურნირი.

**WTA**

**Dubai Tennis Championships**

დუბაი (საემიროები). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 2 000 000 დოლარი

**მონაწილეები**: კაროლინ ვოზნიაცკი, ვერა ზვონარევა, ფრანჩესკა სკიავონე, სამანტა სტოსური, ნა ლი, ელენა იანკოვიჩი, ვიქტორია აზარენკა, აგნიეშკა რადვანსკა...

დუბაის ტურნირმა ტრადიციულად ძლიერი შემადგენლობა შეკრიბა - პირველ რვა ნომრად განთესილი ჩოგბურთელები WTA-ის რეიტინგის საუკეთესო ათეულს წარმოადგენენ. ამ კომპანიას მხოლოდ მსოფლიოს ახალი პირველი ჩოგანი **კიმ კლაისტერსი** აკლია, თუმცა საამიროებში მოსალოდნელ ბატალიებს ბელგიელი ჩოგბურთელი აუცილებლად მიადევნებს თვალს, რადგან კლასიფიკაციაში მის ლიდერობას საფრთხე ემუქრება - თუ დუბაიში **კაროლინ ვოზნიაცკი** ნახევარფინალში გააღწევს, პირველი ჩოგანის სტატუსს დაიბრუნებს.

**Copa BBVA-Colsanitas**

ბოგოტა (კოლუმბია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 220 000 დოლარი

**მონაწილეები**: იულია გორჯესი, პოლონია ჰერცოგი, სომინა ჰალეპი, არანჩა პარა სანტონხა, კარლა სუარეს ნავარო...

კოლუმბიაში მთავარ ფავორიტად გერმანელი **იულია გორჯესი** მიიჩნევა, რომელიც ამ კვირას პირველად მოხვდა მსოფლიო რეიტინგის საუკეთესო ოცდაათეულში. თავადაც ხვდებით, რომ დუბაისთან შედარებით ეს ტურნირი შემადგენლობის მხრივ ვერ ბრწყინავს. .

**Morgan Keegan Championships**

მემფისი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 220 000 დოლარი

**მონაწილეები**: ბარბორა ზახვალოვა, სოფია არვიდსონი, შელანი ოუდინი, ალა კუდრიავცევა, ოლგა გოვორცოვა...

იგივე ითქმის მემფისის ტურნირზე, სადაც, ალბათ, ყველაზე სუსტი შემადგენლობაა წარმოდგენილი. ადგილობრივ გულშემატკივრებს იმედი აქვთ, რომ მელანი ოუდინი ამჯერად მაინც მოახერხებს ღირსეულად გამოსვლას. ტურნირის სტატუსი მას ამის შანსს აძლევს.

პირველ ორ ნომრად განთესილი **ბარბორა ზახვალოვა** და **სოფია არვიდსონი** ბოლო დროს ნორმალურ დონეს აჩვენებდნენ და ამიტომაც ისინი უნდა განვიხილოთ მთავარი პრიზის ყველაზე რეალურ კანდიდატებად.

# ახალი ვარსკვლავი გამოჩნდა

ორი ჩოგბურთელის კარნახით მიმდინარეობს ქალთა შორის წლევანდელი სეზონი. ესენი არიან ბელგიელი **კიმ კლაისტერსი** და ჩეხი **პეტრა კვიტოვა**. სწორედ ეს ჩოგბურთელები შეხვდნენ ერთმანეთს პარიზის ტურნირის ფინალში და კვიტოვამ ძალიან დამაჯერებლად დაამარცხა მსოფლიო რეიტინგის ახალი ლიდერი. ეს ჩეხი ჩოგბურთელის მეორე ტიტულია მიმდინარე სეზონში.

პარიზის ტურნირი ყველაზე ხშირად მასპინძელ **ამელი მორესმოს** აქვს მოგებული - მან აქ მთავარი პრიზი სამჯერ მოიპოვა. მაგრამ ახლა, პროფესიული კარიერის დასრულების შემდეგ, ეს შესანიშნავი ჩოგბურთელი ამ ტურნირის თანადირექტორი გახდა. ამელის გარდა, ბოლო ექვს წელიწადში პარიზის ჩემპიონატს რუსი ჩოგბურთელები იგებდნენ, თუმცა ამჯერად ამ ქვეყნის წარმომადგენლებმა სრული ფიასკო განიცადეს - ვერც ერთმა მათგანმა მეოთხედფინალურ სტადიამდეც ვერ გააღწია.

მთელი ტურნირის მთავარი ინტრიგა გახდა კიმ კლაისტერსის სატურნირო გზა. ბელგიელს ნახევარფინალამდე უნდა მიეღწია იმისთვის, რომ დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი** ჩამოეგდო საჩოგბურთო ტახტიდან. ბელგიელმა ეს შეძლო და მეოთხედ მოიპოვა პირველი ადგილი კლასიფიკაციაში. მაგრამ ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი ამით არ დაკმაყოფილდა და ფინალამდე მიაღწია, სადაც მას პეტრა კვიტოვა ელოდა.

როგორც გითხარით, ჩეხმა ჩოგბურთელმა ბრწყინვალე ფორმა აკრიფა: ახალი სეზონის პირველ კვირას ბრისბენის ტურნირი მოიგო, შემდეგ ავსტრალიის ღიას მეოთხედფინალში ითამაშა, ამას მოჰყვა ფედერაციის თასის მეოთხედფინალი, სადაც პეტრამ ორი ქულა მოუტანა თავის გუნდს. კვიტოვას პარიზში რთული სატურნირო გზა ჰქონდა - მას ზედიზედ ორი უმძიმესი მატჩის გადატანამ მოუწია, როცა **ბარბორა ზახვალოვასა** და **იანინა ვიკმაიერს** მესამე სეტის ტაი-ბრეიკებში აჯობა. თითქოს უნდა დაღლილიყო, მაგრამ პეტრამ ნახევარფინალში **ბეტანი მატეკი** გაანადგურა და ფინალში გავიდა.

გადამწყვეტ მატჩს უფრო მომზადებული კვიტოვა შეხვდა, კიმს კი ჩავარდნა ეტყობოდა. ბელგიელმაც ხუთი კვირა შეუჩერებლივ ითამაშა და ამას არ შეიძლება არ ემოქმედა მის ფიზიკურ ფორმაზე. პერიოდულად ბელგიელი ჩვეულ სტილში მოქმედებდა, მაგრამ საერთო ჯამში მას სტაბილურობა არ ჰყოფნიდა. თავის მხრივ, პეტრა ძალიან აქტიურობდა და კარგად იყენებდა საკუთარ შესაძლებლობებს. შედეგად, ფინალში ბრძოლა არ გამოვიდა - ზუსტად ერთ საათში ნაკლებად გამოცდილი ჩეხი გამარჯვებას ზეიმობდა - 6:4, 6:3.

*„კიმის დამარცხება ძალიან სასიამოვნოა, რადგან ის რეიტინგის ახალი პირველი ნომერია. ვფიქრობ, ეს ჩემთვის უდიდესი მიღწევაა. ეს მოგება არალოგიკური მგონია, რადგან კიმთან ბოლო ორი მატჩი წაგებული მქონდა. მით უმეტეს, სასიამოვნოა ეს ტრიუმფი“,* - განაცხადა მატჩის შემდეგ კვიტოვამ.

პარიზის შემდეგ კლაისტერსი დაისვენებს, პეტრა კი დუბაიში გააგრძელებს სეზონს, სადაც უკვე მესამე წრეში შეიძლება შეხვდეს კაროლინ ვოზნიაცკის. ამ ტურნირსაც აქვს ინტრიგა - დანიელსაც ნახევარფინალში გასვლა სჭირდება კლასიფიკაციაში პირველი ადგილის დასაბრუნებლად.

**WTA**

**Open GDF Suez**

პარიზი (საფრანგეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 618 000 დოლარი

**ფინალი**

**პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 4)**-კიმ კლაისტერსი (ბელ, 1) 6:4, 6:3.




# რობინი რეკორდებს იმეორებს

მამაკაცებს შორის როტერდამისა და სან ხოსეს ტურნირებს განსხვავებული დასასრული ჰქონდა. ჰოლანდიაში ფავორიტის გამარჯვება ვიხილეთ, ამერიკაში - სენსაცია.

**რობინ სიოდერლინგმა** შეძლო როტერდამში შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვა. ამისთვის მას სამი სეტის ჩატარება დასჭირდა. თუმცა სამი პარტიის თამაშის მიუხედავად, შეხვედრა მხოლოდ საათ-ნახევარი გაგრძელდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ორივე ჩოგბურთელი ძალიან კარგად თამაშობდა საკუთარ მოწოდებებზე და თითქმის ყველა გათამაშება ერთ-ორ დარტყმაში მთავრდებოდა. სკანდინაველმა მხოლოდ ეისების რაოდენობით დათმო ფრანგთან (12 20-ის წინააღმდეგ).

სიოდერლინგი მეთვრამეტედ თამაშობდა ფინალში და მერვე ტიტული მოიპოვა. ამ სეზონში ეს მისი მეორე გამარჯვებაა, შესაბამისად, რობინის კარიერაში მხოლოდ მეორედ მოხდა, როცა მან ერთ სეზონში ორი ტიტული მიითვალა (პირველად ასეთ ფაქტს შარშან ჰქონდა ადგილი). გარდა ამისა, სიოდერლინგმა კარიერაში პირველად მოახერხა ერთ ტურნირზე ტიტულის შენარჩუნება.

სხვათა შორის, სიოდერლინგი და ცონგა მეოთხედ ხვდებოდნენ ერთმანეთს პროფესიულ დონეზე და მეოთხედ გამარჯვება სკანდინაველ ჩოგბურთელს ერგო. მიუხედავად ამისა, ცონგასთვის ფინალიც დიდი მიღწევაა, რადგან ფრანგი 15 თვე ვერ ახერხებდა ამ დონეზე თამაშს. ასე რომ, ცონგა თანდათან იბრუნებს ძველ სპორტულ ფორმას.

რაც შეეხება სენსაციას, მისი ავტორი კანადელი **მილოშ რაონიჩი** გახდა, რომელიც სან ხოსეს ტურნირის ფინალში უბრძოლველად გავიდა - ნახევარფინალში ტრავმის გამო ვერ ითამაშა **გაელ მონფილსმა**. ბოლო ინფორმაციით ფრანგი მაჯის დაზიანების გამო ერთ თვეს გამოტოვებს.

**ფერნანდო ვერდასკოსთან** ფინალში მაყურებელმა ბრეიკ-პოინტი ვერ იხილა და შესაბამისად, ორივე სეტის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა. 20 წლის კანადელს არ ეტყობოდა ნერვიულობა, მიუხედავად იმისა, რომ პირველ ფინალს თამაშობდა. ვერდასკომ კი რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა და ამან მატჩის ბედი გადაწყვიტა. შეხვედრის დასასრული ერთგვარად სკანდალური გამოვიდა: მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე, მატჩბოლისას რაონიჩმა ეისი ჩააწოდა, მაგრამ ესპანელმა გადათამაშება მოითხოვა, რადგან ბურთის მიღებაში მაყურებლის წამოყვირებამ შეუშალა ხელი. მსაჯი არ დაეთანხმა და ფერნანდომ მას ხელი არ ჩამოართვა. *„ვისურვებდი ასეთი ხალხი არ დადიოდეს სტადიონზე. თუ მათ ჩოგბურთის წესები არ იციან, ფეხბურთზე წავიდნენ“*, - განაცხადა ვერდასკომ.

რაინოჩმა კი კარიერაში პირველი ტიტული მოიპოვა, არადა, სულ ცოტა ხნის წინ კანადელი „ჩელენჯერებზე“ თამაშობდა და პირველივე ცდიდან ასეთ დიდ წარმატებას მიაღწია.

*„დეკემბერში ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, სეზონი ასე წარმატებით დაიწყებოდა, არ დავიჯერებდი. იმედი მაქვს, რომ მთელი წელი შევძლებ ასეთი დონის ჩოგბურთის ჩვენებას“*, - ვერ მალავდა ემოციებს გამარჯვებული.




**ATP**

**ABN AMRO World Tennis**

როტერდამი (ჰოლ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 1 150 000 ევრო

**ფინალი**

**რობინ სიოდერლინგი (შვედ, 1)**-ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 8) 6:3, 3:6, 6:3.

**SAP Open**

სან ხოსე (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 531 000 დოლარი

**ფინალი**

**მილოშ რაონიჩი (კან)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 1) 7:6(6), 7:6(5).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**